

ახეული

ლიტერატურული ჟურნალი
N4, 2020



მხატვარი — დავით მუხაჩაშვილი



ივანე ინანიშვილის
სახელობის ლიტერატურული
კონკურსი — 2020



ივანე ჯავახიშვილი
ბიჭი ბაბიჯანაშვილი



პოეტის მომონებები
თეიმურაზ ჩაბაძეშვილი



ნინო ჯიქიაშვილი
ივანე ჯავახიშვილი

რეპაზი ინანიშვილის სახელობის
„ერთი მოთხრობის“ კონკურსი



უჩაძე მუჟა

მხატვარი — იუზო (ემელიანე) ადამია

დავით მურანაშვილის ნამუშევრები



ქურნალ „ანუელის“ შემომწირველები არიან:
მაია გოთვა, დეიდა ჭიტოშვილი-სახლთხუციშვილი,
გულიკო ზუმბაძე, გატურინე შაკიაშვილი, თემო ვაშაყმაძე,
ციცინო ბაბუცოძე, შიდა ხუთაგური.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანუელის“
რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერია: GE81BG 0000000 306158900

მსახურეობა – ზედმეტად მსახურეობა




ԾԱՌԻՑՈՒ ԸՅՈՆՑՅՈՒՆ

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში – 83, 60



ახელა – გაბიჭილას ხელა



ანეკდოტი

№4. (№29) დეკემბერი 2020

ლიტერატურული
ფენიქსი

ბრეზი ინანიშვილის სასკოლმის „ერთი მთხრობის“ კონკრეტი	
მეთერთმეტედი	3
პრტა	
ხუო ჯოხბანაძე მეც შენთან ერთად	4
ნონო ბანაძეაშვიდი ბერდია	10
სალოა ბობოლაძე ქვის სახელი.....	15
„ბაც ერთსელ ცხელად სკულს დაცინდემის“...	
თაბახ ჩანაბაშვიდი მოგონებების სკივრიდან	20
ერთსელ...	
ნონო ჩხიპაშვიდი ნოდარის მეგობარი ნოდარი	23
პრტა	
ნიბა შიოლაშვიდი	24
დანი ბახიშვიდი	26
თაბახ შიოლაშვიდი	28
ნანა ჯაშვიდა	28
ოლიო სისახიშვიდი	30
ასალი კრემული	
ნონო საბაბიშვიდი ფილტრით და უფილტროდ ერთ გულწრფელ წიგნზე	32
პრტა	
ნონა საბახაძე	36
ანბანის მესადრემული	
ნონო ხახანაშვიდი მან ეს შეძლო	38
ლუკული და სსტუნა	
ივანა ჯაფახიძე ტაბუდადებული სახელი	40
ნინო ბამიშვიდი – 110	
თაბახი პთაბიძე ქართული ცეკვის დედა-დელოფალი	52
ეს ჩიმი ცალაძია...	
ბახ მოთახაშვიდი თელავური იტალიური ეზო	56
აბტედი	
ილია ბახახახიანი	58
მსაცრტმა	
ბიოხიბი დანიშვიდი „მის მიერ შექმნილი სხეულის პლასტიკა რიტმულ მუსიკას ბადებს“	60
ინცრტედი	
თაბახ შიოლაშვიდი მხატვარი დავით მურაჩაშვიდი	63
თატგმანი	
ბი და მოჰასანი ყელსაბამი – ფრანგულიდან თარგმნა მარინა გოგოლაშვილმა	66
პრტა, პრტა	
მოთახ ფანახახიბანი-სისიშვიდი	71

ISSN 1987-9717

ქელტუხელ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ჟურნალ „ანელი“-ს ახსენებელი
ლიტერატურული გახიზიანება:

რეზო (მემლიანე) აღამია
რეზაზ ბალანჩიშვიდი
თამარ ბაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლელია ქიტოშვილი –
სახელთს უცნოშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩიკიშვილი
ჯუბა ღებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაბოღნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი ჰედაქტოხი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი ჰედაქტოხი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტოხი

ბიოხიზი ზუხუბიანი

გაჰეჯანის პიხვედ გვეხდზე: ღაჰით მუხარაშვილის ნამუშაჰი
გაჰეჯანის ბოლო გვეხდზე: მხატვარი ზუხუბ ჯანანაძე

ჰელანსიის ტაღაჟონი: 551 00 50 58

რელაქციის ინტერნეტოტოტა: aneuli@mail.ru


ჟურნალში გამოქვეყნებულ მასაღებზე პასუხისმგებელია ავტოხი

ჟურნალი დაბეჭდილია სოციღელი თუხაჰიის სახელში, შშმ პიხების მონანღელობით

რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი



მეთერთმეტედ...



რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი წელს მეთერთმეტედ გაიმართა. სულ 70 საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ნინო ჩხიკვიშვილი, ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ლებელი), თამაზ ხმალაძე, თემურ ჯაგოდინიშვილი (თავმჯდომარე), გამოავლინა გამარჯვებულები.

პრემიები ასე განაწილდა:

I პრემია – რეზო ჯორბენაძე („მეც შენთან ერთად“);

II პრემია – ნინო მანძულაშვილი („ბერდია“);

III პრემია – სალომე გოგოლაძე („ქვის სახელი“).

გარდა ამ სამი მოთხრობისა, ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო მოთხრობები. მათი ავტორები: ლელა თოთაძე, ბადრი სულაძე, ზურაბ გურჩიანი, როლანდ გიორგაძე სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. ჟურნალ „ანეულის“ პრიზი მიენიჭა გიორგი პაპუაშვილს.

აღსანიშნავია ცნობილი მხატვრის, ესეისტის, მრავალი საერთაშორისო გამოფენის ავტორისა და საერთაშორისო ჯილდოების მფლობელის, რეზო (ემელიანე) ადამიას ქველმოქმედება, ყოველწლიურად პრიზიორ ავტორებს მისი ნახატები გადაეცემათ.

ორი წელია რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ქველმოქმედია სამაჩაბლოელი ხელოვანი, ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდის“ დამფუძნებელი ფატი კახნიაშვილი. მან წელსაც ხელნაკეთი „სანიშნე მტევანი“ საგანგებოდ დაამზადა კონკურსისთვის. კონკურსისთვის პრიზად საკუთარი ნახატი გამოგვიგზავნა ორიგინალური და თავისებური ხელწერის მხატვარმა – ქეთევან ჯავახიძემაც.

განსაკუთრებული მადლობა – მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლას და მის პედაგოგებს: ქალბატონებს – იზო სამუშიას და ცისმარი ყურაშვილს, რომლებიც, ასევე, მრავალი წელია რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ქველმოქმედნი არიან.

მადლობა თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, ვისი დაფინანსებითაც 2020 წლის კონკურსი კვლავაც წარმატებით ჩატარდა.

მადლობა „ანეულის“ შემოქმედებითი გაერთიანების წევრებს, კონკურსის ორგანიზატორებს, ჟიურის წევრებს, ჟურნალის შემომწირველებს, ყველა იმ ადამიანს, ავტორს და მკითხველს, ვინც ჟურნალ „ანეულისა“ და რევზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის თანამდგომი და გულშემატკივარია.

ქვემოთ გთავაზობთ სამ პრემირებულ მოთხრობას.



რეზო ჯორბენაძე



მეც შენთან ერთად

I

ვიკინგებისათვის თავის დროზე მოჭარბებულად მზარდი მოსახლეობა და არსებული სასურსათო წყაროების შეფარდებითი სიმწირე ხდებოდა ისლანდიაში, გრელანდიასა თუ სამხრეთის მიმართულებით ევროპაში დამპყრობლურ-ინვაზიური გაფართოების სტიმული. ინგლისელი მეცნიერის, თომას მალთუსის სწავლების მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა გეომეტრიული, სურსათის პროდუქცია კი მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. შესაბამისად, დედამიწას ადამიანთა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოკვება შეუძლია. სწორედ ამით ასაბუთებდა, და არათუ ასაბუთებდა, არამედ ამართლებდა კიდევ ერთ დროს ანგლიკანური ეკლესიის ღვთისმსახური მალთუსი ეპიდემიების, სტიქიური მოვლენებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების არსებობის აუცილებლობას. მსგავსი თეზისი არცთუ დიდად კაცთმოყვრულად ჟღერს, მით უმეტეს, ყოფილი პასტორისაგან. პატივცემული თომასი, ჩემი მოკრძალებული აზრით, ერთ რამეში ცდებოდა. დღესდღეობით მრეწველობა თანამედროვე ტექნიკის წყალობით სწორედაც რომ მშვენივრად უწყობს ფეხს მაღალი ტემპებით მზარდ კაცობრიობას. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ კონტინენტზე ადამიანები, და მათ შორის ბავშვებიც, ტექნიკური პროგრესის რევოლუციის ფონზე მაინც შიმშილობენ და ეს არა სასურსათო რესურსების ნაკლებობის, არამედ ჩვენი გულქვაობის ბრალია. მოსახლეობის რიცხვი მართლაც რომ ელვის სისწრაფით მატულობს, მაგრამ გულმოწყალება, სამწუხაროდ, ამ ფაქტთან მიმართებაში უკუპროპორციული დამოკიდებულებით ვითარდება. აი, სწორედ ეს მგონია იმის მიზეზი, რომ ბევრი

ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც უკიდურესი სიღატაკის ზღვარზეა. ასეა თუ ისე, მე პირადად თავი ამაში დამნაშავედ მიმაჩნია და რემბრანდტისა არ იყოს (ბატონი ვან რეინი ამ მოთხრობაში თავს მოგვიანებით კვლავ შეგვახსენებს), ვთვლი, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმის უშუალო თანამონაწილე და თანამზრახველი ვიყავი რომაელ და იუდეველ ასისტავებთან ერთად, ნუ მიწყენ და, ისევე, როგორც შენ, ჩემო მოწყალო მკითხველო, არ გამხელ, უბრალოდ გახსენებ.

მალთუსის თეორია იქით იყოს და, ფაქტია, რომ ადამიანები გარკვეულ პერიოდში ერთხელ სხვადასხვა ბუნებრივ კატასტროფას ვიმკით. მსგავს სასჯელად მე-20 საუკუნის დასაწყისში ესპანური გრიპი მოგვევლინა, რომელმაც პირველმსოფლიო-ომგამოვლილ კაცობრიობას ამოსუნთქვა არ აცალა და 1918 წლის მიწურულს ამერიკაში აღმოცენებულმა მომღვენო ბრძოლა გამოუცხადა დედამიწის იმ დროისათვის 1,7 მილიარდამდე ასულ მოსახლეობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებულ თაობებსაც ბევრი ომის გადახდა მოგვიწია, „ცივი ომით“ დაწყებული – სირიის ომით დამთავრებული. თუმცა, ჯერჯერობით არცერთ მათგანს რგებია „მესამე მსოფლიო ომის“ სახელწოდების ტარების პატივი. ჰოდა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ყოვლად გვირგვინოვანი ვირუსი მოგვევლინა შორეული აღმოსავლეთიდან 7,7 მილიარდამდე გაზრდილ კაცობრიობას, რომელიც 2020 წელს ჩვენი პლანეტის პარალიზების თავი და თავი გახდა.

ქართველებისათვის სიტყვა „ჩინური“ ყოველთვის უცხოობასა და გაურკვევლობასთან ასოცირდებოდა. როდესაც ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებით რამეს ვეღარ ვუმკლავდებოდით და მამაპაპური ჟარგონით რომ ვთქვა, ტყემალზე შევსხდებოდით ხოლმე, ალიბად მყისვე მზად გვქონდა, ეს ჩემთვის ჩინურია და იმიტომო. არადა, როგორ მასხოვს, ჩემს ბავშვობაში ჩინური ტორტის კეთების ტენდენცია გავრცელდა საქართველოში. ესეც უცხო რამ ხილი იყო, და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ უცხო, არამედ საუცხოოც. თუმცა, რა დროს ეს არის?! გადავუხვიე. ვერბალური თვითდაკმაყოფილება სასწრაფოდ უნდა შევწყვიტო და კვლავ საქმეს მივუბრუნდე. იმას ვამბობდი, რომ ჩინური ჩვენთვის ყოველთვის უცხოა და შეუცნობელთან ასოცირდებოდა-მეთქი. ან კი რა გასაკვირია, ეგზოტიკური და ძნელად ამოსაცნობი იყოს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია?! გინდ დაიჯერეთ, გინდა არა და, ახალი მაწყევარი სწორედ რომ ჩინეთიდან გვესტუმრა, გვირგვინოვანი ვირუსი იგი, ეგრეთ წოდებული კორონა. ღრმად მწამს, რომ ტრადიციისა და ნომენკლატურის დაურღვევლობის პრინციპით ჩვენი ამომგდები ეპიდემია კაცობრიობის ისტორიას „ჩინური გრიპის“ სახელწოდებით შემორჩება. ისე, ჩვენში დარჩეს და, შავი ჭირივით მოდებული ინფექციის ეთნიკურ მიკუთვნებას რა ჭკუა აქვს?! გაგკადნიერდები და კორონა-ვირუსს

კოსმოპოლიტს ვუწოდებ, რადგანაც მგლებივით ხახადაფენილ და მუდამ სისხლმოწყურებულ ადამის შვილებს მესამე მსოფლიო ომი გამოგვიცხადა.

– რომ ამბობ, ადამის შვილებსო, ევამ რა დავა გიმაგა?

– არც არაფერი, უბრალოდ ევა თავადაც ადამის შვილი იყო, ნეკნი მისი ნეკნთაგანი.

– რაიო? ადამ და ევას ინცესტილა გვაკლდა ახლა!

– ნუ ბოდავ, თუ კაცი ხარ! სკანდინავიურ-გერმანულ მითოსში ველზუნგები, სიგლინდე და სიგმუნდი, და-მმანი იყვნენ, თანაც ტყუპები. ბერძნებთანაც ორივე, ზევსიც და ჰერაც, კრონოსის შვილები გახლდა!

– კი მაგრამ, ჩვენ ქრისტიანობაზე გვაქვს საუბარი და არა წარმართულ მითოლოგიაზე. შენ, მეონი, ვერბალური ონანიზმიდან უკვე ცრუ-ფილოსოფიურ თვითდაკმაყოფილებაზე გადახვედი!

– მართალი ხარ, გადავუხვიე და კალამიც გამექცა.

მოკლედ, იმას ვამბობდი, რომ კოსმოპოლიტი ვირუსის გამო სახმელეთო თუ საჰაერო საზღვრები ჩაიკეტა, სკოლები დაიხურა, ყოველგვარი კულტურული და სამეცნიერო ღონისძიება გაუქმდა, ხალხი თვითიზოლაციაში მოექცა, ეკონომიკა გაჩანაგდა, მხოლოდ სასურსათო მალაზიები, ავთიაქები, პოლიცია და ფოსტა დარჩა ღია და ადამიანთაგან ექიმები, ექთნები, სანიტრები და პოლიციელებიღა შერჩნენ სამსახურებს, ვითარცა ჯარისკაცები მესამე მსოფლიო ომის წინა ხაზს. აი, სწორად ამ ვითარებაში დაფავდა სულს დამბლადაცემული მსოფლიო, როდესაც ის ამბავი მოხდა, რაზედაც ახლა ვიამბობთ.

II

– მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, – ბიანკამ ცისფერ პირბადეზე სანახევროდ ჩამოცურებული, მწვანეჩარჩოვანი სათვალე შეისწორა და ექიმს თვალი თვალში გაუყარა, – დრო აღარ ითმენს, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

მიუნხენის ცენტრალური კლინიკის ინტენსიური განყოფილების მე-ნ პალატის საწოლთან ბიანკასთან ერთად ღამის ცვლის დანარჩენი ხუთი ექთანიც იდგა და ახალგაზრდა კაცს კითხვის ნიშნით შესცქეროდა. სულ შვიდნი იყვნენ, უფრო სწორად, პაციენტის ჩათვლით, რვა. ავადმყოფის გარდა ყოველ მათგანს თავზე ჩაჩი ეხურა, ცხვირ-პირზე ნიღაბი აეფარებინა, ტანზე ინფექციურ შემთხვევებში ერთჯერადად გამოყენებადი თხელი ქსოვილის უნიფორმა ეცვა და მტევნებზე ხელთათმანები ეკეთა. პაციენტი 80 წელს მიტანებული ქალი გახლდათ, ქალბატონი ველმანი. რამდენიმე დღის წინ თავისი ფეხით მივიდა საავადმყოფოში, ხველებითა და მაღალი სიციხით გასავათებული. ახლა კი ყოვლად უძლური ხელოვნურ კომაში იმყოფებოდა და კორონა-ვირუსით გამოწვეული მძიმე

ფილტვების ანთების გამო სასუნთქ აპარატზე იყო მიერთებული. ქალი მოძვლელეს მარცხენა მხარზე ირიბად დაეწვინათ. პირში ჩადგმული პლასტმასის საჰაერო მილი თანამედროვე დგუშებით აღჭურვილ მოწყობილობას უერთდებოდა, რომელიც ყოველ 4 წამში ერთხელ ქალის ფილტვებში რითმულად ჰერს ბერავდა და ამით მძიმე ინფექციით დაავადებულ ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებდა. სწეულს ჭაღარა, ჭუჭყიან ნაცრისფრად შეფერილი თმა გასწეწვოდა და ბალიშზე უსწორმასწოროდ მიმოყროდა. ექთნებს მოხუცისათვის ტანზე სუფთა, სტანდარტული სამედიცინო პერანგი ჩაეცმიათ და ხელები თედოებზე დაელაგებინათ. იწვა ასე ღრმა ძილში დანაოჭებული ქალბატონი ველმანი და განაჩენის გამოტანას ელოდა.

ლევან ჯაფარიძემ გამომშრალი ტუჩები ენით აილოკა (თუმცა ეს არავის დაუნახავს, რადგანაც პირბადე ეკეთა) და ნერწყვი მძიმედ გადაჟაპა. თანამშრომლები თვალს არ აშორებდნენ. სწორედ მას უნდა გაეწირა მოხუცი და მისი საცოდაობა თავის თავზე ეკისრა.

– თოთხმეტი წელია ექიმად ვმუშაობ და მსგავსი გამოწვევის წინაშე არც სამედიცინო და არც ადამიანური თვალსაზრისით ჯერ არ ვმდგარვარ, – წაილულულა ლევანმა და თავი დახარა, – მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის. მიუნხენისა და მისი შემოგარენის ყველა კლინიკაში დავრეკე. ყველგან აბსოლუტურად ერთნაირი მდგომარეობაა – არსად მოეპოვებათ არცერთი თავისუფალი აპარატი. ყველგან ყველა საწოლი დაკავებულია და პაციენტებს ვეღარ აუდიან. შესაბამისად, ქალბატონ ველმანს ვერსად გადავაწვენთ. ჩვენს ყველა სასუნთქ აპარატზე კორონა-ვირუსით დაავადებული მძიმე ავადმყოფია მიერთებული. წელან ეზოში დადგმული კონტეინერებიც სათითაოდ დავიარე. ყველა მოწყობილობა დაკავებულია. ამჟამად პაციენტებს შორის ყველაზე ხანდაზმული ეს ქალბატონია. სხვა გზა არ არის, წლოვანების მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ. ბატონი გროილიძე 45 წლისაა და სამი პატარა შვილი ჰყავს. იტალიაშიც ასე იყო. მასობრივი დაინფიცირების გამო ჩვენს კოლეგებს იქაც არ ეყოთ სამედიცინო აღჭურვილობა. ალბათ ისინიც ბევრჯერ მდგარან მსგავსი დილემის წინაშე. გერმანია იტალიას ამ შემთხვევაში 8-10 დღით ჩამორჩება. ჰოდა, ჩვენც დავვიდგა ახლა ეს პერიოდი. ზუსტად ამის მეშინოდა. ამიტომაც გამოვიწერე ამ ბოლო კვირას ოცდაათი ახალი აპარატი, მაგრამ კატასტროფა მაინც არ აგვცდა.

ლევანმა თვალები სიმწრით დახუჭა და რამდენიმე წამის განმავლობაში გარინდული იდგა. შემდეგ გამოფხიზლდა, ქალბატონი ველმანის სასულეში ჩადგმულ პლასტმასის მილს ხელი ჩასჭიდა და სწრაფი მოძრაობით, ისე, რომ დაფიქრების დრო არ ჰქონოდა, სასუნთქი აპარატიდან გათიშა. დგუშები ძველებურად ქშენდნენ და მილების ლაბირინთში ჰერს ბერავდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო,

რომ ჩაბერილი ჰაერი მოხუცი პაციენტის პირიდან ამოჩრდილი, მოწყობილობისაგან გათიშული სასუნთქი მილის ნაცვლად ინტენსიური განყოფილების მე-ნ პალატის შემოგარენში უმისამართოდ იფრქვეოდა. ექიმი ნერვიულად დააწვა ამომრთველ ღილაკს და დანადგარი ელექტროენერგიის წყაროდან გამორთო. შემდეგ გორგოლაჭებზე მდგარ აპარატს ხელი ჩასჭიდა, მე-9 ოთახისაკენ სწრაფი ნაბიჯით გააგორა და ისე, რომ ღაწვებზე დამდინარებული ცრემლების დაფარვა არც უცდია, ექთნებს მიუგდო:

— დროზე წამოდით, თორემ ბატონი გროილიჰის შემთხვევაშიც დაგვაგვიანდება და ამ საწყალი ქალის ცოდვა კისერზე ტყუილუბრალოდ დამედება. ქალბატონი ველმანი სივრცესა და დროს სრულიად მარტოდმარტო შერჩენოდა. თვალები დაეხუჭა, ხელები დამჭლევებულ თეძოებზე უხმოდ დაეკრიფა და იწვა გრილ ქანდაკებასავით აგრერიგად გამდუმარებული. პირიდან სასუნთქ აპარატს მოშორებული პლასტმასის მილი ამოსჩროდა, რომელიც ასე უხერხულად განყენებული და ფუნქციონირებული მოწყენით ელოდა, თუ როდის მოაშორებდნენ გარდაცვლილის სასულეს და ინფიცირებული, სპეციალური ნაგვის ურნაში მოისროდნენ.

III

სულიერად და ფიზიკურად განადგურებული-გათანგებული ლევანი შინ შაბათ დილას დაბრუნდა. სახლში ეკა ელოდა. ახალგაზრდა ქალს ქმრის ჩასისხლიანებული თვალებისა და მათ გარშემო შემორკალული პირქუში, შავი რგოლების დანახვაზე სახე მოუნაღვლიანდა.

— ცუდი მდგომარეობაა ხომ საავადმყოფოში?

— ჰო, — ჩაილაპარაკა კაცმა და ცოლს შეხედა, — იმდენი დაინფიცირებული გვყავს უკვე, რომ ვეღარ ავუდივართ. სასუნთქი აპარატების რაოდენობამ გვიმტყუნა.

— რას ამბობ, — შეწუხდა ეკა და შეფიქრიანებულია გამოხატული მუცელზე მარჯვენა ხელი აღერსიანად მოისვა, — ხანდახან მგონია, რომ სიზმარში ვარ. მთრგუნავს ეს მდგომარეობა. პირველ რიგში შენზე ვნერვიულობ, მერე — ჩვენზე, საქართველოს მოსახლეობაზე, და საერთოდ, მთელ სამყაროზე.

— შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, — კაცმა სევდიანად გაიღიმა, — თანაც იმაზე ნერვიულობას, რასაც ვერ შეცვლი, აზრი არ აქვს. წარმოიდგინე, ომის დროს ქალები, ბავშვები და მოხუცები სახლში რჩებოდნენ, ბიჭები და ახალგაზრდა კაცები კი ფრონტის წინა ხაზზე მიდიოდნენ. დღეს ჩვენთანაც, ისევე როგორც სამედიცინო პერსონალის ყველა წარმომადგენლის ოჯახში, მსგავსი სიტუაციაა. შეეცადე, ამჟამინდელ ვითარებას დადებითად შეხედო — მე თუ ყოველდღე არა, ყოველ მეორე დღეს მაინც ვბრუნდები შინ, ომის დროს მარტო დარჩენილ ქალებს კი ამის ბედნიერება არ ჰქონდათ.

— უჰ, პირდაპირ ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი, — გაბრაზდა ეკა, — რომელ წუთს რა

გადაგედება, შენი პროფესიის პატრონს, არ ვიცი. მერე ამ პატარაზე ვნერვიულობ, საგიჟეთში რომ უნდა მოველინოს ქვეყნიერებას. საქართველოში ვერ გაეფრენილვარ — საზღვრები როდის გაიხსნება ამ ოხერი კორონას გამო, არავინ იცის. მოკლედ, მე-შინია, მოზღვაებული ბედნიერებისაგან თავს რამე არ ავუტეხო.

ქალს ცრემლები მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა და სამზარეულოში გავიდა.

— გადაივლის, ესეც გადაივლის, — ჩაილაპარაკა ლევანმა, — ამაზე უარესი გადაუტანია ჩვენს ქვეყანასაც და მსოფლიოსაც. უბრალოდ, როდის და რა ფასად, საკითხავი, აი, ეს არის. მთავარია, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი შეეწიროს ამ პანდემიას. დანარჩენი ყველაფერს ეშველება.

ეკა მისაღებ ოთახში გამოვიდა და ქმარს კითხვის ნიშნით შეხედა.

— გაიგე, გუშინ მიუნხენში რა ინფორმაცია გავრცელდა? კლინიკებში უკვე იმდენი გარდაცვლილია, რომ დამკრძალავი ბიუროები გადაივსო. ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, დასაფლავებამდე ან გვამების დაწვამდე მათ ღროებით დასასვენებლად ძველი პინაკოთეკა გამოიყენოს.

ექიმს უსიამოვნოდ გააჟრჟოლა და პირში მწარე გემო შეიგრძნო. შემდეგ თავს ძალა დაატანა და გახუმრება სცადა:

— არა რა, ქართველებმა რომ მკვდრის პატივისცემა ვიცით, ისეთი ტყულია. იმის მეოთხედს რომ ცოცხალს ვაფასებდეთ, უკეთესად ვიქნებოდით. აქ აბა გარდაცვლილს სახლში ყოფნის უფლება არ აქვს. დაბერდები და მოხუცებულთა თავშესაფერში გიკრავენ თავს. მოკვდები და, დამკრძალავ ბიუროში გაყურყუტებენ მანამ, სანამ გასვენების დღე მოვა. ჩვენთან კი, მიდი, სულო და გულო, გაფშვიკე ფეხი საკუთარ ზალაში რამდენიც გინდა და იქამდე იბაი-რამე, სანამ არ მოგყირჭდება. თუკი სამეგრელოში ხარ, პანაშვილები იმდენ დღეს შეიძლება გაგიჭიმონ, რომ თავად მოგებზრდეს და ოჯახის წევრებს წაეჩხუბო, როდის დამმარხავთ, თქვე შეჩვენებულბო!

— კარგი რა, ასეთ რამეებზე სიცილი არ შემიძლია, — შეწუხდა ქალი, — ისეთი დრო მოვიდა, რომ ემიგრანტს უცხოეთში სიკვდილის უნდა ემინოდეს.

— შენ ეკა თქვი, — მხარი აუბა ლევანმა, — სულ ვფიქრობ, მე რომ ახლა წერილი წავიღო, ვინ გადამასვენებს საქართველოში?! უცხო მიწაზე რომ დამმარხო, ეკატერინე თალაკვაძე, იცოდე, საფლავში ამოვტრიალდები. იქ ისეთი მკაცრი კარანტინია, რომც წამიყვანონ, არავინ მოვა პანაშვილებსა და გასვენებაში. არადა, ასე ყოველგვარი შოუს გარეშე იმ ჩვენს მისაღებ ოთახში მარტოდმარტო გამოტვა ძალიან მომაბეზრებელია და ცოტა არ იყოს, მეზარება.

— მორჩი ახლა ამ სისულელეს რა, — ცოლი წამოდგა და ოთახიდან გავიდა, — ხომ იცი, ისედაც ვნერვიულობ.

– ჰოდა, ზუსტად ამიტომ ვცდილობ შენს გახალისებას, – კაცმა უღიმღამოდ გაიცინა და წასასვლელად მოეშადა, – სანამ დავწვები, მაღაზიაში უნდა წავიდე და მთელი კვირის სანოვაგე მოვზიდო, თორემ შემდეგი დღეების განმავლობაში საავადმყოფოდან ალბათ ისეთ დროს მომიწევს გარეთ გამოსვლა, რომ მაღაზიები დაკეტილი იქნება.

– ჯერ ისაუზმე, დაიძინე და მერე წადი. ასე ნამორიგევი და გასავათებული სად მიდიხარ?!

– დილაადრიან თუ არ წავედი, მერე აღარაფერი დამხვდება. ხალხი ისეთ პანიკაშია, თვეების მარაგს ყიდულობს და სახლში მიაქვს, – ლევანმა ორი მეტრის მოშორებით მდგარ ცოლს სიყვარულით სავსე ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, სამსახურიდან წამოღებული ნიღაბი ზურგჩანთიდან ამოიღო, ცხვირ-პირზე აიფარა და კარი გაიხურა.

IV

მარტის მიწურული იდგა. ქარვისფერი მზე მიუნხენის ქუჩებში უშურველად იღვრებოდა. ღვთისმშობლის მოედანზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო. შაქარყინულისფერი ახალი რატუმის ნეოგოთურ სტილში ნაგები შენობა მდუმარედ ასვეტილიყო. სასახლის ცენტრში ზურმუხტისფერი, ორსართულიანი ჩარდახი შეკიდულიყო. აივნის ზედა სართულზე ბავარიელ ჰერცოგ ვილჰელმ V-ისა და რენატე ლოთარინგიელის XVI საუკუნის მეორე ნახევარში შემდგარი შეუღლება იყო ასახული ფერადი ფიგურებით. ქვედა სართულზე მეკასრეები გამშებულებიყვნენ მხიარული ცეკვის სხვადასხვა პოზაში. შავი ჭირის ეპიდემიის დასრულებისას, 1517 წელს, სწორედ მეკასრეებს უკისრიათ სახლებში შეყუჟული მიუნხენის მოსახლეობის გამხსნევა, დაცარიელებულ ქუჩებში გამოსულან და ჟამიანობისაგან გათავისუფლების მაუწყებელი როკვა დაუწყიათ. ქალაქის ისტორიის სწორედ ამ ეპიზოდს ასახავდა ჩარდახის პირველ სართულზე ცეკვისას გაქვავებული მეკასრეების სცენა. როდესაც დილის II საათი შესრულდა, ახალი რატუმის 43-მა ზარმა ჩამოკრა. ზარების გუგუნის ფონზე ჩარდახის ფიგურები გაცოცხლდნენ და რამდენიმეწუთიან სპექტაკლში ჩაებნენ. აივნის ზემო სართულზე ჰერცოგის ქორწილის საპატივსაცემოდ ბავარიელი ძალოვანი ლოთარინგიელ ფალავანს შეებოდა. ამ შერკინების მაყურებელ პაჟებსა და მუსიკოსებს მებრძოლებისათვის წრე შემოერტყათ. ქვემო სართულზე ფერადად ალიცლიცებული მეკასრეები ფეხმარდ ფერხულში ჩაბმულიყვნენ და ამით ხალხს შავი ჭირის დასრულებას ამცნობდნენ. სევდიანი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მიუნხენის ტურისტების ეს ერთ-ერთი ძირითადი სამიზნე გაზაფხულის ამ სიცოცხლით სავსე დღეს მაყურებლის გარეშე დარჩენილიყო. მოგუგუნე ზარებისა და ახალისებული ფიგურების დილის წარმოდგენის ერთადერთი ერთგული მჭვრეტელი დიაგნოსტზე მდგარი ქალთა ტაძარი გახლდათ, რომელსაც თავის

ვის ორივე კომპურაზე ფირუზისფერი ბერეტები ძველებური ელევანტურობით ჩამოეფხატა და ახალი რატუმის ბინადრების ყოველდღიურ სანახაობას თვალს ზანტად ადევნებდა.

ლევანმა ღვთისმშობლის მოედანი უხმოდ გადაჭრა. უკვე ყველაფერი ეყიდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ტუალეტის ქალაღლი გამხდარიყო სანთლით საძებნელი. უკვე ხუთი მაღაზია შემოიარა და ყოველი მათგანიდან გაწბილებული უკან ბრუნდებოდა. როგორც მშრალი, ასევე ყოველგვარი სველი ჰიგიენური საშუალება უკვალოდ ალგვილიყო პირისაგან მიწისა. ახლა კი მიხვდა, თუ რატომ დაიპარეს კლინიკიდან დამლაგებლებმა და ვინ იცის, ეგებ მედპერსონალის ზოგიერთმა წარმომადგენელმაც ტუალეტის ქალაღლი, ნიღბები და ერთჯერადი ხელთათმანები. რადიოში მოისმინა, რომ იტალიაში წითელი ღვინო გამქრალიყო დახლებიდან, საფრანგეთში – კონდომები, გერმანიაში კი – ტუალეტის ქალაღლი. ჩინეთში აღმოცენებული და უკვე კოსმოპოლიტად ქცეული ეს გვირგვინოვანი ვირუსი მძიმე ფილტვების ანთებით მიმდინარეობდა და არა ფალარათით. ამიტომაც ვერ ამოეხსნა ექიმს ეს ფენომენი, თუ რატომ დაიტაცა ხალხმა ტუალეტის ქალაღლი. ახლა „რევეს“ შემდგომ ფილიალში მიემუხრებოდა იმ იმედით, რომ იქ მაინც მოიპოვებდა სანუკვარ საქონელს და სახლში საპირფარეშოს გვირგვინად ქცეული ამ აუცილებელი ატრიბუტის ერთი შეკვრით ხელდამშვენებული დაბრუნდებოდა.

მაღაზიაში ხალხმრავლობა იყო. ადამიანები დაზაფრული სახეებით საშოვარზე გამოსულიყვნენ და ერთმანეთს უფრთხოდნენ. ზოგიერთს ცხვირ-პირზე კისერზე მოხვეული შალი აეფარებინა, სხვებს – ქურთუკის საყელო, ზოგს – ლევანის მსგავსად ნიღაბი და მავანნიც უშიშრად, ყოველგვარი საბურველის გარეშე ეგებებოდნენ 21-ე საუკუნის მრისხანე ვირუსით გამოწვეულ საფრთხეს. ექიმმა ჰიგიენური საშუალებების განყოფილებისაკენ აიღო გეზი და ჰოი საოცრებავ, ფერადი ხელსახოცების ასორტიმენტს მოჰკრა თვალი. საქმე ის გახლავთ, რომ აღარ იყიდებოდა არათუ ტუალეტის ქალაღლი, არამედ ფურცლის მსგავსი და მონათესავე ჯურის ისეთი სახეობებიც, როგორიცაა სამზარეულოს ქალაღლი, ხელსახოცები, ერთჯერადი ცხვირსახოცები და თაბახის ფურცლები. ასე რომ, ეულად შთენილი, დათუნიებით მოხატული ხელსახოცების დანახვაზე ქართველ კაცს გული სიხარულით აუჩქროლდა, ერთ შეკვრას ხელი ნაჩქარევი მორიდებით დაავლო და თანხის გადასახდელად გასწია. მოლარეს გაუღიმა, თუმცა მყისვე მიხვდა, რომ თვალებით უნდა გაეღიმა, რადგანაც სახეზე პირბადე ჰქონდა აკრული. შემდეგ ფული გადაიხადა და მორიგეობითა და ნავაჭრის მონადირებით დაღლილ-დაქანცული სახლისაკენ გაემართა.

ეკა დივანზე ფეხმოკეცილი იჯდა და კითხულობდა.

– რას კითხულობ?

– ალბერ კამიუს „შავ ჭირს“.
– აქამდე არ გქონდა წაკითხული?
– როგორ არა, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობის გამო ისევ მომინდა გადამეკითხა.

– დღესაც თვალნათლივ მახსოვს ის სცენა, როდესაც შუალაძეზე ექიმი რიე და ტარუ კარანტინში ჩაკეტილი ქალაქიდან ზღვაზე გადიან საბანაოდ, – ლევანმა თვალები დახუჭა და გაირინდა.

– და გრანი რა საოცარი პერსონაჟია?! შედეგის დაწერაზე რომ ოცნებობს და თავისი ცხოვრების მთელ წლებს მომავალი, დაუწერელი წიგნის მხოლოდ პირველი და ერთადერთი ფრაზის დახვეწას ანდომებს, – ეკამ მზერა აივნის მოაჯირზე ჩამოკიდულ ქოთანში აყვავებულ ქრიზანთემებს გაუშტერა და მთვარეულივით წაილაპარაკა, – აი, ეს ფრაზაც: „მამის ერთ მშვენიერ დილას ელევანტურმა ამორძალმა თავისი შესანიშნავი წაბლა ცხენი ბულონის ტყის აყვავებულ ხეივანში შეაჭენა“...

– უპ, მეც მომინდა ახლა ხელახლა წაკითხვა, – ლევანს საიმოვნებისაგან გააჟრჟოლა და დაფიქრებით ჩაილაპარაკა, – საოცარი კაცია კამიუ, თანამედროვე ევროპის სინდისი.

ეკა ფიქრებიდან გამოერკვა, წიგნი გვერდზე გადადო და ქმარს სახეში სიყვარულით შეაჩერდა.

– რა ქენი, იყიდე ყველაფერი?

– კი, ოღონდაც ვეჭვობ, რომ გერმანიის მოსახლეობას მალე სამოთხეში დაბრუნება მოუწევს, ოღონდ არა სულიერად, არამედ საყოფაცხოვრებო კულტურის თვალსაზრისით.

ქალმა ქმარს გაკვირვებით შეხედა. ფართოდ გახელილ თვალებზე ეტყობოდა, რომ ვერაფერი გაეგო.

– ტუალეტის ქაღალდი ყველგან დედაბუდინად არის გამწყდარი, – განუმარტა ლევანმა და გაიღიმა, – ასე რომ, უახლოეს მომავალში ლეღვის ფოთლებსა და მისთანებზე გადასვლა მოგვიწევს.

– შენ რა გითხარი, ამ გაჭირვებული მდგომარეობის დროსაც რომ გეხუმრება, – ეკამ გულიანად გაიცინა და დაამატა, – აბა, შენ რა გეშველება, არ ვიცი. ბოტანიკაში საკმაოდ მოიკოჭლებ და მცენარეების ერთმანეთისაგან გარჩევა გაგიჭირდება. თუ გახსოვს, თავის დროზე მე გაგათვითცნობიერე იმაში, რომ წიწიბურა ხეზე არ იხსამდა და ასე კაკალივით ვერ დაბერტყავდი. სხვას არ დავეძებ და, მე იმის მეშინია, რომ თუკი ასეთი დრო დაგვიდგა, ჭინჭრის ფოთლები არ აგერიოს ლეღვის სამყურაში, თორემ მე შენთვის სულის მპერავი არ ვარ.

კაცმა გადაიხარხარა, შემდეგ უცბად დასერიოზულდა და მოიდუმბა, თითქოს რაღაც გაახსენდაო. ტანში უეცარი სისუსტე იგრძნო, ცივმა ოფლმა დაასხა და რამდენიმეჯერ დაახველა.

– რა დაგემართა? – ცოლი ტახტიდან შემოფოთებული მზერით წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით სამზარეულოში გავიდა, – ჩაის დაგისხამ. ისაუბმე და დაწე.

V

ყოველდღიური ყოფა დღითიდღე დამძიმდა. საავადმყოფოები ინფიცირებულებით გადაივსო. ექიმები და ექთნები არაქათამოცლილები მუშაობდნენ მანამ, სანამ დაეცემოდნენ. სამედიცინო კადრები ისე გაჭირდა, რომ პენსიაზე გასული მედიკოსების სამსახურებში დაბრუნება გახდა საჭირო. ბევრი ახალგაზრდა მოხალისედ ეწერებოდა მოძღვლელების სიაში. მეთოდი, რომელიც ლევან ჯაფარიძემ ქალბატონი ველმანის შემთხვევაში უკიდურესი საჭიროების სასოწარკვეთილ იარაღად გამოიყენა, სამედიცინო პრაქტიკის რუტინად იქცა. ახალგაზრდების გადასარჩენად ხანდაზმულების სასიკვდილოდ გაწირვა აურაცხელ სნეულთან შედარებით ნაკლები რაოდენობის სასუნთქი აპარატის არსებობამ ყოველდღიურ აუცილებლობად აქცია. მოხუცი ადამიანები სიცოცხლის შემანარჩუნებელი მოწყობილობებიდან იხსნებოდნენ და ადგილი კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ მათზე გაცილებით უმცროს პაციენტებს ეთმობოდა.

კლინიკების შემდეგ ყველაზე შავ დღეში დამკრძალავი ბიუროები აღმოჩნდნენ. კრემატორიუმები კონვეიერული მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ. სანამ გარდაცვლილებს დაფერფლავდნენ ან ტრადიციული გზით დაკრძალავდნენ, მათი მოსათავსებელი ადგილების პოვნა საშინლად უჭირდათ. გერმანიის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ გვამების დროებით დასასვენებლად ბიბლიოთეკები და მუზეუმები გამოეყენებინათ. ამ უცნაური ფუნქციის შესრულების პატივი მიუნხენში თავდაპირველად ძველ პინაკოთეკას ხვდა წილად. ახალი და უახლესი პინაკოთეკები, ისევე როგორც გლიპტოთეკა, რიგში ჩამდგარიყვნენ.

ძველ პინაკოთეკაში უჩვეულო განწყობა სუფევდა. ალბრეხტ დიურერის „ოთხ მოციქულს“ ასეთი მღვდარე დამთვალეირებლები ჯერ არასოდეს ენახა. მიუხედავად ამისა, დიპტიხონის მარცხენა ფალანგზე გამოსახული იოანე მანც უნაპირო სიმშვიდეს ასხივებდა. მახარებლის ბაცი სისხლისფერი, სანგვინიკური მანტია მის გვერდით გამოხატულ და ქრისტიანობის მრწამსის გასაღებით ხელდამშვენებულ, ფლეგმატურად მდგარ პეტრეს ტანს ნაწილობრივ უფარავდა. ორივენი გადაშლილი საღმრთო წერილის კითხვაში ჩაფლულიყვნენ. ნახატის მარჯვენა ფრთაზე ფერმწერს თეთრ მოსასხამში გახვეული პავლე წარმოეჩინა. მოციქულს დახურული ბიბლია და მახვილი ერთნაირი სიმტკიცით ეპყრა ხელს და სკეპტიკური, მელანქოლიური მზერით ცხედრებით დახუნძილული მუზეუმის დარბაზს აკვირდებოდა. მის უკანა ფონზე მარკოზ მახარებელი მოჩანდა, რომელსაც ერთ-ერთ მტევანში დახვეული გრაგნილი ეჭირა და ქოლერიკის ძრისხანე მზერით განზე იცქირებოდა.

„შეუხდე, მამაო, რამეთუ არ იციან რას იქმან“.

რემბრანდტის „ჯვარცმის“ წინ განსაკუთრებით ბევრი ადამიანის ნეშტი დაესვენებინათ. ეკლისგვირ-

გვინდადგომულ, შუბლზე სისხლმდინარე მაცხოვარს თვალები ზე აღეპყრო და უფალს კაცობრიობის შეწყალებას სთხოვდა. სამსჯვალეებით განგმირული ხელისგულები და ტერფები სიყვარულისფრად შეფერვოდა. მრუმე ფერების უსასური კაცები იესოს ჯვარს აღმართავდნენ. ცენტრში ცისფერბერეტანი, მჭმუნვარე სახის ახალგაზრდა იდგა, რომელსაც შუბლი შეეკრა, მუქი ხორბლისფერი კულულები მარჯვენა საფეთქელზე ჩამოშლოდა და ღაწვები ღია ასკილისფრად შეფაგვლოდა. ორივე ხელით მესიის ჯვრის დედაბოძს ჩაბლაუჭებოდა და ასე მგლოვიარე თანამზრახველებს ჩვენი მხსნელის ჯვრის აღზევაში ეხმარებოდა. ეს თავად ფერწერის დიდოსტატი გახლდათ, რომელსაც საკუთარი თავი ავტოპორტრეტის სახით ჯვარმცემლებს შორის წარმოეჩინა.

ყოველთვის მიყვარდი, ძია ვან რეინ. მიყვარდა შენს ოქროსფერ შუქ-ჩრდილებში ზანტად მოლიევი მტერის ნაწილაკები. ამ ნახატის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდი. მეც მაქვს შენთვის რაღაც სათქმელი, ჩემო მეზვერევ. მეც საშინლად ცოდვილი ვარ. მეც შენთან ერთად ჯვარს ვაცვი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ჩემო ვან რეინ!

VI

ლევან ჯაფარიძე ორი კვირის განმავლობაში ებრძოდა კორონავირუსს. უფრო სწორად, ეპიდემიას თავიდანვე ხმალამოღებული შეხვდა, ისევე, როგორც მისი სხვა კოლეგები. მაგრამ ახლანდელ შერკინებას სულ სხვა სახე ჰქონდა. როლები შეიცვალა. ამჟამად პოლიგონს პირდაპირ მის სხეულში გადმონაცვლა და ფრონტის ცხელი ხაზი პაციენტად ქცეული ექიმის ფილტვებზე გადიოდა. გამძვინვარებული ლომივით შებმოდა ახალგაზრდა კაცი წუთისოფლის გვირგვინოვან აბსურდს. ქალბატონი ველმანისაგან განსხვავებით, მედიკოსებს იგი სასუნთქი აპარატიდან არ მოუხსნიათ. არაფერი დაუკლიათ წინა რიგებში თავგანწირვით მუდამ მუხლჩაუხრელად მეომარი თანამებრძოლისათვის. მეურნალობამ მაინც არ გაამართლა. ვარდობისთვის პირველი დილა თენდებოდა, როდესაც გადაწყვიტა, მტერს დანებებოდა. გულგაჩერებული ჩაბარდა მუხანათურად მომხვდურს. სწორედ იმ დღეს გახდა ორმოცი წლის. მიაღწია, ვიქტორ ჰიუგოს თქმით, ახალგაზრდობის სიბერის ასაკს და საშუალოდ გაირინდა. ომში დაეცა თავისი საქმის ერთგული ჯარისკაცი, მამაცი მამაცთავანი.

VII

ეკა მაგიდასთან იჯდა და ცილინდრის ფორმის მომცრო, ვერცხლისფერი მეტალის ურნას დამტერებოდა. თვალები ჩასისხლიანებოდა, თავი ტკივილისაგან უსკდებოდა და სიცოცხლეშინავლული მზერა გაქეპებოდა.

— პანდემია ჯერ კიდევ მძვინვარებს. ქვეყანა კვლავ საგანგებო სიტუაციის რეჟიმში რჩება, — ოთახში დაღვრილი რადიოს ხმა საიქიოდან მო-

წეულ ჰანგებს წააგავდა, — საზღვრები დაკეტილია. სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლა შეჩერებულია. მუშაობენ მხოლოდ საავადმყოფოები, სასწრაფოები, სახანძროები, პოლიცია, სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები და ფოსტა.

ქალი შეირბა, თავი მაღლა ასწია, გაფართოებული თვალები ჩაღამებულ ჰორიზონტს შეუპირისპირა და ტანში გულყრის მომასწავებელი ნიშანივით ჟრუანტელმა დაუარა.

— ფოსტა ჯერ კიდევ მუშაობს, — ეს ერთადერთი აზრი ჩაცვიკულივით თავში უტრიალებდა. მონუსხულივით წამოდგა და საძინებლის კომოდის უჯრიდან მუყაოს პატარა ყუთი ამოაძვრინა. შემდეგ ურნას დახრახნილი სახურავი მოხსნა, შიგთავსის მოკრძალებული პორცია მარჯვენა მტევნის სამეულთ — ცერით, საჩვენებლითა და შუა თითით სამჯერ ამოიღო და მოტანილ პაწია კოლოფში ჩაყარა. ისე მოქმედებდა, თითქოს პირჯვარს იწერს და თან მარილის იოტისოდენა ნაწილი დიდი ჭურჭლიდან პატარაში გადააქვსო. არათითიდან ჯვრისწერის ბეჭედი წაიძრო, ისიც იმ მომცრო ყუთში მოათავსა, სახურავი დაახურა და რამდენიმე წამით კვლავ თავის ოთახში გაუჩინარდა. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა, ურნა დახუფა და ბანგდალეულივით თვალებდანიშნული სკამის კიდეზე მოჩვენებასავით უხმოდ ჩამოჯდა.

იმ ღამით ეკას თვალს რული არ მიჰკარებია. დილაადრიან ადგა და ნაჩქარევად ფოსტისაკენ გაეშურა. გულმკერდზე საგანგებოდ შეფუთული საშუალო ზომის ამანათი მიეხუტებინა.

სანდომიანი გამოხედვის მქონე, ჩასუქებულმა ქალბატონმა, რომელსაც ცხვირ-პირზე ნილაბი აეფარებინა, გზავნილს დახედა.

„აღღვომის აღმართი №7, 0133 თბილისი, საქართველო“, იუწყებოდა მისამართი.

— ფუთა 2,7 კილოგრამს იწონის. ფასი წონის მიხედვით არის. თქვენს შემთხვევაში 87 ევროა გადასახდელი.

— ინებეთ, — ეკამ მოხელეს თანხა გაუწოდა, შემდეგ მუქი შავი ფერის მზის სათვალე ხელის ავტომატური მოძრაობით შეისწორა და ისე, რომ ქვითარს არ დალოდებია, გასასვლელისაკენ გაემართა. როდესაც ფოსტის შენობას ტოვებდა, იგრძნო, რომ ნაყოფი პირველად იძრა. ადამისა და ეკას შთამომავალმა დედის საშვილოსნოს კიდურები წამიერად მთელი ძალით მიაბჯინა და შემდეგ კვლავ მიეუჩნა.

პლატონის ერთ-ერთ ადრეულ დიალოგში „ფედონი“ კკითხულობთ, რომ როდესაც სოკრატეს სიკვდილის წინ ჰკითხეს, თუ სად სურდა იგი დაეკრძალათ, ფილოსოფოსმა უპასუხა:

— თუკი გარდაცვალების შემდეგ მიპოვით, სადაც გენებოთ, იქ დამმარხეთ.

ლევან ჯაფარიძე თავის მონატრებულ ქვეყანაში მშვიდობით დაბრუნდა და იმ მიწაში ჩაიფერფლა, რომელიც აგრერიგად უყვარდა.

ნინო მანუშაშვილი



ბერდია

მამის გაკიცხვამ თითქოს გული ატკინა ონისეს და არ იძინებდა. დაგიბერდა მეტოქე და კიდევაც რომ მოკლა, რაღას დაიღეჭება იმის ხორციო, გაეხუმრა.

უდროოდ დაადგა მთაგრეხილების გზას, შუადღისას. ბლომად ჰქონდა ისარიც და მოთმინებაც. არ დაბრუნდებოდა ხელცარიელი ამ ჯერზე. სულაც არ დაბრუნდებოდა, მანამ იმ რქებდაწყობილ ჯიხვს მხარზე არ გაიდებდა... ბერდია ბატონის ფერხით არ დადებდა ნანადირევსა... ტყუილად ხომ არ ერქვა ფხოვის საუკეთესო მონადირე?! იმ ერთმა საფარეხომ როგორ უნდა შეარცხვინოს მრავალნაცადი?

შემოაღამდა კლდეში ბოდილით. არსად მოუკრავს თვალი ჯიხვისთვის კი არა, მოწიწებული ბალახისთვისაც კი. კლდის ნიში ნახა და მოიხსნა მშვილდი. ახლავს გაღეჭა დედის დაცხობილი ხაჭაპური. ნაბადი მიაფინა ღრმულში და მეორე პირი ზედ წამოიფარა. არც უფიქრია ცეცხლის დანთება. იცოდა, კვამლის სუნი დააფრთხობდა ოთხფეხსა. გაინაბა ძილის მოლოდინში გაუმართლებლობით დაღლილი. მოღრუბლულ ცას ახედა...

შუალამისას გამოაღვიძა წვიმის წკაპუნმა. ერთიანად დასველებოდა ნაბადი. ძლივას დაითრია დამძიმებული და წამოდგა. მისი ნანახი ალაგი წყლის სადინარი თუ გამოდგა, თქრიალით ატარებდა ქვევითკენ კლდის ზემოდან მოვარდნილ ცის ნამსა. რა უხეროდ შევარჩიე ღამის სათევით, იფიქრა. ახალი საფარის ძებნა მოუწევდა და ცეცხლის დანთებაც გასაშრობად. იარა ერთხანს ბნელში და შედგა გაცეცხლებული: ჩვილი ბავშვის ღნავილი მოესმა წვიმის თქეშში სულ ახლოს. დააყურა და მიჰყვა ხმას. ნამდვილად ჩვილი იყო და არა ზმანებით ნაკარნახევი. ერთხანს კიდევ ატარა ცნობისწადილმა

თუ გაჭირვებულის ძახილმა ონისე. გაიელვა მოქუფრულ ცაზე. ნათლად დაინახა ნადირთათვის მიუვალი, კაცის თავის სიმაღლის ალაგზე ღიობი; შავად იცქირებოდა უსინათლო დევის ამოღამებული ცალი თვალივით. უფრო მკვეთრად მოესმა ღნავილი, ფეხის სადგამად გამოთლილ საფეხურებს შეეჭვიდა და აიზიდა ძლიერი მკლავით.

ერთხანს ვერა გაარჩია სიბნელეში. გაიელვა ისევ და კლდის შექანებულ ნიშში შავად დაღანდა რაღაც. შუაგულ ქვაბში კერიის ცეცხლის ალაგად მონაცრულიყო მიწა. ბავშვი გაუჩერებლივ ტიროდა, მაგრამ ვერას ხედავდა ონისე ისევ ჩამოწოლილ ბნელში. არა ევნო შველის ნაცვალ, იაზრა. დაიმუხლა და კვეს-აბელით გააჩინა ნაპერწკალი. შემას მიუწყო იქვე მიყრილი ბალახის ხმელი ღერები. ნახევრად ჩამწვარ თბილ მორს იოლად გაუჩნდა ცეცხლი. გაანათა და სითბო დატრიალდა გამოქვაბულში. გაჩუმდა ბავშვი. წამოიმართა ონისე. ქვეშაგებს მიხედა და ცნობამხდელ ქალად შეიცნო. დედის გულთან მიწვენილი ჩვილი ისევ აბღავლდა. დასწვდა ბავშვსა ონისე და ფრთხილად აიყვანა. ერთთავად სველი იყო ჩვრები. გააძრო და გაათბო ცეცხლის პირას შიშველი ვაჟი. ქალის თმიდან გადავარდნილი მანდილი მონახა და შემოახვია გაჩუმებულს. მშრალი ალაგი უნახა და მიუწვინა დედას. დააცქერდა ქალსა. მიცვალებული ხომ არააო, იფიქრა. თბილი ჰქონდა შუბლი... უფრო კიდევ ცხელი... მკერდიდან უნებურად გამოდევნილ რძეს დაესველებინა გულისპირი... აფოფინდა მშვენიერი ბავშვი... პირსახით მონახა რძიანი სამოსი და დაუწყო წოვა...

გახევდა ონისე. ვერა შველის ქორფა ჩვილსა, თუმცა კი აქვეა დედაცა და საკვებიც. სითამამე მოიკრიბა და გულისპირზე საკინძე შეუხსნა ქალსა, თვალი აარიდა სპილოსძვლისფერ სითეთრეს, მკლავში მოჰკიდა ხელი, მხარით მიუწვინა ჩვილსა დედა. ხარბად დაეწაფა დამშეული ბაღლი დედის რძეს. მოსცილდა ონისე და ცეცხლს მიუჯდა. დიდხანს ესმოდა ძალუმი ყლაპვის ხმა, მერე ხანგამოშვებითმა წკლაპუნმა შეცვალა.

მიჩუმდა მალე ყოველი და წყნარი სუნთქვა გაისმა. დაეძინაო, იფიქრა და ახლავს მოაშორა თვალი ცეცხლის ენებს. სხვის ვარამზე ფიქრი მოეძალა უნებურად. – აქ რა უნდა ქალსა, ახლად მოლოგინებულსა, ალბათ? მარტოსა? მერე ხორაგიც რომ მოუზიდავს ვიღაცას? ეგებ ბარიდანაა უკვე მოთავებული ომის გამო გამოხიზნული მთაში? მერე რა საჯიხვევებამდე ამოსულა დალოცვილი? სოფელი არ იყო ფხოვსა, ერთი დიაცი დაეტია? – წამოდგა და სველი ნაბადი კარის ღიობს ააფარა. სითბოს დაიჭერსო, გულში გაივლო. ცხენის ფრუტუნი მოესმა და გაიხედა გარეთ. ელვამ გაანათა

არე; კლდოვანზე უმხედრო რაში დადიოდა დინჯად. თქემში მოყოლილს ფაფარ-ძუიდან წურწურით სდიოდა წყალი.

უთენია ბავშვის ღნავილმა გამოადვიდა ონისე. ისევ მოესწრო ჩასვლელება ცელქსა. წვიმაში გაველებული სახვევი გამშრალიყო ცეცხლის პირზე. მარჯვედ გამოკრა ბავშვი შვილმრავალ ოჯახში გაზრდილმა და ახლა სველი მანდილი მიფინა გასაშრობად. გაეცინა გუნებაში: ჯიხვის მოსაკლავად წამოვიდა და დიაცის საქმეს კი მოჰკიდა ხელი. ისევ სიცხიანსა ჰგავდა ქალი. ასწითლებოდა ღაწვები და ბორცვავდა ქვეშაგებში.

ქვაბის კართან დატანებული კლდეში ამოჭრილი ქვევრი გავსილიყო საგანგებო სადინარზე ნავალი წვიმის წყლით. ხის გობით წყალი ამოიღო. პირსახეზე სველი ჩვარი მოუსვა და ორიოდ წვეთი ჩააფლაპა სნეულს. ქოთანს მონახა და კლდეში გაჭრილ მშრალ ორმოში ნაპოვნი ხორბალი გარეცხა. ცხელ ნაცარში ჩადგა თავდახურული. ნაბადი მოაცილა კარსა. აკეცილი თოკის კიბე დალანდა მარცხნივ, კლდის სვეტზე გამობმული. გაიხედა გარეთ.

უწინდელი აჩეხილი მებრძოლი სამეფო პატარ-ძალივით მორთულიყო. ახალ თოვლს დაეფარა მიდამო. ერთხანს სიამით უცქირა მოთეთრებულ მთასა და გვიან დაედმანჭა სახე: ამ თოვლსა და ლიპში როგორ გაიყვანს სნეულ ქალსა და ჩვილს? ცხენი კი დგას იქვე, მაგრამ სოფლამდე ჩასვლა არ უნდა კაცსა? მაშ, აქ მოუწევს დგომა, მანამ ქალი არ მოიკეთებს და ფეხზე დადგება? მერე რომ ჩაიკეტოს გზა; თოვლს თოვლი მოემატოს? ანდა რომ მიიცვალოს სიცხიანი? გული შეეკუმშა უდებოდ დარჩენილი ჩვილის წარმოდგენაზე და ისევ მიაფარა ნაბადი კარს. თიხის ქოთანს ახადა. უნებურად შეშინებულ მხერას გადააწყდა: გონს მოსულიყო ქალი, მძინარე ჩვილისთვის მოეხვია ცალი ხელი და გულში ჩაეკრა. დამფრთხალი ნადირივით უცქერდა ონისეს... თითქოს კაცთა მოღმისგან ელის უმეტეს ვნებასაო...

— ნუ გეშინია, ქალავ... არას გავნებ... — ქოთანს ჩახედა ონისემ. გაფუებულიყო კორკოტი. ხის ჯამი და კოვზი მონახა კლდის ნიშში; დაუდგა ქვეშაგებზე მწირი ტრაპეზი. თვალი მოჰკრა წამით, კისრამდე აებნია ქალსა ღილები. მოშორდა შეშინებულსა და დაუყვა კლდეში გამოთლილ საფეხურებს.

ცხენს თოვლის ქვეშ ჩამბალი ბალახი უნახა და ისევ ქალის სამყოფს მიაშურა ონისემ. გამოქვაბულამდე მივიდა და შედგა. ზანტად აცოხნებულ პირუტყვს მიხედა და შიმშილი იგრძნო თავადაც. მოსცილდა კლდის ძირსა და მალე აუყვა ნადირის ფეხისგან თოვლში დამჩნეულ ბილიკს.

ერთხანს იარა და ჯიხვის ნაფეხური იცნო, სულ ახალი, ბარდნაში ფიფქისგან დაუფარავი. სუნთქვაც

შეწყვიტა განაბულმა და კლდის შვერილს მოეფარა. ნელა გადაიზიდა მხარმარცხნივ და ლანდივით გამოეზარდა შავად დარჩენილ დაქანებულ კლდეს. ფიფქიანი ცის ფერზე, ფეხმოუკიდებელ ქიმზე იდგა უწინდელი მეტოქე. დინჯად უცქერდა მონადირესა და არა ფიქრობდა დაძვრას. დამარცხებული, მაგრამ ამაყი მეომარივით ეუბნებოდა მხერით ონისესა: აჰა, ვაჟკაცი, გნებდები... განა ვერ გაგეცლები, მაგრამ ყოფა მომბეზრებიაო... აჰა, და დამკალ, გამატყავე; რქისაგან ყანწი გააკეთე და ხორცი ხორცად მოიხმარე. არც ისეთი ბებერი და გაულეჭავი ვარ, ბერდია ხევისთავს რომ ჰგონიაო... აჰა, და დამკალ, მომიხმარე-მეთქი. უკეთესი და უმეტესად ღირსეული ვერავინა ვნახე, რომ ჩავბარდე... მტერსაც ამორჩევა სდომებია და ახლა გეტყვი მე: უღირსი მტრის ხელში მამაციც დალაჩრდება და ზურგიდან დაიწყებს პარვასაო.

ერთხანს გარინდებული შესცქერდა მშვილდ-მოზიდული ონისე ჯიხვსა; უსმენდა მის თოვლიან ჩანჩქერად წამოსულ აზრებს, მარტო მთიელი მონადირე რომ გაიგებს, იმდაგვარ ენაზე თქმულსა და ენანებოდა კიდევ სასიკვდილოდ. ატირებული ჩვილი გაახსენდა და ორი მუჭა ხორბლის ამარა დარჩენილი დედა იმისი... კარგად ამოიღო თვალში და სტყორცნა ისარი. შექანდა ამაყი. უკან გადაადგო ძალუმად ნასროლმა. შეშინდა ონისე: ხევი არ ჩაიჩეხოსო, იფიქრა. თითქოს, ნააზრს მიუხვდაო ოთხფეხი, დაკოდილმა წინ წამოდგა მუხლი. თავქვეზე გადმოეშვა და გორვით ჩამოვიდა მონადირის ფერხთამდე.

ხელი ვერ დააკარა ბერდიას ძემ კლდის მეფესა. თავისივე ნასროლ ისარს უცქერდა, ჯიხვისთვის გულის გამძობსა, უკვირდა ყოფა: მთელი ცხოვრება ჯიხვებს დასდევს; უამრავი გაჰქცევია და ბევრიც დაუხოცავს; ასე ლანგრიტა და ხონჩით, მზის აწვერვამდე არცერთი არ მოუკლავს. ეგებ სამამაცოდ და თავის მოსაწონებლად რომ არ უნდოდა მხარზე ჯიხვმოგდებულსა ფხოვის ბილიკების დავლა, მიტომ ჩაუვარდა საკბილო იოლადა. მართლა რომ საკბილოდ უნდოდა და მშვიერის დასაპურებლად, მიტომ თუ? სათუთად გამოაცალა ისარი და სატრფოსავით ნაზად მოიგდო ზურგზე. უკან მიჰყვა თავისივე ფეხით გათელილ თოვლს.

მკლავებზე აიწია და ნაბადს მიაწვა მხრით. ფეხი შედგა ქვაბში და მშვილდ-ისარი მოიხსნა. ჯიხვის გატყავებული ბეჭი სუფთა კლდეზე დადო და დაბლა ჩაბრუნდა. მალევე მოადგა ხელმეორედ გამოქვაბულის კარსა ონისე. ზურგზე მოკიდებული, სველი ფიხის კონა გადმოიღო და ჩამწვარ ცეცხლს შეშა დაუმატა. ერთი შეხედვითაც მიხვდა, წამოსადგომი ძალა მოეკრიბა ქალსა: მანდილი აღარ ჩანდა მიფენილი ცეცხლთან. კორკოტიანი ჭურჭელი

სამზადის ნიშში მოეთავსებინა. თიხის მოზრდილი ქოთნით წყალი ჩაედგა ნაცარში. პირით კელისკენ გადაბრუნებული არ იძვროდა. მხოლოდ ბავშვი ფათფათებდა გაუჩერებლად. ატირდა ისევ. ქალმა გვერდი იბრუნა და გულზე მიიწვინა გასათბობად. გაცვეთილი ნაბადი მიაფარა უკეთ.

— როგორა ხარ, ქალო? — თვალი გაუსწორა ონისემ. არა უპასუხა დიაცმა. წამით მოხედა ღამფრთხალმა მხოლოდ. არ მიაქცია კაცმა ყურადღება ღუმელსა და განაგრძო საუბარი: — უცნაური რამ შექმთხვა დღესა... — ჯიხვის ბეჭს წამოავლო ხელი და ხანჯლით აათალა სამწვადე. წინდაწინ გათლილ წკირზე წამოავო და შემოდო ცალკე. ორიოდვე გაამზადა. ხელი დაიბანა წვიმის ნადგამი წყლით. ჩამოჯდა ისევ ცეცხლთან. ნაკერჩხლის დაყრას დაუცადა. — რაც თავი მახსოვს, მონადირე ვარ, ქალავ... დილიდან საღამომდე და ღამიდან ცისკრის ვარსკვლავამდე ამ ღრანტებზე რომ ვეგდო, ბედს არ შევჩვილებ... ოღონდ მეტოქე და ძალაში მოქიშპე მეგულებოდეს საჯიხვეზე... — გაჩუმდა წამით. — რამდენიმე წელია, დავდექ ერთ რქანაყარსა, — სამწვადეზე თვალ უყო ქალსა, — დღეს კი მომაკვლევიან თავი უბრალოდა. მოდი და მომკალო, მითხრა. — უგრძნობელად შესცქერდა ქალი. არც სიხარული უჩანდა თვალში და არც წუხილი; არც გაოცება და არც უდარდელობა; სევდა უღვიოდა გულში... — მოდი, მომკალ და მოისვენო, — ცეცხლის ალს გაუყინა მზერა ონისემაც.

აფოთფოთდა ისევ ჩვილი. წამოდგომა დააპირა დედამ ატირებულის დასამშვიდებლად და დაიკვნესა უნებურად. ტკივილმა დაუდარა უნაოჭო შუბლი.

— მოიცა, ქალავ... მე მომეც! — სათუთად აიყვანა ჩვილი და ქალის გაოცებულ თვალებს აარიდა მზერა. — ცხრა შვილი ჰყავს დედასა; მე მეორე ვარ და მომდევნოზე კარგად უფროსი. ჩემ თვალწინ დაიზარდნენ დანარჩენები. კი თაკილობს დიაცის საქმედ მითვლილსა თავმომწონე კაცი, მაგრამ ბაღლის თამაშსა როგორ უნდა უცქირო გულგრილად?... — ძირსვე ჩამოჯდა და კლდეს მიეყრდნო. გულზე მიიწვინა ჩვილი. წვერში წაავლო მოფათფათე ხელები ბაღლმა. გულიანად გაიცინა ონისემ. — რადა ჭირვეულობ ვაჟკაცო? სახელი რა გქვია, მეტყვი, ბიჭო?

— ბერდია, — ჩუმად ამოთქვა ქალმა და ისევ მიწვა წამოწეული. გაიღიმა კაცმა. მამა გაახსენდა და ქილიკი გაცუდებული მონადირისა. მოკვალ, ხევისთავო, გაუღეჭავი და სამწვადეც ავაქენო, გაიფიქრა და არა თქვა.

— მე ონისე მქვია, ქალავ... მოკეთდი და წაგიყვან სოფელსა... დაგაყენებ სადმე... — შიშით აენთო თვალი ქალსა. ჩვილისკენ გაექცა დაზაფრული მზერა. აუცახცახდა მკლავები. წამოდგა ონისე და

მიაწოდა გამოწვდილ ხელებში ყრმა. ჩაიკრა დედამ გულში და აქვითინდა. ვერა გაიგო ბერდიას ძემა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა და მერე შამფურს წამოავლო ხელი.

გაუღეჭავი არ ეთქმოდა ბებერი ჯიხვის ზორცსა, მაგრამ მაინც ვერა ჭამა ქალმა. ისევ კორკოტიანი ჯვამი მიუდგა ქვეშაგებთან ონისემ. არც ხელის განძრევის თავი აღმოაჩნდა სნეულს... ჭამაზეც უარს ამბობდა. შესცქერდა მოპრიალბულ კლდესა... საღამოხანს გაუახლდა ზურვება. ბოდავდა სიცხიანი და ვინმე ლუკა ბერს უხმობდა საშველად... თუძცა რაღა ვინმე? იცნობდა ონისე შავოსანსა. ბოლო წლებია, ამ მიდამოებში იდგა ბერი. ხშირად გადაჰყრია ნადირობისას და საზრდოც უწილადებია მისთვის. იცოდა ონისემ, მიცემულ ნანადირევს ქერივ-ობოლს ურიგებდა სოფელში. ამაღ არ ინანებდა არასდროს ნადავლს. ეგებ ამ ქვაბშიც იყო ლუკა ბერის სადგომი? თვალი მოავლო ჭერსა და შავად დახატული ჯვარი დალანდა თაღზე... რაღაც წარწერებიც გაეკეთებინა წვრილადა უწინდელ მდგმურსა, ლოცვები თუ? უწიგნური თვალი მოაცილა კლდეს და ისევ ქალს მიხედა. აღარ ბოდავდა სნეული. უმიზნოდ შესცქერდა ონისეს; არც მუდართა და თხოვნითა... არც საყვედურითა ან იმედითა... არც შიშითა... ვერც ბერდიას ძემ გაიგო, როგორა.

* * *

მეოთხე დღე იყო, რაც გადაუღებლივ თოვდა. დროდადრო ამოვარდებოდა ქარბუქი. მიწის საფრად დადებულ ფიფქს ჰაერში ასწევდა; თვალით დაუბნელებდა მგზავრსა; ფეხს აურევდა ნადირსა; უფსკრულში გადაჩეხდა ნაბიჯმოუზომავ ჯიხვსა.

ონისემ ნაბადს შეშად მოტანილი ტოტები დაუდო ტიხრად ქარის მხრიდან. ქარიშხალი გაიტაცებდა მატყლის კარსა სხვაგვარად. გარეთ არ გაისვლე-ბოდა ბოლო დღეს. თოვდა და ღმუოდა.

— კიდევ კარგი, სადგომი ვუნახე ცხენსა... გამოქვაბულია მოშორებით, აქედან დაბალზე... იმედია, ნადირი არ მიადგება გიშერასა... შავია, როგორც უმთვარო ღამე, ქალავ, — მიაბრუნა კისერი მწოლი-არე ქალისკენ. — აქიმი გინდა, ქალავ, მგონია... — ისევ შიში დაინახა მუნჯად ქცეული ქალის თვალში.

არა და არ გამოკეთდა ბეჩავი. დილით დაუწევდა სიცხე და შეწყვეტდა ბოდვას. ღამიანად უმატებდა ზურვება. ბორგავდა და ვერა ჩერდებოდა ქვეშაგებში მშვიდად. რიჟრაჟამდე თავს ადგა გონწართმეულს. ატყობდა ონისე, ერთიანად სველი ჰქონდა გულისპირი: დედის მომეტებულ რძეს ვერ აუდიოდა ჩვილი; მიტომ თუ არ გამოკეთდა ქალი? რას გაუგებდა დიაცის ზნესა? ერთს კი მიხვდა: კაცთა სახილველად გაურბოდა სნეული. ავი თუ შეამთხვიეს რამეო, იფიქრა ბერდიას ძემ და არ ჩაე-

ძია. ახლაც შემთხვევით წამოსცდა და უწინდელი შიში დაინახა დედის მზერაში. კიდევ ერთი ენიშნა: ჩვილს გულგრილად ექცეოდა ხანდახან დედა. ყურადღებას არ აქცევდა ბაღის ჩხვილსა, ფიჭვი თუ წაიღებდა სადღაც. ტიროდა ხშირად, როცა გარეთ დაიგულებდა ონისეს. რამდენჯერაც დაბრუნდა კარში გასული, იმდენჯერ თვალცრემლიანი დაუხვდა დიაცი.

— რად აღარ მეტყვი, რად გაურბი ადამის ძეთა, ქალო? — უფრო მოიკუნტა საბრალო შიშისგან.

— თუკი მოსისხლე გყავთ, ნულარ მერიდები, არავის დავაჩაგვრინებ თქვენს თავსა... მიფიქრია და ვერა გამგია შენ გამო, — აღარ გაჩუმდა ონისე, რაკი ერთხელ გაბედა. დაღალა გონება უპასუხო კითხვებით. — ცხენი, ალბათ, შენი ქმრისა თუა... ომში წავიდა კაცი? უშხედროდ დაბრუნდა პირუტყვი? მიტომ ტირი და ყოფა აღარ გინდა? ამ საბრალომ რაღა დაგიშავა? მამის ხატებად დაგრჩება დედასა... — ყინულივით გაშეშებული უცქერდა ქალი ონისეს. ბოლო სიტყვაზე მოეშვა ერთიანად და აქვითინდა. ჩამოშვებული მკლავებიდან დაუგორდა ჩვილი. ძლივას უწვდინა ხელი ონისემ, ჩვრებში სწვდა და არ დააცადა კლდის ფილაზე დახეთქება. აბლაღლდა მაინც ვაჟი, დედის გულცივობა თუ იგრძნო. ხმას მოუმატა დიაცმაც. სისხლი კეფაში მოაწვა კაცსა. ჩვილი გულზე მიიკრა ცალი ხელით და მეორეთი მხარში სწვდა სნეულს:

— შენ რა დედა ხარ, ქალო? რა დაგიშავა ამ საბრალომ, სასიკვდილოდ რომ იმეტებ?... მშიერი გიგდია ერთთავად, რძე კი ვერ გეტევა მკერდში... შენ რა დედა ხარ-მეთქი? — სუნთქვა გახშირებოდა აყვირებულ ბერდიას ძესა. თვალისგან რისხვას აფრქევდა. გარინდებულიყო ქალი და აცანცახებული შესცქერდა დინჯად გაცნობილის სიფიცხეს. გონს მოეგო კაცი, ხელი გაუშვა და ბავშვიანად მიუჯდა ცეცხლს... ბოლმა მოაწვა ყელში. რწევა დაუწყო დასაწყნარებლად ატირებულ ბაღლსა და დაადინა მალე.

— თემიდან მოკვეთილი ვარ მე! — გაცოცხლდა მიხედა ონისემ ქალსა. წამომჯდარიყო ქვეშაგებში, უგრძნობი ხმა გაჰყინვოდა და ცეცხლისთვის გაეშტერებინა თვალი. — ყველამ უარი თქვა ჩემზე: დედამ, მამამ, ძმებმა... ჩაქოლვა დამიდგინა სოფელმა... — გააჟრჟოლა ციებიანივით. — თავადაც არ ვიცოცხლებდი თავსა, მაგრამ დამამწყვდიეს გომურში... ერთმა ყაბალახიანმა მთიელმა მიხსნა, აქეთ წამომიყვანა და ლუკა ბერს მიმაბარა... აქ შემომასხლა შავოსანმა... ეგ ცხენიც მისია... ომის ხანად წავიდა ბარში... ზემოთ ქვაბში იდგა თავადა... საზრდოს მიწილადებდა და მინახავდა მეცა... მარტო მომადგა პირუტყვი... არა მითხრა, რა უყო მამა... — ისევ უგრძნობად იდგა ქალი... ცრემლი გაშრობოდა და

ვარამის სიტყვით გაჟღერებაზე აღარ ედგა თვალში, თითქოს.

— ვინ გაგიმეტა, ქალავ? მითხარ! არ ვაცოცხლებ! — ბოლმა მოაწვა ყელში ბერმუნის ამონაყარსა...

— მკვდარია ძალი ისედაც... — ხმა გაეყინა ქალსა, სიძულვილი აენტო თვალში. — მე არ გავეც... ველოდი, თავად ეთქვა კაცობის შერცხვენა... სანამ მე განმსჯიდნენ უხუცესნი, თავი მოუკლავს ლაჩარსა... ლუკა ბერმა მითხრა წასვლის წინ... — დადუმდა და თვალი გაუსწორა ონისეს. — შენ კიდევ გინდა, იმისი მონაგარი ვაცოცხლო? ვინც ყოფა გამიმწარა და ქალობა დამიქცია, იმისი ჯიში ვამრავლო? არ მჯერა არც შენი და არც ლუკა ბერის შეგონებისა მე... ვერასდროს შეიღოს ვერ დავინახავ სიყვარულით... სულ მაგისი მოძალადე მშობელი მედგება თვალწინა... — გაიცინა მწარედ და დაამატა: — მამის ხატებად დამრჩა დედასა... — გულგრილად შეხედა მიძინებულ ჩვილსა. წამოწვა და ზურგი მიაქცია ონისეს. ჩუმად აქვითინდა ბნელში.

* * *

უწინდელივით დამუნჯდა სნეული. ჭამა აღკვეთა სრულიად. რძეც გამოეღია მკერდში და ბავშვმაც უმატა ტირილს.

ცხენის ჭიხვინმა გამოაღვიდა ონისე. წამოდგა თხლად დაგებულ თივაზე მიწოლილი და დედაშვილს მიხედა. არა ტიროდა ჩვილი. ქალიც მეორე დღეა, უგონოდ იყო. ვაჟის სიმზურვალე არ მოეწონა ბერდიას ძესა. ერთხანს ფიქრობდა რაღაცას. მტკიცე ნაბიჯით მოშორდა ქალის ქვეშაგებს. ნაბადი მოაცალა კარს და გარედ გაიხედა. მშვიდი დღე გაეთენებინა არსთაგამგეს. მზეც გამოჩენილიყო მოწმენდილ ცაზე. ცხენი დაბარებულივით ფრუტუნებდა და ტორებით თოვლს თელავდა.

მონადირის ბოცა წყლით გაავსო; ხმელი ხორცი გამოკრა აბგაში; იარაღი აისხა და დაეშვა თოკის კიბეზე. გიშერას სადგომისკენ გასწია. მოიტანა უნაგირი და შეკაზმა. მშვილდიც დაკიდა ზედვე და გამოქვაბულში დაბრუნდა. ერთხანს კიდევ უცქირა დედა-შვილსა. თითო-ორი წვეთი წყალი ჩააყლაპა ორივეს. ნაბადი ძირს გაშალა. ჯერ უგრძნობი ქალი აიყვანა ხელში და დააწვინა ზედ, შემდგომ სიცხიანი შვილი მიუწვინა მკერდზე. მანდილი მოხსნა დედას და ჩვილი მიაბა გულზე. მიაფარა ქვეშაგები. ნაბადი კარგად ამოუკეცა და აიყვანა ხელში. ფრთხილად დაეშვა თოკის კიბეზე. თოვლზე დააწვინა ქალი და უკან აბრუნდა. კიბე მოხსნა კლდესა. ნელა დაუყვა საფეხურად გამოჭრილ სადგამებს. ფეხი უცურავდა თოვლიანზე. ერთხანს იწვალა და მოახერხა ბოლოს: მხრებზე მარყუჟად გამოიღო თოკი და დამოუხლა ქალთან. აიყვანა ხელში და ნაბდიანად მიიკრა გულზე. შემონასკვა მჭიდროდ და წამოდგა. ქარბუქი

თუ ამოვარდებოდა, არ დაუვარდებოდა დედა-შვილი აწი. უთქმელად დამუხლულ გიშერას გაცეხულმა მიხედა. მამისეული ჩალისფერი ჭაკი გაახსენდა, პატრონის დაკოჭლების შემდგომ ფეხდრეკას რომ დააჩვიეს ბალებმა. ლუკა ბერის ლოცვა თუ შემეწევავო, იფიქრა და მოექცა ცხენს ზურგზე. მძიმედ წამოდგა პირუტყვი და ფრთხილად გაუყვა ჯერ იოლად სავალ გზას.

* * *

მოზრდილი დარბაზის შუა ადგილზე კერიის ცეცხლი გიზგიზებდა. უქრობელი ნათელი სხივებს ფენდა ბინდშემოპარულ სამყოფში. გარეთ დილით მიძინებულმა ქარმაც დაიწყო კვნესა. მალე მთლად ჩამოლამდა თოვლით მოსილ არემარეზე. სნეულის თავთან მიმჯდარი ხნიერი დიაცი წამოდგა და მძინარეს მოშორდა. დარბაზში ურდოვანი სარკმელს მიეახლა და დააყურა: ქარი ზუზუნებდა გაუსაძლისად. გარეთ გასვლას არ ჰქონდა აზრი: უკვე აღარაფერი გაირჩეოდა ბნელში.

ისევ ტახტთან ჩამოჯდა სამფეხაზე და ქალის ტალავარს დაუწყო ფერადი ძაფით ჯვრების ამოყვანა. სადიაცოს თუ უმზადებდა რძალსა. თავი ანება ისევ: თვალი ერეოდა ჭრაქის შუქზე. ცხენმა დაიფრუტუნა გარეთ. შეირხა მართა. არავინ ეგულებოდა მოსასვლელი, ერთის გარდა. დიაკვანმა გიორგიმ და ფოფოლია ანამ ცარო გააცილეს მახლობელ დედათა მონასტერში. მორჩილად შედგომა გადაეწყვიტა ქალსა. ხვალამდე არ დაბრუნდებოდნენ შინა. შავლეგო და ვახტანგი ბარში საზამთროდ დაყენებული ცხვრის მისახედად გაჰყვნენ მეფის რაზმსა: დრო იყო, შეეცვალათ შალვა და თამარი. მცირეწლოვანი მამუკა და რძლები მეორე სამყოფში ეგულებოდა ოჯახის დედასა. ბაქარი და მათე კერიის ცეცხლს მისწლოდნენ და უსიტყვოდ შესცქერდნენ ქალის შფოთვას.

ისევ დაიფრუტუნა ცხენმა გარეთ. თვალი გაახილა სნეულმა ბერდიამ. მართა წამოდგა და მიაცქერდა კარს.

— ცხენით არ წასულა ონისე, კაცო! — ქმრის უთქმელ კითხვას გასცა პასუხი. ახლა ფეხის ხმა მოისმა წინკარში. მოსულმა დააბრაუნა გადარაზულ კარზე. წამოხტა მათე და გადაადრო ურდული. მოაწვა ვილაც ხესა და იოლად შემოაღო. ჯერ ვერ გაარჩიეს მოსულის ვინაობა: ნამქერი შემოჰყვა თან ონისეს. მათემ ძნელად მიხურა ქარისგან გაკავე-

ბული კარი. ბაქარი მივარდა ძმასა და დაუპირა ტვირთის გამორთმევა. შედგა გაცეხული და თოკს დაუწყო მარყუქის ძებნა. მართა ადგილს შეჰყინვოდა ონისეს თმა წვერზე მოდებული თოვლივით. ხან გათოშილ შვილს უცქერდა და ხან ქმარსა. როგორც იქნა, გახსნა ბაქარმა ნასკვი. კერიისკენ დაიდრა ჯიხვის მოსანადირებლად წასული, ცეცხლთან ახლოს ძირს დაუშვა მსუბუქი და გზაში დამძიმებული ტვირთი. ნელა გადახადა ნაბადი. გაყინული ხელებით მანდილით მიბმული ბავშვი მოხსნა ქალსა და დააყურა. თბილი იყო ჩვილი, სუნთქავდა მშვიდად. ქალსაც აუდიოდა გულ-შეკრდი. ახლავა მიმოიხედა ირგვლივ: გახევებულნი შესცქერდნენ ონისეს იქ მყოფნი. მხოლოდ ბერდია დასცქერდა ცნობამიხილ ქალსა პირსახეზე: ამაყ-დარდიანი სხივი უკრთოდა თვალში.

— ვისია, შვილო, ქალი? — მართამ ჩვილი გამოართვა შვილსა, გულში ჩაიკრა გამოღვიძებული და დაუყვავა... მათე გაგზავნა ქალების სახმობად გვერდით სამყოფში. — ონისე, შვილო? — დედის კითხვას ვერ გასცა ერთხანს პასუხი ბერდიას ძემ. მამას გაუსწორა წარბშეყრილი თვალი. გაუკვირდა, რაც იქ ამოიკითხა და ისევ დედას მიხედა.

— სადა ნახე ამ ყინვა-ყიამათში, ძმაო? — ბაქარმა ნაბლიანად აიყვანა სნეული და დიაცთა სამყოფში დაუპირა შეყვანა. მართა გადაუდგა და შეაკავა შვილი. ისევ ონისეს მიუბრუნდა:

— შენ გეკითხები, კაცო! ვისია-მეთქი ქალი და ბაღლი? — უკვე ბრაზი მორეოდა ოჯახის დედასა ხმაში...

— ჩემია, დედი... — მზერა გაუმართა მართას. მზარში გაიშალა. — ჩემია და თუ არ მიიღებ, შენი ნებაა... ერთსა გთხოვთ მხოლოდ... გამოკეთდეს სნეული და გაგეცლებით მერე... — ერთხანს უჩუმრად იდგა დიაცი. ქვეშაგებში წამოძვდარ ქმარს მიხედა. მერე უკანა კარში გახევებულ უფროს რძალს მიაწოდა ჩვილი და გზა დაუთმო ბაქარს. უთქმელად გაეცალა მოსულსა და ქმარს მიუჯდა ისევ. ისევ ფხოვურ სადიაცოს დაუწყო წვალემა. მათე გამოვიდა უჩუმრად და გარეთ გავიდა. დაღლილი, მუხლებდაყვლეფილი ცხენი დააბინავა და შემობრუნდა.

ბერდიას გაუმართა გაურჩეული თვალი ონისემ. ისევ ის ამაყ-დარდიანი სიხარული დაინახა მამის მზერაში. ვერა გაუგო ვაჟმა. ძმის გვერდით, სამფეხაზე დაეშვა და ცეცხლის ენებს დაუწყო თვალთვალი. გალხობა დაეტყო შეყინულ სამოსს...



ქვის სახელი

მზე ქარაფებზე ობობას ქსელივით გაიშალა თუ არა... ქალაქ შიხანის მცხოვრებნი ზაფხულის ძილისაგან გამოფხიზლდნენ, კირით შეღესილი ქვის სახლები დატოვეს და საშოვარზე გავიდნენ. სასტუმროს მფლობელმა იმამ იბნ ქადირმა თავზე წითელი ფერის კუბოკრული თავსაბურავი მოიხურა, დილის ნამაზი შეასრულა და დეზირეს გასძახა, რომ საუზმე მოემზადებინა!... კაცმა ღინჯად და აუღელვებლად მიირთვა სურნელოვანი ყავა, ზედ ქარვისფერი რაჰათლუკუდით დააყოლა, ცოლს და ბავშვებს დაემშვიდობა და ქვით მოკიწყვულ გზას დაადგა.

ბატონ იმამს სასტუმროს მოსაცდელში წარმოსადგევი გარეგნობის კაცი დახვდა, რომელსაც, არაბი კაცების ჩვეულებისამებრ, თავზე ინდიგოსფერი თურბანი ეხურა, მარჯვენა ხელის არათითზე კი, ფირუზისთვლიანი ძვირფასი ბეჭედი. უცნობი, იბრაჰიმ აბდალას სახელით გაეცნო მასპინძელს და თავისუფალი ოთახი მოითხოვა.

სინამდვილეში კი სტუმარი, სულაც არ იყო არაბული წარმოშობის იგი, ერთი, შვეიცარიელი მკვლევარი იოჰან ლუდვიგ ბერქჰარდტი გახლდათ. კაცს სისხლში გამჟღადარი მოგზაურობის ჟინი და დაუცხრომელი სურვილი მოსვენებას არ აძლევდა, ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმით ეცხოვრა, ამიტომ იძულებული გამხდარიყო, მუსლიმი კაცის სახელითა და გვარით გაცნობოდა იორდანელ სასტუმროს მფლობელს.

იბრაჰიმ აბდალამ, როგორც კი თავისი ნივთები დააბინავა, მაშინვე ქალაქის შუაგულისაკენ გაემართა... ტანსაცმელი გამოიცვალა, ტანზე გუტრას ბამბისაგან ნაქსოვი თეთრი ტუნიკა ჩაიცვა, ფეხზე მსუბუქი სანდალები მოირგო, რაც მეტად მოსახერხებელი იყო შიხანის ქვიან და მტვრიან გზებზე სასიარულოდ და ქალაქის შუაგულში განთავსებულ ჩაიხანისკენ გაემართა. იქ კი, ხშირად იყრიდნენ თავს სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები: მოგზაურები,

უბრალო ბედუინები, მდიდარი შეიხები და ზოგჯერ ჩვეულებრივი ქურდბაცაცებიც კი... დაჯდა, მიმტანს მაგარი ჩაი შეუკვეთა და ირგვლივ მყოფთ ინტერესით დაუწყო თვალიერება. მეზობელ მაგიდასთან რამდენიმე ბედუინი თვლევამორეული ისხდა და გრძელტარიან ჩილიმს ახრჩოლებდა. ჰაშიმის მომწვანო კვამლი ოთახში გველივით იკლავებოდა და მწკლარტე ბალახის სუნს ტოვებდა ჰაერში. ჩაიხანას აქლემზე მჯდარი ორი პირმობურული კაცი მოადგა. დუჟმორეულ ცხოველებს ეტყობოდათ, რომ მთელი გზა შეუსვენებლად ევლოთ. მეზავრები ჰაშიმით გაბრუებულ კაცებს წამოადგნენ და რაღაც უთხრეს მშობლიურ ენაზე. ამ დროს, მუსიკოსებმა თარი ააჟღერეს, ინსტრუმენტს დაქნილი თითები ჩამოკრეს და დარბაზის შუაგულში სცენაც განათდა. მკრთალ შუქზე ქალის სილუეტი გამოიკვეთა. აზულია! — აღმოხდა ერთ-ერთ მათგანს და თვალებად იქცა. ეს ქალი, სწორედ ის იყო... ვინც მას უძილო ღამეებს უფრთხოვდა, რომელიც ერთი წლის წინ მამამისისგან ორასი ცხვრის საფასურად იყიდა. ქალი ქორწილის ღამეს გაუჩინარდა და ვერავინ იპოვა. დიდი ხნის ძებნის მერე ოჯახმაც და ბებერმა საქმრომაც თავი დაანება, ყველამ ჩათვალა, რომ ქალი უდაბნოს შეეფარა და სიკვდილს ვერ გადაურჩა.

ეტყობოდა, რომ იგი მეტად მშვენიერი იყო... შავი, სირმებიანი გრძელი მოსასხამი მხრებიდან ჩამოუცურდა და დამსწრეთა თვალწინ ქალღმერთივით აისვეტა. ქალს გლუვი, სწორი მუცელი და პატარა ჭიპი მთვარის სპეკალივით უბრწყინავდა. სახეზე ჩამოფარებული ვერცხლის ძაფებით ნაქსოვი გამჭვივრვალე ტარაჰა ყოველ ამოსუნთქვაზე ირხეოდა და უნაზეს, პატარა ნიკაპს აჩენდა. მის სამკაულის ბროუჩები და მარგალიტის სიმები წარმოადგენდა. ორი ნუშივით გაპობილი თვალის გუგვიდან ხან ავაზასავით იყურებოდა, ხან უნაზეს, სათნო ღიმილს აფრქვევდა. ტამტამებს აყოლილი ისე თრთოდა და კანკალებდა, თითქოს გველი იკლავებოდა ცხელ სილაზე. თხელი კვართი მჭიდროდ ეკვროდა კი პარისივით აღმართულ ტანს, რაც უნატიფეს ფეხებს და მუხლისთავეს უფრო მეტად მიმზიდველს ხდიდა. აზულიას ვნებამორეულნი უყურებდნენ მამრები, თითქოს ეს ქალი იყო თვით უდაბნო, მასში დამწყვდეული მთელი მშვენიერებით... თავისი ოაზისებითა და ბარხანებით, ცხელი დიუნებითა და შეუცნობელი მისტიკით... მისი მკვრივი ამობურცული მკერდი კლდეთა ქიმერები იყო, თვით ქალი კი... იშვიათი სილამაზის ყვავილი. აზულიას დატალღული თმა ჩრდილივით ეღვრებოდა მარმარილოს მხრებზე. ის ერთი განსაკუთრებული ჟინით უყურებდა ქალს. მის თვალებში სიხარბე, წყურვილი და ვნება ერთად არეულიყო. იბრაჰიმიც მონუსხულიყო ამ ქალის მშვენიერებით. მერე კი, რატომღაც ბრაზი მოერია, როცა წარმოიდგინა, ბანგით დამთვრალი, გაღეშილი ბედუინის ბინძური ზრახვანი. აზულიამ ცეკვა დაამთავრა, მუსიკა შეწყდა, ქალი თავდახრილი

დადგა ქვის პოზაში. შუქი ჩაქრა და, ისე გაცურდა იგი დარბაზიდან, თვალი ვერავინ შეავლო.

იბრაჰიმმა წელგაწყვეტილი ჭიქიდან შავი ჩაის ნაყენი ნელ-ნელა ჩაათავა და იქაურობის დატოვება გადაწყვიტა. გასვლისას კი, მეტად უცნაურ სურათს წააწყდა. ფოიეში ბნელოდა, მხოლოდ სუსტი შუქი ანათებდა ოთახს. იბრაჰიმმა დაინახა მშვენიერი აზულია, რომელიც ერთ-ერთ ბელუინს გაცხარებით ესაუბრებოდა. რატომღაც მოეჩვენა, რომ ზედმეტად აღელვებულიც იყო. მამაკაცი საუბრისას ვიღაცის სახელს ასხენებდა და ქალს ემუქრებოდა. აზულიამ დაინახა თუ არა იბრაჰიმი, სულ ერთი წამით შეაჩერა მხერა. კაცმა მის მომნუსხველ თვალები მუდარა და შიში ამოიკითხა. მალე ის ორნი გარეთ გავიდნენ და ხალხის ბრბოში გაუჩინარდნენ. მოგზაური მიხვდა, რომ აზულიამ განგებ დაადგო ქვის იატაკზე ძვირფასი აბრეშუმის მოსასხამი, რაც იმის ნიშნად ჩათვალა, რომ ქალს უნდოდა უკან გაჰყოლოდა იგი. იბრაჰიმმა უმაღლეს დატოვა ჩაიხანა, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო. გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეგო მათი ამბავი.

ცხელოდა. ქალაქი გაზურბულ თონესავით პარპალებდა. ვიწრო ქუჩებში დახლებზე: ფინიკს, გარგარს და ლეღვის ჩირს ყიდდნენ. თხელ, სიფრიფანა პურებს იქვე, ქუჩაში აცხობდნენ. იბრაჰიმმა ვერაფრით მოიშორა კაფანდრა გამყიდველი და იძულებული გახდა, რაიმე ეყიდა. იბრაჰიმს კი.. ერთი სული ჰქონდა, როგორმე დასწოდა იმ ორს, რომლებიც მიღეთ ხალხში უგზო-უკვლოდ დაკარგულიყვნენ.

იბრაჰიმის ახლანდელი მოგზაურობა, სულაც არ იყო მხოლოდ უბრალო გატაცება. მისი ყოფნა აღმოსავლეთში მთელ საკაცობრიო ისტერესებს წარმოადგენდა. კაცი ფიქრებმა შეიპყრო და მამის მიერ მონათხრობი ამბავი გაასხენდა... ერთ ღამეში გაუჩინარებულ ნაბადველთა ტომზე და მისტიკური ქალაქის პეტრას ზღაპრულ სილამაზეზე. ისტორიული წყაროები იუწყებოდნენ, რომ მისი უკანასკნელი თვითმხილველნი ქრისტეს საფლავის მცველი ჯვაროსნები ყოფილან. მის მერე ექვსასი წელი გავიდა, მაგრამ ვერავინ მიაკვლია „ვარდისფერ მარგალიტად“ წოდებულ მშვენიერი პეტრას კვალს. იქნებ... სილამ დაფარა მისი ზედაპირი, იქნებ... ცეცხლმა და ომებმა შთანთქა. დანადვილებით, არავინ არაფერი იცოდა. გადმოცემის თანახმად, პეტრაში იმეფა არეთმა და რაბელმა, მერე მოვიდნენ რომაელნი სიქის ხეობაში და ნახეს პეტრა. შეძრა ისინი ქვაში გამოკვეთილი ქალაქის სილამაზემ და ელ კაზნეს სასახლის ბრწყინვალეობამ. გაოცდნენ მეომრები, როდესაც იხილეს ადამიანის ხელით შექმნილი მშვენიერება. ფეხდაფეხ დაიარეს, თურმე ქალაქი და ალ ხაზნეს ტაძარში განძის საცავს მიაგნეს. ერთმანეთს დარევიან ჟინმოდგარი, სიმიდრეს დახარბებული მეომრები და ტყვიების ჯერი დაუშენიათ ულამაზესი პეტრასთვის. რომაელებმა

დამპყრობლებმა ასე დატოვეს დალდასმული და მკერდგანგმურული მშვენიერი პეტრა. მის მერე აღარაფერია ცნობილი... სამუდამოდ დაეღო ტაბუ ოდესღაც სიმიდრით განთქმულ ქალაქს.

იბრაჰიმმა შეიტყო, რომ ბელუინები, რომლებიც ჩაიხანაში იმყოფებოდნენ, ბელუის ტომიდან იყვნენ. ეს კი... ერთადერთი ტომი იყო, რომელიც სპარსელთა და რომაელთა შემოსევებს გადაურჩა და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. იბრაჰიმს მოსვენებას არ აძლევდა ეს ამბავი, უფრო მეტად კი, მის თვალწინ გაუჩინარებული უმშვენიერესი მოცეკვავე ქალის ბედი, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ ბელუინებთან ეგულებოდა. გზა სილით დაფარული ბარხანებისაკენ მიდიოდა. გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ბელუინებთან საერთო ენა გამოენახა და მათი ნდობა მოეპოვებინა. ისიც კარგად იცოდა, ბელუინები ფულის გამო არაფერზე იტყოდნენ უარს.

კუბოკრულჩაღმიანმა აქლემებს თივა დაუყარა, წყალი დააღვინა, უზანგები და ტყავის ჰიზამები კიდევ ერთხელ შეამოწმა და სამი ბელუინი და სამი აქლემი ქალაქიდან დაიძრა. საღამო ხანს სუსტმა ნიავმა დაუბერა ახალ ფაშას ბაღებიდან და ჟასმინის გამაბრუებელი სურნელი მოიტანა. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, თანდათან მოვარდისფერო სილუეტი გადაეკრა ქალაქის ქუჩებს.

იბრაჰიმი ბელუინების კვალს გაჰყვა. ქვიშისფერი აქლემი უზარმაზარი გემივით დაიძრა. კაცმა უდაბნოს გახედა. ყვითელი ქვიშის ზღვა ქალის თეძოსავით მორკალულიყო. ცხელი ალმური ასდიოდა დატალღულ ზედაპირზე. ჰაერში წვრილი მწერები ირეოდნენ და ზუილით იკლებდნენ იქაურობას. იბრაჰიმმა რამდენიმე ხანი ასე იარა. ბელუინებმა შორიდანვე შეამჩნიეს უცხო ადამიანი. იბრაჰიმმა აქლემი ააჩქარა, მათრაზი ღონივრად გადაჰყრა და მანაც ფრუტუნით განაგრძო გზა. საიდანღაც ცხელმა სამხრეთულმა ქარმა დაუბერა. იბრაჰიმს პირზე აკრული ჭრელი დარაია ჩამოსძვრა და ნესტოებში შეუძვრა უდაბნოს ჰაერი. აქლემი რამდენიმე მეტრზე მიუახლოვდა მგზავრებს. ბელუინებმა ნაბიჯი შეანელეს და მღევარს დაელოდნენ. წვრილად გამოჰკითხეს, თუ ვინ იყო და რატომ მოჰყვებოდა კვალში. იბრაჰიმმა აუხსნა, რომ მოგზაური იყო და წმინდა ქალაქ ვადი რუმისკენ მიემართებოდა, სადაც, გადმოცემის თანახმად, ბიბლიური მოსეს ძმის აარონის საფლავი ეგულებოდა. გამცილებელი ვერ ენახა და ამიტომ... მარტო გადაეწყვიტა მოგზაურობა. მას კი, როგორც ჭეშმარიტ მორწმუნეს, ალექსა ჰქონდა დადებული, რომ როგორმე მიეკვლია ამ წმინდა კაცის საფლავისათვის. არც ის დაუძლავს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ მათთან ერთად იმგზავრებდა, რადგანაც ზიფათისაგან უფრო დაცული ყოფილიყო. ბელუინებმა მის სიტყვებში საეჭვო ვერაფერი დაინახეს. მოწინავე ბელუინმა, სახელად სელიმმა უთხრა, რომ სიამოვნებით გაუწევდნენ მეგზურობას, თუ ას ღინარს გადაუხდიდა. ასი ღინარი

არ იყო პატარა ფული, იბრაჰიმი დაჰყავდა და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. ბელუნიებმა მგზავრი კვალში ჩაიყენეს და გზას გაუდგნენ.

ბელუნიებს აქლემებზე გადაიდებული წითელ-ყვითელი ფერის ორნამენტებიანი ფარდაები, წყლითა და სანოვავით სავსე ხაბაგი მსხვილი, ტყავის ქამრებით დაემკვრებინათ. ტკბილი ვაჟინის წვენივით იღვწებოდნენ მზე. უდაბნოს ხვატისგან დახრუკული ბელუნიები ცდილობდნენ, საღამომდე მოესწროთ. მზის მცხუნვარებას ისე ახლოს გრძნობდა იბრაჰიმი, თითქოს ლოყით ეხებოდა გამღლვალ ქვიშას. დრო და დრო მათარებიდან წყალს სვამდნენ, რომელსაც მომჟაო გემო დაჰკრავდა და გამშრალ ყელს ხრინწივით ეღებოდა. მომდევნო ქალაქამდე ორი დღის სავალი იყო. ღამე ნაშალი კლდის ძირში უნდა გაეთიათ, სადაც ბებერი ბაობაბის ხე იდგა. ხე, დაახლოებით, ასი წლის მაინც იქნებოდა.

უდაბნოს მკერდზე წითლად გაცურდა ჩამავალი მზის დისკო. შირაზული ვარდით გადაიშალა იგი და მთელი თავისი ბრწყინვალეობით ჩაებნა საღამოს პეიზაჟს კუპრივით შავ თმაში. იწვა უდაბნო... შიშველი და ვნებით ანთილი, კერტებდაბერილი და ქალივით მშვენიერი. იბრაჰიმს ამ სურათმა აზულია გაახსენა. რომლის გახსენებამ, რაღაც განუზომელი სევდა და მოთენთილობა მოჰგვარა. გულის ჯიბეში დამალულ ძვირფას მოსასხამს მოეფერა და თვალწინ დაუდგა მოცეკვავე ქალი. წარმოსახვაში აზულიას გრძელი აბრეშუმის კაბა ეცვა, როგორც საქორწილოდ მორთულ არაბ ქალებს. გამჭვივრავლე, როგორც ნისლის ბლანდი, მსუბუქი, როგორც ნია-ვი... ქალი მოდიოდა და ჩამოქნილი ფეხებით ქვიშაში ეფლობოდა. თითქოს... ნაკვეთჩნელებზე დააბიჯებდა იგი. მიირწოდა აქლემზე მჯდარი მოგზაური, ამ რწევამ ძილი მოჰგვარა. ბელუნიებმა მთვარეს ახედეს და ძველი სიმღერა წამოიწყეს. რაღაც სევდიანი მელოდია დაკარგულ ქალაქზე, რომელიც, ისე ღამაზი ყოფილა, როგორც იშვიათი ვარდისფერი მარგალიტი. ბელუნიებს ხმა ხორხიდან ამოსდიოდათ, თითქოს დახშული სულის სარქველს აღებდნენ, რომ ოდესღაც დაღეჭილი მოგონება წარსულის გამოძახილივით ამოეთქვათ. ბელუნიები გაბმულად მღეროდნენ, კისრებს დროდადრო აქლემებივით აქნევდნენ. ამ სიმღერაში იყო ყველაფერი: სინანული, სევდა თუ სიამაყე. მერე... სიმღერა შეწყვიტეს და ერთხმად დადუმდნენ, მხოლოდ სიოს ჩუმი სისინი და მშრალი ქვიშის ჩურჩული ისმოდა.

ბელუელი ბელუნიები ბაობაბის ხესთან შეჩერდნენ. რამდენჯერმე შემოუარეს ხეს, მისალმების ნიშნად თავი დაუკრეს, დახორკლილ მერქანს შუბლები მიაბჯინეს და რაღაც წაიბუტბუტეს იორდანულ ენაზე. მერე ისევ წამოუდგნენ ფეხზე, როგორც ცოცხალ კაცს თავყვანი სცეს და ხელაპყრობილებმა წვიმა შესთხოვეს. ეს იყო წვიმის მოსვლის რიტუალი, რომ აქლემებს წყალი ჰქონოდათ, მათ კი მათარები აეცსოთ მაცოცხლებელი სითხით.

აქლემებმა ფრუტუნით ჩაიმუხლეს და სახეობო-

რული კაცები კუხებიდან ჩამოცურდნენ. იბრაჰიმი გრძნობდა, რომ მათ შორის აზულიაც უნდა ყოფილიყო. თვალებით ეძებდა ქალს, მაგრამ ამ სამიდან ვერც ერთში ამოიცნო. იბრაჰიმმა აქლემს ტყავის აბგა მოხსნა. ლოცვის ჟამი დამდგარიყო... ყველანი მიწაზე განერთხნენ და ჩამავალ მზეს გახედეს. მან ვერცხლისსირმებიანი, მეჩეთამოქარგული ხალიჩა ქვიშაზე გაიფინა და მუხლებით დადგა. ხელები ცისკენ აღმართა, თვალდაუჭულმა სახეზე ხელი სამჯერ ჩამოისვა და თავისთვის ჩუმად ილოცა ისე, როგორც ნამდვილ მუსლიმს შეეფერებოდა. ყველანი ლოცვის ექსტაზში ჩაიძირნენ. ლომისფერი უდაბნო ფაფარაშლილი იწვა მათ ფერხითი, ნიავეიც კი არსაიდან იძროდა.

დაღამდა. ალაჰის ცრემლივით დაეკიდა ცაზე ვერცხლისფერი მთვარე. ბელუნიებმა ხმელი ტოტები მოაგროვეს და ცეცხლი დაანთეს. ქვიშაზე ჭრელი ფარდაები გაშალეს და სავანშმოდ მოემზადნენ. იმ სამი ბელუნიდან ორი უფრო მეტად სიტყვაუხვი აღმოჩნდა... მესამე საერთოდ არ საუბრობდა, რაღაც ჟესტებითა და ხელის მოძრაობით მიუთითებდნენ, რაც უნდა გაეკეთებინა. ისიც უმაღლესად მათ ბრძანებას. ისმაილმა ანიშნა, ფარდაგი გაეშალა. ფართხუნა, მუქი ფერის მაჰაბდის შარვალი ეცვა მას. თხელი აღნაგობის იყო, მხრებწერილი. ბელუნიებმა იბრაჰიმ აბლულა სავანშმოდ მოიპატიჟეს. მან თავი მდაბლად დაუკრა და ფეხმორთხმით დაჯდა. იმ მესამემ, იბრაჰიმს ისე ჩაუარა, წამით თვალი თვალში გაუყარა. ისევ ის ნაცნობი მზერა დაიჭირა. მიხვდა, მის წინ მშვენიერი აზულია იყო...

იბრაჰიმმა ტყავის აბგა გახსნა და რაც ჰქონდა, გულუხვად ამოალაგა: ნაჩქარევად ნაყიდი ფინიკის ნაყოფი, ხმელი თევზი, კამჩის ყველი, თხელი, სიფრიფანა პურები და სეზანის მარცვლებით შეზავებული ფუნთუშები. ბელუნიებს არ ჰქონდათ ასეთი მდიდრული ვახშამი. მათი ძირითადი საჭმელი ტკბილი ღვინო, გამხმარი ხურტკმელი, რახათ-ლუქუმი და მაგარი ჩაი იყო. ერთმანეთს მდაბლად დაუკრეს თავი და ვახშამობას შეუდგნენ. ის მესამე ზურგით დაჯდა და უთქმელად მიაწოდეს მცირე რამ. ღვინოს პატარა ვარაყიანი სასმისებით მიირთმევდნენ, რომელიც, წესისამებრ, ყველა მოგზაურს თან უნდა ჰქონოდა. იბრაჰიმმაც ამოიღო აბგიდან ოქროსფერი, ძვირფასი თვლებით შემკული სასმისი და მთავარ ბელუინს გაუწოდა. კაცმა დახედა და გახედა. ეს სასმისი იშვიათი ხელოვნების ნიმუში იყო, რომელიც მხოლოდ ერთ ადგილას შეიძლება ენახა იბრაჰიმს. ეს ადგილი კი... ელ ხაზნეს ძველისძველი სასახლე იყო პეტრადან. ბელუნიებს ფერი ეცვალათ, მაგრამ არაფერი შეიმჩნიეს. იბრაჰიმი მიხვდა, რომ „ძაღლის თავს“ მიაგნო და პირველმა წამოიწყო.

— თქვენ ალბათ ამ სასმისმა გაგაოცათ? — იქედნურად უთხრა მათ.

ისმაილმა ჯერ ღვინო ჩამოასხა, მერე კი ღინჯად უპასუხა, ისე რომ თავი არც კი აუწევია.

– სტუმარს არ ეკითხებიან თავისი ქონების შესახებ, მაგრამ იმდენად ძვირფასია ნივთი, მისი წარმომავლობის გაგება ყველასათვის საინტერესო იქნება!...

– რა თქმა უნდა, ასეცაა!... ეს სასმისი დიდი ხნის წინ შევიძინე... ერთი არაბი ვაჭრისაგან. მას კი... თურმე, ფეშქაშად რგებია ძველი მეგობრისგან. ამ უკანასკნელს ნივთის შესახებ ერთი უცნაური თქმულება გაუშხელია. სამისი, რომელიც მე ახლა მიჭირავს, სწორედ იმ ქალაქის საგანძურიდან ყოფილა, რომლის კვალსაც დღემდე ვერავინ მიაგნო. მე კი... ლამის, ერთი აქლების საფასური დამიჯდა მისი შეძენა! – თქვა მან და ღვინით სავსე სასმისს მთვარის შუქზე თვალებმოწკურულმა გახედა.

ბელუნიები გაფაციცებულნი უსმენდნენ იბრაჰიმს, რომელსაც თითქოს ხელის გულზე დაეღო მათი წინაპრების საიდუმლო და ნელ-ნელა ცდილობდა მოეხსნა ექვსასი წლის წინ დადებული ტაბუ. ორივე ბელუნი შეთქმულებით უცქერდა ერთმანეთს და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა.

ჰუსეინი უფრო ეშმაკი და მარჯვე აღმოჩნდა და სიტყვა შეაშველა...

– ეგ ამბავი თითქმის ყველა იორდანელმა იცის. ჩვენი მამა-პაპანიც გვიყვებოდნენ, როცა ბავშვები ვიყავით. ზღაპრად, ძილის წინ, რამდენჯერ მოგვისმენია დედებისაგან ეს თქმულება. ისიც გაგვიგია, იმ ადგილებში ჯინები და ღუგები სახლობდნენო. განა ეს დასაჯერებელია?... აი, სულ ეგაა, რაც ვიცით... მაგრამ შენ რატომ გაინტერესებს, მოგზაურო? როგორც თქვი, აარონის საფლავის საძებნელად ხარ წამოსული?!

– ხო, ნამდვილად ასეა, ალაჰსა ვფიცავ, აარონის საფლავი უნდა ვნახო, რომელიც, გადმოცემის თანახმად მაღაბაში მდებარეობს. მოსე აარონის ძმა კი, მოგეხსენებათ, ყველას წმინდანია, მხსნელი და გამათავისუფლებელი. მე კი თავისუფალი კაცების მჯერა და ვეთაყვანები. სწორედ თავისუფლების წყურვილმა მომიყვანა თქვენამდე. მაშ, გაუმარჯოს ყველა ნამდვილ კაცს, რომელიც არავის მონა არაა. არც ფულის და არც კაცისა!... – თქვა იბრაჰიმმა და მოტეხო სასმელი გადაჰკრა.

– კარგად თქვი, მოგზაურო!... მონა ქვეშევრდამა, ყველაფრის მქნელი, როგორც მღორე მდინარე. მონის აზრები ძნელად მისახვედრია. თავისუფლება არა არის რა, გარდა სიმდიდრისა... თუ ფული გაქვს, ესე იგი თავისუფალიც ხარ! რაც არ უნდა ლამაზი იყოს ქალი, მხოლოდ ას ღინარად იყიდის კაცი. მხოლოდ თავისუფალ კაცს შეუძლია იცოდეს ცხოვრების გემო. ალაჰმა თქვა – აჰა, ქალი და იბატონე!... კაცი ხარ და მბრძანებელიო!... ქალს ბევრი ფიქრი არ სჭირდება, ქალმა დაბადებიდან იცის, ქმრის მორჩილი რომ უნდა იყოს. ჰულისა, ჩემი მეორე ცოლი კი... არ ჰგავდა ჩვენებულ ქალებს. თავიდანვე ჯიუტი იყო. მამამისმა ისე იაფად მომცა, გამიკვირდა... მაგრამ მისმა თვალებმა და შავმა კუნაპეტმა თმებმა მომხიბლა. მე რა ვიცოდი, რა

ჰქონდა გულში. ის ქალი შაითანის შეპყრობილი აღმოჩნდა. თურმე სოფლად თავისი ბავშვობის მეგობარი ჰყვარებია, მე რა ვიცოდი... როცა პირველ ღამეს დავწექით, გამომიტყდა, რომ ქალწულობის აღთქმა დაერღვია. არადა... მე კაცი ვარ, ამას ვერ ვაპატიებდი!... მივედი და მამამისს ჩემი ასი ცხვარი უკან მოვთხოვე და თავისი შერცხვენილი ქალი სახლის ზღურბლთან დავუსვი. მე რა მეკითხებოდა, მე პირნათელი ვიყავი. ხო და, მამამისმა შეასრულა ყურანის მეშვიდე სურის კანონი. ქალს სიკვდილი ეკუთვნოდა, თანაც, სამაგალითო... გამოიყვანა თავისი სამი ვაჟი, გაუყენეს ჰულია ორხანის ველზე და ორმო იმხელაზე ამოთხარეს, რომ ქალი მუხლებამდე ჩამდგარიყო. თვალი არ დაუხამხამებია არცერთს... ხელი არ შეტოკებია არავის. ისე ესროდნენ ქვებს, თითქოს ჭრელი გველი იწვა მათ წინ. იკლაკნებოდა ქალი ტკივილებისაგან, სირცხვილისგან. მის გარშემო სისხლის ტბები დგებოდა, ის შავი თმები... მე რომ მიყვარდა, სისხლისფერი თავშალივით ჩამოეძენდა და სახეზე მიეწება... ბოლოს კი, გადავარდა, მოწყდა, როგორც გაკაფული ვარდი. არაფერი დარჩა მის ადგილზე ახოხოლავებული ქვის ყორის გარდა. მე კი... ვიდექი და ვუყურებდი... ჩემი ცხვრების საფასური ჩემი სინდისი იყო. აბა, მე ხომ კაცი ვარ?!... კაცის სახელი მაქვს მთელს მაღაბაში. წამოვედი და გამოვირეკე ის ასი სული ცხვარი, მაგრამ ღამდამობით, ძილი მიკრთება, სულ ჰულიას შავი თმები მელანდება, თითქოს ყელზე მეხვევა და მახროჩობს გესლიანი გველებით. მერე წამოვვდები და სიცილი მიტყდება, ჩემს თავზე ვბრაზობ, რომ ვერა და ვერ დავივიწყე ის ქალი.

– ხომ სწორედ მოვიქეცი, მოგზაურო! განა, შერცხვენილი ქალი საკადრისად არ უნდა დასჯილიყო? აა, შენ რას იტყვი, მოგზაურო? – დაბინდული თვალებით შეხედა ბელუნიმა.

იბრაჰიმმა არაფერი თქვა. გაფითრებული სახე ცეცხლის ალზე წამახულ ნაჯახს მიუგავდა, თვალებშიც ცეცხლი ჩასდგომოდა. იჯდა და თვალს არ ამორებდა მინავლებულ ნაკვერჩხლებს. როგორც აღსარებაზე მისულ ადამიანს, ისე სწყუროდა მას გულის გადამლა ამ უცხო კაცისათვის. თითქოს ის ღამე იყო უკანასკნელი ღამე მათ ცხოვრებაში...

ეს ქვეყანა მთელი თავისი ადათითა და წესებით ველურ ყვავილს ჰგავდა, რომელიც დაბლანდულ ქსელში ჰხვევდა მოფარფატე მწერებს, რომ მერე შხამიანი წვენიტ გაებრუებინა ისინი, თავის მუცელში მოექცია და მონელებული უკანვე გადმოენთხია. სასტიკი ცხოვრების წესით ისინი სწორედ ამ ღამაზე და ველურ მცენარეს ჰგავდნენ, ფოთლის მაგივრად ეკლები და უცნაური შეფერილობის ყვავილები რომ გამოესხა.

ბელუნიები ცეცხლს ხმელ ფიცხებს უმატებდნენ და ჩაის ადულებდნენ. გამურული ჩაიდან ცეცხლზე იდგა და ბრაზიანი კაცის გულივით თუხთუხებდა. უდაბნოს სული, შორიახლოს დაქროდა. იბრაჰიმს ეჩვენებოდა, რომ ველური გიენები უვლიდნენ

გარშემო. ცეცხლი ნელ-ნელა მიინავლა. ყველანი დასაძინებლად დაწვნენ. მალე ძილი მოერიათ და იქვე, გაგებულ ჭრელ ფარდაგებზე ხვრინვა ამოუშვეს.

იბრაჰიმს თავზე უზარმაზარი მთვარე დაჰყურებდა, ასე ეგონა... მთვარე სადაცაა დაბლა დაეშვებოდა და ფიქალ მკერდზე მიიხუტებდა. იწვა იგი და ვარკვლავთა იისფერ ფუჟერებს უძნერდა. ის-ის იყო ჩასთვლიდა კიდევ, რომ ზურგზე ვიდაცის მსუბუქი შეხება იგრძნო. აზულია იყო, ხელით ანიშნა — ადექი და გამოძევიო! აქლემები მოშორებით იდგნენ. ორივენი ისე დაშორდნენ, მძინარეებს არავის შეუძინებია მათი წასვლა.

უხმოდ გალიეს ის ადგილი. გზადაგზა აზულია გალოკილ თითის ჰაერში სწევდა და გზას მსუბუქი ქარის მიმართულებით მიიკვლევდა. პირისახე არ უჩანდა, მაგრამ ზურმუხტის თვალთაგან მომზირალი შუქი მაინც ვერ მალავდა ქალის იშვიათ სილამაზეს. აზულია იბრაჰიმს გაუსწორდა, თავზე მოხვეული შავი თავსაბურავი ქარმა წაგლიჯა. შერცხვა, უმაღლეს დაიფარა და იბრაჰიმს ბავშვური, წკრიალა ხმით უთხრა.

— უნდა ვიჩქაროთ, სანამ მღევარი დაგვეწვევა, თორემ არცერთს არ გვაცოცხლებენ.... თუ გადავრჩით, იცოდეთ, აქედან უნდა გამიყვანო, მე კი შენ გადავარჩინე, უცხო კაცო!.. იბრაჰიმმა თავი დაუქნია და აქლემს მათრახი მთელი ძალით გადაჰკრა.

გორაკებზე წითელი მზე ამოიწვერა. შავ ფერებს ჯერ ვარდისფერი შეერია, მერე კი მეწამული გახდა ჩამუქებული უდაბნო, საიდანაც გამოძვრენ ველური ცხოველები. გარეული თხების არვემ კიკინით გადაიარა კლდის ამაღლებული ადგილი. ბუჟღენდისფერ კლდეზე უზარმაზარი ნაპრალი გამოიკვეთა. აღმოსავლეთიდან მსუბუქმა ქარმა წამოუბერა. კაქტუსის ბუსუსებიან ყვავილებს თავი წამოეყობა და ყვითელი ვარსკვლავები გენერლის ეპილოტებივით დაებნიათ მკერდზე. ეს ადგილი მას არასოდეს ენახა. იფიქრა — სადმე ოაზისი თუ იქნებოდა და აქლემებს დაასვენებდნენ. კლდე ისე ღრმად შეჭრილიყო, თითქოს აქ, ადრე, დევებსა და ჯინებს გაეკლოთ. ჭრელი ფერის მარმარილოს ტეხილი კლდე თავზე გადმოჰყურებდა მგზავრებს. ჯერ კიდევ კარგად არ ჩანდა მიდამო.

აქლემმა ჩაიმუხლდა და ქალი უნაგირიდან გადმოცურდა. იბრაჰიმს უთხრა — ახლა ფეხით უნდა წავიდეთო!... ფერდობზე მდგარ უზამაზარ ქვის ციკლოპებს ჰაერში დაფშვნილი მუშტები აღემართათ. გველივით იკლაკნებოდა გზა... თანდათან გაფერმკრთალდა ზეცა. კვერცხის გულივით დაეხალა კლდეებს მზის ცეცხლოვანი ოვალი და ბირვილივით ააღდა წვერზე. ასე იარეს ორი საათი, სანამ კლდოვან ადგილს არ გასცდნენ და შეჭრილ სრუტეში არ აღმოჩნდნენ.

აზულია იბრაჰიმს გვერდით დაუდგა და წყნარი ხმით უთხრა: — ახლა კი, შეჩერდი და მოემზადე! იბრაჰიმმა კლდის გამოკვეთილ ხაზს ააყოლა თვალი და ადგილზე გაშეშდა..

— ეს, ის იყო, პეტრა! მისი ახდენილი ოცნება... ის, რაზეც ამდენი ხანი ფიქრობდა, ის, რისთვისაც ამხელა გზა გამოიარა, ამდენი აფთერაკი გადახდა. იღვა და მონუსხული უყურებდა ვარდისფერ კლდეში გამოკვეთილ უზარმაზარ სვეტებით დამშვენებულ სასახლეს. იბრაჰიმი მიხვდა, რომ კი არ დასრულდა, პირიქით, ახლა იწყებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მის ცხოვრებაში...

— შენ მე აქედან უნდა წამიყვანო, ხომ არ დამტოვებ, იბრაჰიმ, ბედის ანაბარად?! — კიდევ ერთხელ უთხრა ქალმა. მალე სასტიკი ქარები დაიწყება, ყველაფერი სილითა და მარილით დაიფარება. მართო ვერ გადავრჩები, არც ჩემი მშობლები მიმიღებენ უკან. ახლა, როცა ყველაფერი გაცხადდა, ჩემნაირ ჯიუტს სიკვდილით სჯიან ბღულის კანონებით. მე, გაძლევ ნებას, იყო ჩემი ბატონი!..

აზულია მუხლებზე დადგა, ხელები მზისაკენ აღაბყრო და უცნაური სიტყვების ბუტბუტს მოჰყვა, ეტყობოდა, რაღაც ძველ რიტუალს ასრულებდა. ხელის გული გაიჭრა და სისხლის წვეთები ყაყაჩოს ფურცლებივით მიმოაფრქვია ზოლიან ქვებზე. თითქოს რაღაცას სთხოვდა, ემუდარებოდა წინაპრების სულებს. მერე მუხლებზე დადგა, შუბლი მიაბჯინა გავარვარებულ ქვიშას და წამით დადუმდა.

ჯერ მარჯნისფერი გადაეკრა სილიან გორაკებს, მერე კი უზარმაზარ კლდეზე აგორდა მზე და ფრთაფრთას შემოკრა. იბრაჰიმმა თითქოს მზის ყვილიც კი გაიგონა. რაღაც ენიშნა და თვალის გასწორება სცადა აბრღვევით გაღებული მზისათვის.

ქალი მისგან ელოდა პასუხს. იქნებ... აქ, ამ შუა უდაბნოში, მიეტოვებინა იგი. იქნებ... სასიკვდილოდ გაემეტებინა. იბრაჰიმი აზულიას მიუახლოვდა, მხრებში ხელი მოკიდა, ფეხზე წამოაყენა და ლამაზ თვალებში უთქმელად ჩაამტვრდა. უეცრად ჰაერში მტერის ბული ავარდა. გამოჩნდნენ აქლემებზე მჯდარი მღევრები. იმ ღამესვე გაუგიათ ბედუნიებს აზულიას და მეგზურის გაუჩინარება. აზულიას სახეზე ნერვიულობა დაეტყო. იბრაჰიმიც მიხვდა მოახლოებულ საშიშროებას და ბრძოლისათვის მოემზადა. ბედუნიები ბექობზე იდგნენ და თვალმოწკურულნი უყურებდნენ გაქცეულებს.

მზე მარწუხივით უჭერდა პეტრას. იბრაჰიმმა შორიდან დაინახა, როგორ ამოიღო ის-მაილმა მოვარაყებული დამბაჩა და ფეხზე შეაყენა. მანაც მოსინჯა თავის გერმანული ნაგანი. ახლა ყველაფერი სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. ერთი წუთი და... ყველაფერი დამთავრდებოდა. თვალწინ გაურბინა იბრაჰიმს თავისმა ახალგაზრდობამ, როგორი დაუდგრომელი ხასათი ჰქონდა... როგორი მიზანმიმართული... არასოდეს დაუხვია უკან. არც ნანობდა, რომ ახლა, აქ იმყოფებოდა. თავისთვის მწარედ ჩაიცინა, ტუჩის კუთხესთან ობოლი ღიმილი გამოეხატა და აზულიას შეხედა. მოულოდნელად საიდანაც, ქვის გახეთქილი ნაპრალიდან დიდი შავი გველი გამოძვრა, მათ წინ ისე გასრიალდა, როგორც მბრადანებელი, როგორც ამ ადგილის

მეუფე, ყალყზე დადგა და სპილენის ფარივით გადაეფარა ქალსა და კაცს. მერე ქოლგასავით გაშალა ლაყუჩები და გრძელი, ორკაპა ენა ზმალივით აასარსალა. ასე იდგა იგი რამდენიმე წუთს, ყველანი გაქცევებულნი უშერდნენ უდაბნოს მბრძანებელს, იბრაჰიმს და ბექობზე მდგარი მღევრებიც. იდგა იგი, როგორც მეომარი, როგორც უკანასკნელი მცველი ქალაქისა. ასეთი დიდი გველი არასოდეს არ ენახა იბრაჰიმს. კლდეზე მდგარი ბედუნიები თვალს არ აშორებდნენ ქვეწარმავალს. აქლემებმა ფრუტუნე დაიწყეს, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ზიგზივებდა ჰაერი და უფრო მეტად უჭერდა სიცხე. კაცებმა შუბლზე მოიჭირეს ხელები, თვალები გადმოკარკლეს და რაღაცამ აიძულათ, აქლემები შოლტის ცემით გაერეკათ უკან. ისე უცებ მოხდა, ყველაფერი, გონს მოსვლა ვერ მოასწრო იბრაჰიმმა. გველი დაბლა დაეშვა, მათ წინ მშვიდად გასრიალდა და წითელი ქვის ნაპრალში შეძვრა. თანდათან დაწყნარდა ბუნება, ჩაღმა გავარვარებული სიცხე და თბილმა ნიაჲმა შეცვალა ბუნება.

იბრაჰიმი მიხვდა, რომ რაღაც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა, რამაც სიცოცხლე შეუნარჩუნა, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აზულია რაღაცას ბუტბუტებდა, გაუგებარ სიტყვებს ამბობდა. მერე ადგა, ხელის ერთი მოძრაობით თავსაბურავი გადაიძრო და შავი დაღალეები ჯაჭვებივით ჩამოიყარა მხრებზე. თვალებში ამოუცნობი სხივი უბრწყინავდა ქალს. ფეხზე წამოდგა, იბრაჰიმს სისხლიანი ხელი გაუწოდა და მის მკლავებში მიესვენა ღონემიხდილი.

მეორე დღეს ქალაქი შიხანი ორმა ევროპულად ჩაცმულმა კაცმა დატოვა. სასტუმროს მფლობელმა დაინახა, როგორ გამოვიდნენ ისინი დაქირავებული ნომრიდან, საფასური გადაიხადეს და გზას დაადგნენ.

რამდენიმე თვეში კი მთელ ქვეყანას მოედო ამბავი შვეიცარიელი მკვლევრის იოჰან ლუდვიგ ბერქჰარდტის სენსაციური აღმოჩენის შესახებ. რადიოში და ადგილობრივ პრესაში საუბარი არ წყდებოდა მსოფლიოს მერვე საოცრების შესახებ.

ფრაუ აზულია კი ვერაფრით შეეჩვია ევროპის წვიმიან ამინდებს. მხოლოდ დილა იწყებოდა ჩვეულებრივი რიტუალით... სურნელოვანი ყავითა და რაჰათლუკუმით, რომელსაც თავად უმზადებდა საყვარელ მეუღლეს.

თურბანი – აზიური სტილის ქუდი;

ინდიგოსფერი – მუქი ლურჯი ფერის

საღებავით შეღებილი სამოსი;

გუტრას ბამბის ქსოვილი – თხელი ბამბისგან ნაქსოვი მატერია;

სანდალები – ღია ფეხსაცმელი;

ტარაჰა – ქალის სახის თავსაბურავი, ძვირფასი ქროვილისგან ნაქსოვი;

მაჰაბდის შარვალი – გრძელი უბიანი შარვალი.

„რაც ერთხელ ცხოვრებად სოფს დატყდების“...

თაჲუი ჩაიაზაჲილი



მოგონებების სკივრიდან

პოეტის მოგონებები – ასე დავარქმევდი ჩვენი სასიქადულო პიროვნების, თემურ ჩალაბაშვილის მოგონებების პოეტურ სევდას. დიახ, სევდა და სიხარული ერთდროულად გეუფლება მათი კითხვისას...

სევდა გარდასულის გამო, სიხარული კი – გარდასულის ხელმეორედ გაცოცხლებისთვის... და ისიც, რომ მათი ავტორი თანამედროვეობის თვალსაჩინო პოეტია, პოეტი, რომლის ბრძენ და მახვილ თვალს უყურადღებოდ არ დარჩენია ძვირფასი სილუეტები...

სწორედ ამ სილუეტებიდან (რომლებიც უახლოეს მომავალში წიგნად გამოიცემა) ოთხ მოგონებას ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს...

თამარ შაიშმელაშვილი

დიდებული მარი

ჩემთვის აწი უკვე შორეული ბავშვობა კახეთში, ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ძველანაგაში, მაქვს გატარებული, რითაც დღემდე ვამყობ. ალბათ იმხანად ცამეტიოდე წლის ვიქნებოდი. ჩემმა ცხონებულმა მამიდა აგრავინამ ქორწილში წამიყვანა, კარგად მახსოვს, სოფელ ქვემო ალვანში. უწინ ქორწილები კახეთში ღამისთევით იმართებოდა, ასეთ ქორწილში კი, ნამდვილად, პირველად ვიყავი.

ერთმა ახალგაზრდა თუმის ქალმა ისეთი გულის დამწველი სიმღერა იმღერა, კინაღამ მექორწილენი გააოგნა, არამცთუ ხალხმრავალი სუფრა, არამედ შუალამის ნიაჲიც კი სულგანაბული უსმენდა: წვიმს და... შავად შენისლულან მთები, წვიმს და... წვიმამ აღარ გადაიღო, ნუთუ მართლა აღარ შემრიგდები, ნუთუ მართლა შეიცვალე, ბიჭო!...

მღეროდა ეს ახალგაზრდა თუმის გოგო და ტიროდა თუშური გარმონი. ხომ იცით, რა არის

ბავშვური შთაბეჭდილება, მე მაშინ არც ამ სიმღერის ლექსის ავტორი ვიცოდი, ვინ იყო და არც იმ გულშიჩამწვდომი მუსიკისა. ჰოი, საოცრებავ, ახლაც კი ყურთ ჩამესმის ამ შესანიშნავი ლექსის საოცარი მელოდია... მე მაშინ პატარა ბიჭმა რა ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს უკვე სტუდენტი ამ დაუვიწყარ სტრიქონებს მარი აბრამიშვილის წიგნში ვიპოვიდი... მოგვიანებით გავიგე ამ ლექსის ავტორის საოცარი ტკივილიანი წარსულის შესახებ...

მარი აბრამიშვილის მთელი შემოქმედება ტყუპისცალივით ჰგავს მისი ავტორის ყოფას.

„მე მას შორიდან ვიცნობდი მხოლოდ“... რამდენჯერ ტელეფონით ვისაუბრეთ, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა... დღემდე ნათლად ჩამესმის მისი საოცარი ხმის ტემბრი, სევდაგარეული, ამაღლებული სიტყვები, ხშირად ვფიქრობ: ალბათ ასე იყო საჭირო – ყოველდღიური დამოკიდებულება შემოქმედთან შეიძლება არც კი იწვევდეს ასეთ მოკრძალებასა და პატივისცემას...

...ბოლოს ქალბატონი მარის წუთისოფლიდან განშორების სუფრას ვუთამადე, და აი, რაც სიცოცხლეში ვერ მოვეფერე, ვერ მოვესიყვარულე, იქ შევეცადე ამ ყოველივეს. მარი აბრამიშვილისთანა შემოქმედნი და პიროვნებანი ძალზე ცოტანი თუ იბადებიან...

ლეგენდარული პოეტი

ანა კალანდაძის სახელი და გვარი ლეგენდასავით დადიოდა ჩემი თაობის ახალგაზრდებში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში შესვლამდე ზეპირად ვიცოდი დიდი პოეტის ასობით ლექსი. იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებში თითქმის სულწასულები ელოდნენ ანას ცოცხლად ფიზიკურ გამოჩენას, ალბათ ეს საუკეთესოდ იცოდა დიდმა პოეტმა და ამიტომაც ეკრძალოდა კიდევ ყოველდღიურობას.

...გადიოდა წლები, პოეტის სახელს დიდება ემატებოდა, თორემ არაფერი აკლდებოდა.

და აი, შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს გორიდან მომდერალი – მარტო გორში კი არა, თბილისში საკმაოდ პოპულარული – მიშიკო კომკაძე მეწვია (მიშა ოთარ რამიშვილის პირველი თაობის მოწაფე იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა პოპულარულიც იქნებოდა).

ანა კალანდაძის „ბომა ქალზე“ სულ ახალი სიმღერა დაეწერა თურმე. ქართლური გულუბრყვილობით მოიწადინა, იქნება როგორმე ანა კალანდაძე, ამ საოცარი ლექსის ავტორი, გვენახა და სიმღერა მოგვესმენინებინაო.

ვცადოთ, ცდა ბედი მონახევრეა-მეთქი, – ვუთხარი და ქალბატონ ანას დაუურეკე (მაშინ სახლის ტელეფონი იყო, რასაკვირველია).

იმ წლებში პოეტი-ქალბატონი საბურთალოზე, მწერლების სახლში, ცხოვრობდა. შევთანხმდით

დროზე, მაგრამ ქართველები და დრო? სულო ცოდვილო, იქნება გაუბედაობის ბრალიც იყო (სადღაც, მგონი, ოთარ რამიშვილთან ვიქეიფეთ და კარგად შელიღინებულები ყვავილებით ხელში მივაღექით პოეზიის დედოფალს).

თითქმის შუალამე იყო, კორპუსში რაღაცა დაზიანების გამო გვიან ღამით მუშაობდნენ მუშები... ყვავილებით ხელში რომ დავგინახეს, ასევე უთქმელად ანას ლექსებით შემოგვეგებნენ. ამაში თითქმის არაფერი იყო გასაკვირი. ერთი სიტყვით, ზარზე გამოგვხელდა ძვირფასმა ქალბატონმა, ის ხომ ამ დროს ჩვენი მასპინძელი იყო და არა მარტო დიდი პოეტი.

ჰოდა, ასეც მოიქცა, ღიმილ-ღიმილით შინ შეგვიპატიჟა.

განუმეორებელი ქალბატონი დავგვიანების მიზეზს როგორ გვკითხავდა, თუმცაღა კითხვა რად უნდოდა, სახეზე გვეწერა მიზეზი. მიშიკოს ეს სიმღერა გიტარისთვის ჰქონდა განსაზღვრული. ქალბატონი ანა შეცბა, პიანინო ან როიალი ხომ არ გვეთხოვა მეზობლებშიო, თითქოს წამოსცდაო, ამ სიტყვებზე ორივეს გაგვედიმა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საოცარი ფორმით განგვტვირთავდა. შეთამამებულმა მიშიკომ საოცრად იმღერა. ჩვენს მასპინძელს ულამაზეს თვალთა გუგებში ცრემლიც კი შევნიშნე, მივხვდი, როგორ მოეწონა პოეტს ეს მართლაც განუმეორებელი ლექსის მელოდია.

დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. წამოსვლისას თითო ჭიქა გურული ჭაჭაც შემოგვთავაზა, ისეთი განცდა გვქონდა, აბა, უარს როგორ ვეტყვოდით... თითქმის ცისკრის ჟამს დავეშვით მეოთხე სართულის კიბეებიდან. ავტოგრაფიანი მინიატურული წიგნებით დავგვასაჩუქრა და მისთვის საოცარი ჩვეული ღიმილით გამოგვაცილა.

P. S. გახარებულები და გაბრწყინებულები გათენებისას მოვედით ვარანცოვზე, იმის მერე ქალბატონი ანა სულ რამდენიმეჯერ ენახე პოეზიის საღამოებზე. ყოველი შეხვედრისას ანაზად მისი გულუბრყვილოდ ნათქვამი სიტყვები გამახსენდებოდა ხოლმე: პიანინო ან როიალი ხომ არ გვეთხოვა მეზობლებშიო?

ალექსანდრე შანიძე

ჩემი არცთუ ისე ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მრავალ გამოჩენილ და სახელოვან ადამიანს შევხვედრივარ. ჩემს ჯვეულობაში მიღებული შთაბეჭდილებები დღემდე მახარებს და გულს მითობს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ალექსანდრე – ალი (როგორც მას გარშემომყოფნი სიყვარულითა და პატივისცემით ეძახდნენ) შანიძე გახლდათ.

80-იანი წლების ადრიალი შემოდგომა იყო, გორკის კლუბში (ახლა რო ვარდების ბაღს ეძახ-

იან) პოეტებთან შეხვედრა მიმდინარეობდა. ჩვენს რაიონს მაშინ პირველი მაისის სახელობის რაიონი ერქვა. ჰოდა, რაიონის ახალგაზრდობა ხვდებოდა ქართველ პოეტებს. დაუვიწყარი საღამო გაიმართა. ამ საღამოზე განსაკუთრებით დამახსოვდა უკვე საკმაოდ ასაკს მიტანებული ქართული სახის ტკბილად მოუბარი ენაწყლიანი პოეტი. მერე შევიტყვე მისი ვინაობა. მისი სახელი და გვარი ალექსანდრე შანიძე გახლდათ.

ჩემს გაცემას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან წაიკითხა ლექსი: „ჩემო ტკბილო მეგობარო“, მთელი ჩემი ბავშვობა დამიდგა თვალწინ: „ბიჭოს, ამ სიმღერას ხომ დედაჩემი მღეროდა“, – გამიელვა ტვინში უეცრად. უფრო საკვირველი კი ის იყო, რომ პოეტს მთელი დარბაზი აჰყვა. ასეთი ბედნიერი იშვიათად ვყოფილვარ, სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა და აი, როდესაც ეს საღამო დამთავრდა, ვითავხედე, მივედი ბატონ ალექსანდრესთან და ვთხოვე, იქნებ ჩემს სტუდენტურ ოჯახში მეწვიოთ-მეთქი (სტუდენტობისას იქვე, კლარა ცეცხინის ქუჩაზე, ვცხოვრობდი).

ჩემს სიტყვებზე დიდებულ პოეტს გაელიმა, ახლა მისმა ჩაწიკწიკებულმა კბილებმა გამოცა და გვერდში მდგომ მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტს შოთა ხოდაშნელს გადაულაპარაკა, შენ რას იტყვიო? იმხანად ბატონ შოთას ასერივად ვიცნობდი, ერთი სიტყვით, სახლისკენ მოგკურცხლე და პურ-მარილის მზადებას შევუდექი, გავაწყვე კიდევ ჩემი სიღარიბისა, რაც კი გამაჩნდა. სუფრის მზადებაში მეზობელი მოხუცის ქალი (აცხონოს ღმერთმა!) ნინა ბებიაც მეხმარებოდა.

აი, სტუმრებიც მობრძანდნენ, დავიწყეთ ქეიფი. ამასობაში სუფრაზე ჩემი ორი კურსელი მეგობარიც შემოგვესწრო, შოთა ხოდაშნელი, ჩვეულებისამებრ, ენაშხიანოდა, ბატონი ალექსანდრე კი უფრო ღინჯად და სიყვარულიანი თვალებით გვესაუბრებოდა მაშინ სულ ახალგაზრდა ჭაბუკებს...

დაუვიწყარი საღამო კარგა ხანს გაგრძელდა, ჩემი მეგობრები საკმაოდ მღეროდნენ და აქაც რამდენიმეჯერ უკვდავი პოეტის უკვდავი სიმღერა – „ჩემო ტკბილო მეგობაროც“ ვიმღერეთ. არასოდეს დამავიწყდება ბატონი ალის შუქჩამდგარი, წარსულში ღრმად ჩადირული სევდიანი თვალები.

განა კი ხანგრძლივი რა ყოფილა, რომ ეს საღამო ყოფილიყო?! შებინდებისას დავიშაღეთ, წასვლისას პოეტმა თავისი ლექსების წიგნი და ეს ძვირფასი ლექსი, მისივე სურათით დაბეჭდილი ავტოგრაფით დამიტოვა...

ამ ძვირფას საჩუქარს დღესაც სასოებით ვინახავ...

ჩემი მარადიული სიხარული

მრავალი წლის წინათ, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა მეგობარმა, აწი უკვე ნათლიმამამ (მისი ერთადერთი ქალიშვილის, ივლიტას ნათლია ვარ), პროფესორმა ერეკლე უგრელიძემ მომახარა, გუშინ მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ვიყავი და შენი ლექსი, დიდი მწერლისადმი მიძღვნილი, კედელზე საპატიო ადგილზე ეკიდაო.

სულო ცოდვილო, რა უნდა გამხარებოდა უფრო მეტად? მეორე დღესვე ამ მშვენიერი და დაუვიწყარი ამბის მახარობელთან ერთად დიდი მწერლის სახლ-მუზეუმს (მაშინდელი ელბაქიდის დაღმართი, ახლა, საბედნიეროდ, ჯავახიშვილის ქუჩა ჰქვია) მივადექით.

ზარის ხმაზე (როგორც შემდგომ გავიგეთ და გავიცანით) ძვირფასი მწერლის შვილიშვილმა, რამაზმა გაგვიღო კარი. ჩვენდა საბედნიეროდ, მწერლის ქალიშვილი, სახელოვანი მამის ქალიშვილი, ქალბატონი რუსუდანი შინ დაგვხვდა.

როგორც არ უნდა ვეცადო, ვერანაირად ვერ შევძლებ მაშინდელი სიხარულის და აღფრთოვანების ჯეროვნად გადმოცემას. თითქოს საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც გენიალური მწერლის გამონათქვამებსა და საოცარ აზრებს შორის ჩემი ერთი ციცქნა ლექსიც მოჩანდა, მშვენიერ ჩარჩოში ჩასმული.

აი მისი ისტორიაც:

თურმე ქალბატონ რუსუდანს ეს ლექსი პრესაში, რომელიღაც გაზეთში, ეპოვა, მერე ამოეჭრა, ჩარჩოში ჩაესვა და სათანადო ადგილზე მიეჩინა მისთვის ადგილსამყოფელი (თავად გვიყვებოდა ამ ამბავს და ალბათ ასეთი ბედნიერი მანამდე არც ვყოფილვარ).

აი, ეს ლექსიც:

მიხეილ ჯავახიშვილის მონოლოგი

**მკვდარმა როგორღა მოვიკლა თავი,
მსხვერპლი ასეთი როგორ გავიღო,
ვერ მიპოვნია ჩემი საფლავი,
რომ ჩემივე ხელით დავათარილო...**

სულ ესაა ჩემი პატარა ლექსი და ეს ლექსი იმ დროს იყო დაბეჭდილი (მერე პირველ წიგნში „მზე მამულის კვამლში“ შევიტანე), როცა დიდ მწერალზე საუბარი ასეთი ადგილი არ იყო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა ქალბატონი რუსუდანის წინაშე, მახსოვს, სურათიც კი გადავიღეთ ერთად.

ახლაც კი, როცა ვერის აღმართს (ახლანდელი ჯავახიშვილის ქუჩა) შევუყვები ხოლმე, სევდანარევი სიხარული მეუფლება, ასე მგონია, ჩემი გულის პატარა ნაწილი იქ, იქ ფეთქავს – უკვდავი შემოქმედის მარადიულ სამყოფელში...

ერთხელ...

ნიმუ ჩხიპიშვილი



ნოდარის მეგობარი ნოდარი

ნოდარ ანდლულაძესთან მეგობრობდა ნოდარი. მახსოვს, 2010-ში თუ 11-ში „საუკუნის ავტოგრაფი“ რომ გაიმართა, აი, მაშინ ბატონმა ნოდარმა საგანგებოდ დაურეკა ნოდარს:

– მოდი, ამოვარჩიოთ არია და ერთად ვიმღეროთ! ნოდარმა იუარა: – ვერა, ჩემო ნოდარ, არ შემიძლია! უარი რად უთხარი-მეთქი, რომ ჩავაცივდი, მიპასუხა:

– რა ვქნა, უცებ სცენაზე ხმა რომ დავკარგო, არ მინდა ნოდარი ჩავაგდო უხერხულ დღეში!...



ეს ამბავი ახლა ბატონი ნოდარის ამ წიგნმა – „ადამიანი-მომღერალი“ – მომაგონა. უცებ გადავწყდი მაესტროს ავტოგრაფით და ... ახლა დიდ მაესტროსთან დაკავშირებულ სხვა ეპიზოდებსაც გავიხსენებ:

ჩემი ნოდარის განსაკუთრებული სიყვარული საოპერო ხელოვნებისადმი ყველამ იცის, ამაზე აღარაფერს დავწერ, ალბათ, ისიც იცით, საოპერო მომღერლობაზე რომ ოცნებობდა, მაგრამ როცა სკოლას ამთავრებდა, სწორედ მაშინ ლამის ერთდროულად, მამა და ბებია გარდაეცვალა და სტრესისგან ხმა დაკარგა!

ჰოდა, აღარც უცდია კონსერვატორიაში ჩაბარება. „გეპეიმიც“ ჩაიჭრა და მერე მხოლოდ იმიტომ ჩააბარა თეატრალურზე, – როცა ხმა მოვივა, ეგრევე გადახვალ ოპერაშიო! – უთქვამს ჯემალ ანჯაფარიძეს და ნოდარსაც დაუჯერებია. – ასე მოხდა ეს ამბავი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ნოდარს სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს ოპერისა და სიმღერისადმი სიყვარული, ამიტომაც გამორჩეულად უყვარდა და პატივს სცემდა ნოდარ ანდლულაძეს.

ერთხელ ნოდარის ბიბლიოთეკაში რომელიღაცა წიგნს ვეძებდით და უცებ დიდი ფორმატის, სქელყდიანი „აბესალომ და ეთერის“, მგონი, 50-იან წლებში გამოცემულ პარტიტურას გადავაწყდით.

– უი, ეს ამაღ და მან მარუქო, მითხრა (ახლა არ მახსოვს, ვინ დამისახელა) და გაეცინა:

– ნეტავი, რად მინდა აწი ეგ წიგნი, ანდა, რა ვუყოლო?

– რადა... ნოდარ ანდლულაძეს აჩუქე-მეთქი, ვუთხარი!

– ეგ კარგი რამე მითხარი, აუცილებლად ვარუქებო, გაუხარდა. ამის მერე დრო გავიდა. გადაამვიწყდა ეს ამბავი.

ჰოდა, რამდენიმე დღის მერე ნოდარი მეუბნება:

– შენ იცი, რა მოხდაო?

– რა მოხდა?

– რა და, ნოდარს დაუურეკე, რომ ეს წიგნი წამეღო და... რა მოხდა, იცი? – ბავშვით გახარებული მიმეორებს?

– მაინც ასეთი რა მოხდა?

– რა და, ნოდარს რომ დაუურეკე, მითხრა, ახლა, მე და ჩემი ახლობელი ღვინოს შევექცეოდით და ასეთი სადღეგრძელო დავლიე: – ვინც ახლა ტელეფონზე დარეკავს და მომიკითხავს, აი, იმას გაუძმარჯოსო!... და... შენ არ დარეკეო? ჰოდა, ახლა შენს სადღეგრძელოს დავლევეთო! – უთქვამს ბატონ ნოდარ ანდლულაძეს.

– ვა, მერე? – გამეცინა...

– რა, ვა, გოგო, ნოდარ ანდლულაძემ ჩემი სადღეგრძელო დალია, უნდა გაგაცნო, ვერც წარმოიდგენ, რა პიროვნებაა! – დააყოლა...

ამის მერე ნოდარმა საჩუქრად წაუღო „აბესალომ და ეთერის“ გამოცემა. მაშინ რატომღაც ვერ მოვახერხე წავყოლოდი. მაგრამ... ბატონი ნოდარის უკანასკნელი დაბადების დღე მახსოვს – 13 დეკემბერი. მაშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გადაუხადეს საღამო და მერე ამ დღის აღნიშვნა მაესტროს ბინაში გაგრძელდა. იმ საღამოს მეც ვესწრებოდი!

ჰოდა, სუფრასთან ისეთ ვარსკვლავებთან აღმოვჩნდი, მინდოდა საკუთარი თავი სარკეში დამენახა, როგორი გამომეტყველება მქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სუფრასთან მსხდომთა სიმღერას ვისმენდი და ჩემთან ძალიან ახლოს ისხდნენ ბატონები: ზურაბ სოტკილავა, ლადო ათანელი.

ნოდარ ჭავჭავაძის
მეგობარს, სერგოვს, ალაშვილს
ქართული ზეპირი ენის შესახებ
თავისუფლად და ზეპირად
ნოდარ ანდრეას
15.06.2000



დავით ანდრეასის სახელობის
ქართული კოკლუზი კულტურის
ფონდი

ათანელი ისეთი სრულყოფილი იყო, რუსთველის
პოემიდან გამოსულ ავთანდილს მომაგონებდა!

ჰოდა, ესენი, სცენაზე კი არა, აგერ „მინაურუ-
ლად“, ქართულ სუფრულ სიმღერას მღეროდნენ
და მათ ხმას ნოდარ ანდრეასის ხმა რომ ერწყ-
მოდა, დარწმუნებული ვიყავი, ეს მოვლენა უცნაურ
ზღაპრად იქცოდა, რომ... მოულოდნელად, ბატონი
ნოდარი შეუძლოდ შეიქმნა. გაიყვანეს. თავის
ოთახში წამოაწვინეს!

ზურაბ სოტკილავა გვერდიდან არ მოშორებია,
მგონი — ბატონი ლადო ათანელიც. ჩემი ნოდარი
შეწუხდა, აწრიალდა, წამოდგა, არ იცოდა, რა ექნა
და... გურიმ (ბატონი ნოდარის ერთგულმა ადა-
მიანმა) დაუძახა ნოდარს, მასტრო, გინმობთო!

ნოდარი და ზურაბ სოტკილავა განმარტოვდნენ
ბატონ ნოდართან და... როცა მერე შინ დაბრუნებ-
ულმა კკითხე:

— რა გითხრათ-მეთქი?!

— საოცარი კაცია, ნოდარი, საოცარი: მინდოდა
„იმ დროს“ შენ და ზურაბი ჩემთან ყოფილიყავითო,
მეტი არაფერი უთქვამსო!

* * *

სამწუხაროა, რომ ეს ამბავი, მაშინვე დაწვრილე-
ბით არ ჩავინიშნე, ის ცინცხალი განცდა რომ
დავკარგე;

ახლა, ახლა კი... რაც დამამახსოვრდა, როგორც
გავიხსენე, ესაა, სხვას ველარაფერს დაგუმატებ!

პოეზია

იჩაა შიოლაშვილი



ზღვა

აი ჩემი სიყვარული,
სამშობლოდ დაბადებული სიყვარული,
წინაპრის ძელებით შემოღობილი სიყვარული,
წინაპრის ლეგენდებით ნაკვები სიყვარული,
მუხის ფოთლებით ავსებული სიყვარული
მუხის ფოთლებივით მოშრიალე სიყვარული,
ორ ღიდ მუჭაში ჩავტეი და ტალღებს მივანდე.

აი, გულიდან გამოვღევნე ყველა მდინარე,
აი, ბაგიდან გამოვღევნე ყველა მდინარე,
აი, ხსოვნიდან გამოვღევნე ყველა მდინარე
და ზღვისაკენ ვუკარი პირი!

ზღვა იქცა ჩემი მოთმინების უხმო მსაჯულად
და ღიდ მეგობრად, მენდობა და გულამდე მიშვებს,
მეც, ასე სადა, ცარიელი და გარუჯული
ვკოცნი მის კაბას და ტუჩებზე მეკრობა ქვიშა,

და ვწვები მისი გულის ფსკერზე, და ვეძებ ჩემი
სამშობლოს საზღვრებს და ვიბრუნებ წართმეულ
მიწას
ნიჟარის სუნთქვად, ხავსის სუნთქვად, და ასე
თხემით
ტერფამდე მტკივა ძველი ტანი და ძვლები
მეწვის.

აი ჩემი სიყვარული.

აი ჩემი მოთმინება.

ზღვას ქვიშად ჰქონდეს.

ომი და ჩემი სიყვარული

რამდენჯერ მოვუყევი ცხოვრებას რომ
ჩემი წილი სიყვარული ომში დაეცა
მაშინ, როცა სამშობლოს ართმევდნენ,
მაშინ, როცა ღირსებას ართმევდნენ,
მაშინ როცა თავისუფლებას ართმევდნენ,
ეს ყველაფერი არ დაუშვა და
ოცი წლის სიცოცხლე სასწორზე დადო!
მაგრამ მარტო სიცოცხლე არაა,
ჩემი გულიც დადო სასწორზე,
ჩემი მარტოდგატარებული ახალგაზრდობაც,
ჩემი სამომავლო გეგმებიც,
ჩვენი არშემდგარი შეხვედრებიც,
რომელიც ღმერთმა კი დაგვგმა,
მაგრამ ომმა გაანადგურა!
არ უფიქრია, რომ ომმა დანდობა არ იცის,
არ უფიქრია რომ ომმა ღირსება არ იცის,
არ უფიქრია, რომ ახალგაზრდული გულით
რეალობასთან წააგებდა,
თავად მიწასთან დაწვებოდა და
მე ქარებს შემატოვებდა.
მე კი ქარებში გავაგრძელე სიარული,
ჯერ წრეში, მერე წრის გარეთ და საზღვრების
გარეთ,

სულ მახსოვდა, სულ ვიცოდი
რომ დამეკარგა
ჩემი ომში დაღუპული სწორფერი
რომელიც ვერ გავიცანი,
რადგან ომმა ერთმანეთი წაგვართვა.

ორცხობილა

აი ზომ ხედავ გავესწარი დროს. გამოვაცხვე
ჩვენთვის ახალი ორცხობილა. ვზივარ. გიყვები
როგორ ძალიან ადვილია, ასე გამოვშრეთ
სანამ ცხოვრების შარავნიდან გავირიყვებით,

როგორ ძალიან ადვილია, ცხოვრების გზაზე
დაგვიშრეს წყალი და დაჭიმულ ნერვებს სიმებად
ვაწყობდეთ ხშირად ვიოლინოს მიმზიდველ ტანზე,
რომელზეც ალბათ დაუკრავენ ჩვენი შვილები,

რომელსაც ალბათ ინტერესით, ძალიან რბილად
შეეხებიან თითებით და მინორულ გამად
გადაგვაქცევენ და ჩვენს ახალ, ცხელ ორცხობილას
ექნება ძველი, გამომშრალი სიზმრების გემო.

პოეზია

ყოველთვის, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით,
შენ გეჭირა ხელში აყვავებული მომავალი,
გეჭირა ყვითელ ვარდებად და იცინოდი.
ყოველთვის, როცა ვხვდებოდით,
მე მეჭირა ხელში წარსულით სავსე ჩანთა
და დაკარგულ დროს სინანულით ვახარისხებდი.
შენი სიცილი და ჩემი დაკარგული დრო
უცნაურად კვეთდნენ ერთმანეთს,
შენს სიცილს და ჩემს დროს
ერთმანეთი უგონოდ უყვარდათ
და ხელებზე ხან ვარდების,
ხანაც წარსულის ეკლები ეხრდებოდათ.
სიტყვები კი ამ ეკლებიდან ბლაოდნენ,
ამ ეკლებიდან ეპასუხებოდნენ მურდალ ცხოვრებას
და ღმერთისაკენ გულუბრყვილოდ მიისწრაფოდნენ.
ყოველთვის, როცა ვხვდებოდით, მე მახსოვდა
რომ ჩანთაში უკვე დაწერილი ბედისწერა მედო,
რომელსაც ვერაფრით შევცვლიდი
რაც უნდა დამეხარისხებინა წარსულის ქაოსი,
რაც უნდა ხშირად შევფარებოდი პოეზიას და
ეკლებიდან ცხელი ლექსი გამომეწოვა.
შენ შენი წილი ლექსები გეზრდებოდა თითებზე, -
რომელთაც ვარდები ეკავათ,
მე ჩემი წილი ქაოსიდან
გუსხამდი სისხლს პოეზიას.

ჩემი ცხოვრება

ის ისტორიები,
ის ახალგაზრდობაში გადატანილი ისტორიები:
სარკეში არეკლილი მართალი ისტორიები,
ღამეებში ჩაწნული დაღლილი ისტორიები,
გათენებიდან ამოზრდილი ხასხასა ისტორიები
მზად არიან, აწმყოში შემომისახლდნენ,
მკლავზე ჯაჭვით შემოეხვივნენ ჩემს ცხოვრებას
და ხელახლა დააწერინონ ლექსები ყველაფერზე,
რაც დამთავრდა და
რაც მაშინ ასე გულუბრყვილოდ გამომივიდა.

ჩემი ცხოვრება – დაფანტული ფერად ღილებად –
წარსულს და აწმყოს ერთნაირი სისავსით იტევს,
ხოლო ხეები – ცხოვრებიდან ამოზრდილები
ამ მარადიულ გასაყართან ხეთქვენ კვირტებს.
საუბრობს მიწა, მაღლით სავსე, მისი ბაგიდან
ძველი სიტყვები ამოდიან ცოცხალ იებად,
მე კი ვდგავარ და აღარ ვიცი საით წავიდე
ჩემი სარკეში არეკლილი ისტორიებით.

ღანი ბაზმიშვილი



არადა, აქვეა...

იქ ჩემი სამშობლოს მთებია, ასე შორს,
ბარში კი ნისლია,
ყველაზე ძვირფასი, ქვეყნად რაც არსებობს.
არადა... სხვისია!
ეს ხმა ზღვისპირეთის არის მოძახილი,
ნაკურთხი მხარეა,
ენგურზე ხილია ლოდინით დაღლილი,
ისიც მწუხარეა.,
ეს მიტოვებული სახლები, სოფლები, ქვეყანა,
ჩემია, ძმისაა,
მიწას რომ დოვლათი თავთუხად ეყარა,
ახლა კი სხვისაა!
ნუთუ ვერ აყვავდა წარსული ძლევის ხედ,
ნუთუ ვერ დალაგდა,
არადა, აქვეა ამაყი დიდგორი,
აქვეა მარაბდა!

უშენობა

ვერ ვივიწყებ
ოქრობურვილ ხეთა რტოებს,
ბულბულების გალობით რომ
სული თბება,
ვეფერები დაღონებულ
სიმარტოვეს,
ეგ ღიმილი
მერამდენედ დამაკლდება.
დარდის ნაქსოვს
შემომახვევს წვიმა მხრებზე,
ნამის სარკე
გვირილებზე სხივად ტყდება,
მერამდენედ მკლავს,
მაცოცხლებს ფიქრი შენზე,
უშენობა
მერამდენედ მეტკინება.

ლოცვაა თუ წვიმა მღერის

ლოცვაა თუ წვიმა მღერის,
მზე ბროლობს თუ ქარია,
მშობლიური ცხად-სიზმრები
მხოლოდ შენ გაბარია.
გშორდებით და გვენატრები,
შენთვის ხან არ გვცალია,
დრო გადის და მერე ვხვდებით,
ხარ ღვთის ნაბოძარია.
მიმოხატულ ამერ-იმერს
მოვინატრებთ ძალიან,
შენ ერთი ხარ, ჩვენ – მრავალი,
ყველას შენი ვალი აქვს.
როცა წავალთ, შენ გიტოვებთ
რაც აქ ცოდვა-ბრაღია,
ისევ შენგან წავგადგება
ხსოვნის კელაპტარია.
შემქმნელმა რომ გვანათლფეროს
ცისკენ გვიჭრის თვალია,
უფრო მეტი საქართველო,
ქართველს იქ აბარია!

სოსნის ყვავილი

ეს სიმარტოვე და განშორება
დასაწყისია დარდის და შფოთვის,
შავი, სრიალა ფრთებით ეშვება
უშორეს ციდან და დაბლა მოდის.
შეფარებიან ჩიტები ხეხილს,
სამყაროს მართავს უცვლელი ხელი,
რა დამავიწყებს თმათეთრ მთაგრეხილს,
ნისლი სდიოდა ზედ დამთრგუნველი.
ქარი კი ჰფენდა მზედაღვრილ ფარდას,
სძრავდა სიმწვანე დაბინდულ ნაპირს,
სოსნის ყვავილი, ვით თბილ სასთუმალს,
მიხუტებოდა მიწის ზედაპირს.

რამდენი გავიხსენო

ნაცრემლი შევღალადებ დედამიწას,
ვტირი ნასოფლარებს, მთაც იძვრება,
ეს ჩემი მამული რატომ, ვინ გაწირა,
შვილმკვდარი დედები მესიზმრება.
ცხინვალის მესიზმრება, დაცემული მუხლზე,
ცეცხლში გახვეული გორი მესიზმრება,
წვერიახოს მთიდან იმ გასასვლელს ვუმზერ,
თვითმფრინავიდან რომ შეძლეს დამიხსნება.
რამდენი გავიხსენო, განა ადვილია,
ლამით ქარიც მოსთქვამს, ქალის ხმას ჰგავს მკივანს,
ყველა ნასოფლართან შავი მანდილია,
მტკივა საფლავები, საქართველო მტკივა.

ღირბის ღვთისმშობლისადმი

რომლის შემწეობითაც უამრავი
ბავშვი დაიბადა...

ციხის ქონგურები
მცველებად დამდგარან,
ფრონის წყლით ნაკურთხი
შრიალა ზვრებია,
ღირბის თბილ უბეში
საყდარი პატარა,
ზეციდან თვით უფალს
დაუბრძანებია.
აღბათ ანგელოსთა
ისმონდა გალობა,
ქართლის ცას ვარსკვლავთა
ხომლები ეკიდა,
მიღვომილ ღვთისმშობელს
ეწადა წყალობა,
მზრუნველად, მკურნალად
საყდარს დაემკვიდრა.
ვარდთა და იათა,
ცისფერ კესანეთა,
მირონნაკურები
ფურცლებზე ცვარია,
სასწაულს მოველით
მუდამ შენთან ერთად,
სიმრავლის მადლსა გვევენ,
ღედაო მარიამ!
არასდროს ვკარგავდით
მარადს და საჩინოს,
თვით წმინდა მიწისგან
ნალოცი მხარეა,
დგახარ, ვით ნუგეში,
რომ გადაარჩინო,
ჯვარცმული მამული,
წმინდაო მარიამ!
წვიმს, უფლის ცრემლები
მხრებზე გვეფინება,
საფიცარ მიწაზე
ისევ საზღვარია,
გზა გაგვიმთლიანე,
რაც ასე გვჭირდება,
მოგვეც სიყვარული,
წმინდაო მარიამ!

ჩვიდმეტნი

შინდისის გმირებს

მინდვრებს აღნება მზე – ცის ზედაშე,
ათობს დაკარგული საზღვრის ნაწილებს,
მუხლს ვუხრი რწმენას, სიმტკიცით ნაშენს,
შინდისიდან რომ მზეს გააბრწყინებს.
დგანან სახლები, თვალებდათხრილი,
ლიანდაგი კი სადღაც გზას იკვლევს,
შორიდან ისმის თქვენი ძახილი,
საით მიდიხართ?! – აღბათ ზეცისკენ.
გადარჩენისთვის მამაცი ერის
ზარი ხომ ვინმემ უნდა ღარეკოს?
ასე ამაღლდა თვდორე ბერი,
ეწირებოდა მამულს „შავლეგო“.
ცეცხლი ეკიდა ქართლის მთა-გორებს
და უკვდავებაც აქ დაგეწიათ,
იმ დიდ სიყვარულს ვერ დაგაშორეს,
უფალივით რომ ერთადერთია.
ცა სიცხისაგან გათანგულ მიწას
მიუალერსებს, ნამის მირონს სცხებს,
ეგ თავგანწირვა დაგვრჩება ფიცად,
რომ ამჯობინეთ ნაზრახ სიცოცხლეს!
ავვისტოს ცეცხლით დამწვარ სამშობლოს
თავი მტრისათვის რომ დაეღწია,
სულმოკლეობა?! – ღმერთმა გაშოროთ,
ერთად გესროლეს ჩვიდმეტი ტყვია!
მზე ჩაესვენა ჩვიდმეტჯერ ციდან,
წყარომ შეწყვიტა ჩვიდმეტჯერ ჩქერა,
რწმენა ჩვიდმეტჯერ სიცოცხლეს ცდიდა,
მაგრამ ერთხელაც ვერ შეაჩერა.
ამაყი იყო ეგ შემართება,
ახალგაზრდული, დაუდევარი,
კაცი მეორედ რომ იბადება,
აინთება და ბოლოც ეგ არი!
წუხს სამაჩაბლო, ღუმს ეკლესია,
ცა ჩამოძვინძვს ისევ წვიმებმა,
სენაკის მებრძოლთ რაც გითესიათ,
აღარასოდეს გაიწირება!
გულისტკივილი რამ გამიმთელოს,
გზა-გზა შემხმარი სამკალი ყრია,
მკერდს ჩარჩენია მთელ საქართველოს,
შინდისს ნასროლი ჩვიდმეტი ტყვია.
მოხვალთ სიმღერად, მოხვალთ ლექსებად,
ვინ დაავიწყოს ქართველს გმირები,
რწმენის კედელი რწმენით ივება,
მოვლენ ბიჭები თქვენნაირები.
თქვენი ღიმილით სიკვდილს ამარცხებთ,
თქვენი ღიმილით არც ილუპებით,
ახალგაზრდებს და ასე მამაცებს,
მზე ხელთ გიპყრიათ თავისუფლების!



დედაო ჩემო!...

ცრემლი აია-სოფიას კართან

ცა მტრედის ღულუნს აქ აღარ ისმენს,
ნისლი დაბურავს იასამნისფერს...

ამოსევდილა მზერა ძე ღმერთის,
ამ განსაცდელზე მხოლოდ შენ გეტყვი:

თეთრი ზამბახით მიმზერ ხატიდან,
სამი წლის ხარ და მთაზე ასდინარ...

დიდია კიბე ცად მიმავალი,
ლურჯია კაბა, ლოცვით ნავალი...

ამ სილურჯიდან პირველ სხივებით
მოგვეხილვები მადლმოსილებით...

მაგრამ აია-სოფიას ცრემლი...
ღაღადისია, სამყაროს, ვრცელი...

მინავლულია ნათელი იგი,
„ბნელსა შინა სჩანს“ და მაინც... მიდის!

და მაინც ახალ სასწაულს ირგებს
და გაიცოცხლებს ღვთის წმინდა სიბრძნეს...

გუმბათი ისევ ნათობს სივრცეში,
კამარობს ცაში და სამოთხეში...

...დაბურულია ნაღვლით თვალები,
დედაო ჩემო, მწედ ხარ მთა-ველის...

შესამოსელი ხარ ძოწეული —
ხარების დიდი დედა წვეული...



საცეკვოდ წვიმაში

წვიმაში მარტო უნდა ვიცეკვო,
სულის ღარებში წვიმა ჩავიდეს
და წვიმის ქალი გავხდე ისე, რომ
ელვით ვაკრთობდე გზად მეხამრიდებს.
წვიმაში უნდა ვიცეკვო მარტო,
დე, ცეკვა ჰგავდეს სიმღერას გედის,
თორემ ამ ყოფას ისედაც ვატყობ,
აღარაფერი შერჩა ლეგენდის ...
წვიმის სურნელი რომ გამაბრუებს
დაუკრავს წამ-წამ სიკვდილის დოლი,
უნდა შევერთო მიწისქვეშ რუებს,
დილით ბალახებს ვაფრქვით ბროლი...
წვიმაში მარტო უნდა ვიცეკვო...

ბედაური

მოდი, გამოგიყვან ამ თავლიდან
ჩემო ბედო, ბედო, ბედაურო!
თორემ მოლოდინში გავთავდი და
წლები დაემსგავსა გრდემლს და უროს.
ცეცხლით იწრთობა და იჭედება,
თითქოს რკინა იყოს გული, სული,
ასე დაღლილის და დაქანცულის
მინდა სხეულიდან გაჭენება...
ბოლოს ის იქნება, რაც თავიდან,
გზად თუ სიყვარული მეტაურობს —
მოდი, გამოგიყვან ამ თავლიდან...
ჩემო ბედო, ბედო, ბედაურო!..

ფოთლების ზღვაში

ოქროსფერ ზღვაში ისე მივცურავ,
ტალღების ხმაა შრიალი, ჩუმი,
საკუთარ თავთან რომ ვერ იცრუა
ისეთი, არცთუ მიაბიჭური...
მაგრამ მე მაინც მტკიცედ, ჯიქურად,
მივარღვევ ფოთლის მოქუჩულ ზვირთებს,
ხან ყვითელ, ხანაც წითელ შუქს მინთებს,
და არსად მწვანეს, ბედის შუქურა...
დარდი მიაქვს და დარდს მოაგორებს,
სიკვდილი მკლავებს მოთმენით გაშლის,
უხვად მომიძვნის კოცნა-ამბორებს,
და მეც ჩავევინთავ ფოთლების ზღვაში...

ქუჩის ძაღლი

ქუჩის ძაღლსა აქვს იმგვარი მზერა,
ისე მიმდობი, ისე ალალი –
თითქოს იმ ფარულ სიკეთეს ზვერავეს,
რომ არ დარჩება დაუმალავი...
სიცივისა და შიმშილის შვილი
ბინას დაეძებს ამ ადრიაანა,
ვინც გაძაღლებულ ცხოვრებას ჩივი –
ძაღლმა კაცივით აქ ჩაიარა...

ფოთოლი

ამგვარ სიმშვიდით განაოცები,
ქარში აწეწილ ძვირფას კუკულებს –
მე ფოთოლს ისე დიდხანს ვუყურე,
თითქოს მკედარს ამით გაგაცოცხლებდი...
ვფურცლავდი თითო ფოთლის ნოველას,
და ალბათ ჩემზეც ასე ამბობენ –
წრეზე მატარა ამა სოფელმა,
რომ სევდა ჰქვია ჩემს საგალობელს,
რომ გაბმული ვარ დროის მახეში,
ვერ მოვუძებნე დაღლილ სულს ყურე,
როგორც საკუთარ სახეს სარკეში,
მე ფოთოლს დიდხანს, დიდხანს ვუყურე...

საფეხური

არც თბილი საწოლი, არც ბალიში,
მიწაზე ვიწვე და ცა მეხუროს –
ეს მერამდენია საფეხური?!
უკვე მერევა ანგარიში...
თუ შევძელ ჩვეულის მიტოვება –
ვნამცეცობ, და მშიერს ნუ დამიშლი,
გულს რომ დაგიფენ ბზის რტოებად,
შემოდი ჩემს იერუსალიმში!

წამი ამაოებისა

ხან მეფის ტოლი, ხან ვეზირი,
სიზმრად მაქციე, წამო, გვედრი!
სადაც მოდიხარ ზარ-ზეიმით,
იმ ქალაქიდან წამოვდი.
გულმა სურვილი ამოცალა,
უკვე გამოვცდი ძველ კარიბჭეს,
და როგორც ბერმა სალოცავად,
სიმარტივეში შევაბიჯე...

და თითქოს...

მე ახლა თავი ისე მიჭირავს,
თითქოს არ მტკივა, არც სუნთქვა მიჭირს,
არ უძღერია გაბმული ჭრი... ჭრი..
თითქოს წუხელის ჩემთვის ჭრიჭინას,
რომ დავასკვენი მისი „რეპიდან“ –
წლების ნაწერი, ცრემლით და სიმწრით,
ჩემი ლექსების რითმა და რიტმი
თავის ენაზე დაიზეპირა...
მაგრამ არა აქვს ამასაც აზრი,
ან ვის აღარღებს ახლა ჭრიჭინა,
და თითქოს თავზე სინდისი მაზის,
მე თავი ხელში ისე მიჭირავს...

ბედნიერების ჩიტი

შემოფრთიანდა, დიდხანს მიცქირა –
ვიყავი სანდო თუ არასანდო...
მერე თვალებით მითხრა: იცი, რა?
არ გაფრინდები მე აღარსადო!..
მას სიყვარულის ფერი იტაცებს,
კენკავს იმედის გემოთი მარცვლებს,
და ალბათ ერთად გამოვიზამთრებთ,
ერთად ავიტანთ ზამთრის სიმკაცრეს.
არ ვაფრთხოვ ეჭვით, ღელვით, ტირილით,
გულს რომ ესევა, შველის იმ ჭიბებს –
ასე, თანდათან, ხელის ჩიტივით,
ბედნიერება შემოვიჩვიე...

შემოდგომის სიმღერა

წამლად მედება წყლულზე ქარვები,
ძლივს გამოვტყუე
იმ ბოშა ქარებს,
ბაღში რომ ედგათ ჭრელი კარვები
და ჩემზე მტრულად გამოილაშქრეს...
(ვინ დაიჯერებს), ვაგეძე მარცხი –
არ გაუცვალე სული ოქროში,
და მინდვრებს,
მზერის ალით დავვარცხნილს,
გულზე ვაბნე ფოთლების ბროში.



ხმის ამოღება რომ შემეძლოს

ხმის ამოღება რომ შემეძლოს, ვიტყვოდი,
რომ გაყინულ ხელებს არავინ მითბობს,
რომ მზის სხივებიც ველარ მშველიან.
წვიმის წვეთები მინას ისევ ეფერებიან
და აღარ არის ეს წვიმა ჩვენი...
ხმის ამოღება რომ შემეძლოს, ვიტყვოდი,
რომ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა გავიღე შენთვის...
როცა მშობიდა ან მცოიდა, ანდა მტკიოდა...
ხმის ამოღება რომ შემეძლოს, გეტყვოდი
როგორ ჩამილა კენებში სისხლი,
როგორ ველარ ვცვლი ჩემს სულს შენს სულში.
როგორ ველარ გგრძნობ და ველარ გელი.
სინამდვილეში, რომ შემეძლოს ხმის ამოღება,
ვიტყვოდი, როგორ მენატრები.
როგორ დამემსხვრა უშენოდ ფრთები,
ველარ ვივსები და ველარ ვმზეობ,
დავნებდი და
ღრუბელივით ვიწოვ სამყაროს სევდას.

გვირილებს ხომ დამიკრიფავ?

გვირილებს ხომ დამიკრიფავ, როცა გნახავ?
მერე დავწნი გვირგვინს...
მე ვიქნები დედოფალი შენი მთების
და ხეებში მონავარდე
ნიაბორებს გავუტოლებ თავს...
ნისლად ქცეულ ფიქრებისკენ გავიქცევი
აკლდამებში შემოვკეტავ ქარს...
ავგაროზად, ერთი მუჭა გულის ფეთქვად
არ მეყოფა, ის რაც მინდა ვთქვა...
გვირილებს ხომ დამიკრიფავ, როცა გნახავ...
მაშინ ისევ გვირილებმა თქვან...

გამთენიისას

გამთენიისას გამჭორა მთვარემ.
ყავის ჭიქაში ჩაიღვარა მთიდან ნისლები.
მიეუჯექი მზის დაბადებას.
გავეშებული აყმუვლდა ღამე.
მზე ამოვთქვიფე ნისლის ნალებში
და ამ ჭიქაში დავიბზარეთ მე და სამყარო...

გადავიფიქრებ

გადავიფიქრებ შენს სიყვარულს,
მოგონებების სკივრში ჩაკეტავ,
მოლოდინის დავადებ ურდულს,
ბნელ ქუჩებში დავიწყებ დათვლას
ვარსკვლავების,
მერე წამების,
ჩაერთავ წამმზომს დავიწყების.
გადავიფიქრებ იასამნებსაც,
მის სურნელსაც მივიწყებულ სულის კუნჭულში
წარსულის ქსელზე გამოვბავ, რომ არ დამტანჯოს
ძვლების ტკივილმა, მონატრების...

გამოვკეტე საკუთარ თავში

სიყვარული გამოვკეტე საკუთარ თავში.
მზის სულ-სხივები მოვიქციე პაწია პეშვში.
თითებს შორის, ნაწილ-ნაწილ წასრიალდა და
ვარსკვლავებად აენთო მთვარეს
მზის დამსხვრეული ნაწილაკები.
კილობანში ჩაკეტილი მოგონებებით
დავწურე, ქვად ვაქციე, კენჭად.
მერე კი ქვიშად გადავაქციე
და მომკლა ღარღმა,
გამგუდა უსიტყვობამ,
დამახრჩო უცრემლობამ,
უთქმელობამ,
უშენობამ.

გამოზაფხულდი მალე, მზეო!

ვიდრე უკანასკნელი ფოთოლი დაეცემა მიწას...
ცივა...
გამოზაფხულდი მალე, მზეო...
დედამიწა დარდებს ვერ იტანს...
ვერც უღრუბლო მიწის ტირილებს...
ვერც უმზეო ცისარტყელებს ვერ აგებს ხიდად...
გამოზაფხულდი მალე, მზეო...
დედამიწა დარდებს ვერ იტანს...

* * *

ღმერთები ფეხშიშველი დაიარებიან
და არ აქვთ სახლი...
ისინი ყველა კარზე აკაკუნებან
და ჯიბეებში ჩაყოფილ ხელში
ხურდას კი არა, მარადისობას ათამაშებენ.

დავიწყებულ ბედნიერებას

და ვოხრავთ... რა კარგი იყო ის... ბავშვობა
და ძალი ჯეკა, მეგობარი, სევდისფერი თვალებით
ყოველ დილას სკოლისკენ რომ მიგაცილებდა...
ერთ მშვენიერ დღეს, მიხვდები — კი არ წავიდა, არ დაიკარგა,
შენს ლოდინში დაბერებულს, აღარ შეეძლო მეტის ატანა.
კლდისთავიდან გადმოფენილი გვირილები,
საპოვნელებით, ვერმიხვედრილი ბავშვობაში ბედნიერება.
ქამა სოკოზე ლოკოკინა დატოვებს ხაზებს.
ვერცხლისფერ ძაფებს მზე წაიღებს სხივებთან ერთად,
მინდვრის მარწყვები ტუჩებს შორის გამოილევა
და ქარი, უფრო ნიავექარი
არყის ხეების უჩვეულო შრიალით გაფრთხობს
ნაძვის და ფიჭვის უსიერ ტყეში დაკარგულს,
წყაროსთავიდან, ცივი წყალი გულს დაგიაძებს
და დაკარგული თვალებიდან ამოსული მზე არ დაიღამებს,
არ დაიდარდებს უამინდობას.
ისევ გათბება ბებიისგან ნაკოცნით შუბლი
და არ იდარდება, რომ დაიკარგე, კიბეებზე წიგნის კითხვაში
და არ გამოჩნდი....
სახლის სუნში, სადაც სიძველის, ხეების და წვიმის სუნია....
თეთრი თოკი, სადაც ბებოს შავი კაბა ისევ ჰკიდია...
სკივრში ჩამწყვდეულ ჩურჩხელების პატარა ქურდს კი
ბებიის თვალებს მოწვეტილი ვარსკვლავები დააიმედებს.
ლექსი კი არა... უფრო ქაოსია...
თუთის ტოტებიდან წეროებად ქცეულ ფურცლებზე
„მე შენ მიყვარხარ“ ქარს მიყვებიან.
კენწეროზე შემომჯდარი მომაგალზე არც კი დარდობდი,
არც ფუთ მარილზე, რომელიც, თურმე არაფერს შეცვლის,
არც გზა-კვალის განათებაზე და არც ნდობაზე,
რომელიც უკვე მერამდენედ გაგიცრუვდა...
თვლა ამერია...
არც სიყვარულზე და არც სიკვდილზე,
რომელსაც თურმე ერთნაირი ტკივილი მოაქვს...
ბედნიერება...
თუთის ხის წვერზე მოთამაშე მთვარემ წაიღო, ჩემს ბავშვო-
ბაში...
როდესაც ფრთები გავშალე და ვერ გადმოვფრინდი...
მაშინ დაიწყო რეალობა, როცა მიწაზე დანარცხებულს
ბებიის კოცნა დავიწყებულ შუბლიდან, სისხლი მდიოდა,
პერანგზე ამოწყვეტილ ღილივით დავიწყებულ ბედნიერებას
მომაგალში ვეძებ მას შემდეგ....

ახალი კონოლი

ნიმე საპაბლიშვილი



ფილტრით და უფილტროდ ერთ გულწრფელ წიგნზე

ოქტომბრის დასაწყისში გაზაფხულის საყვებლად ჩაკეტილობისა და დაძაბულობისას ნათარგმნმა ერთმა პატარა წიგნმა იხილა სამზეო – საგანგებოდ ისეთია, ჯიბეში რომ ჩაიტევე, რათა ტრანსპორტში, რიგებსა თუ გადატვირთული სამუშაო დღის ბოლოს ჩახედო, თავი გაიმხნევო და მერე გულმოცემულმა გააგრძელო გზა. „ფილტრით და უფილტროდ“ ჰქვია, რადგან ისეთი გულწრფელია, უფილტრო ეთქმის, ხოლო ფილტრიანი იმიტომ, რომ ეს, ერთი შეხედვით, თავისუფალი ასოციაციები, ავტორთა დიდი გამოცდილებისა და შინაგანი რეფლექსიების ნაყოფია.

შემთხვევითი არა გახლავთ არც ის, რომ კრებულში მღვდლისა და ფსიქოლოგის ჩანაწერები შევიდა. წიგნის შედგენისას გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ დღევანდელ რთულ ეპოქაში, ამ ორი სფეროს შეკავშირება და თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალურია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, აქაც იმას ვიტყვი, რაც თავად წიგნის წინასიტყვაობაში ვთქვი:

ეს გამოცემა ჩემთვის, როგორც მთარგმნელისთვის, განსაკუთრებულია არა მხოლოდ მისი შინაარსის, არამედ იმის გამოც, რომ ორი ჩემთვის ახლობელი ქრისტიანი მოაზროვნისა და სულიერი მეგობრის, ფსიქოლოგ ნიკიტა კავკიოსისა და მღვდელ ხარალამპე პაპადოპულოსის პოეტურ-ფილოსოფიურ გამოცდილებებს მოიცავს. გარდა იმისა, რომ ამ ორს იდეური მსგავსებაც აკავშირებს და ერთი – მღვდელი, მეორე კი მართლმადიდებელი ერისკაცი, გულწრფელი ქრისტიანის საერთო სურათს ქმნიან, სასიამოვნოა, რომ რეალურ ცხოვრებაშიც კარგი მეგობრები და

თანამოაზრენი არიან.

ნიკიტა კავკიოსი 2016 წელს გავიცანი და, მისი უბრალოებისა და თავმდაბლობის გამო, არასოდეს მიგრძენია ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა და, ღროთა განმავლობაში, ნამდვილ უფროს მეგობრად იქცა.

მიუხედავად ევროპაში (პადოვა, იტალია) მიღებული განათლებისა და 30-წლიანი პროფესიული გამოცდილებისა როგორც კლინიკურ, ისე – თეორიულ ფსიქოლოგიაში, ყოველთვის ღიაა კრიტიკისა და მსჯელობისათვის და, როგორც თავად აღნიშნავს, ცხოვრების რომელ ფაზაშიც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა წარიმართოს მისი ცხოვრება, ყოველთვის ბნელში მანათობელი კანდელივით რჩება ურთიერთობა: ცნობილ ათონელ მამასთან – გიორგი კაფსანისთან, აწ უკვე წმინდანად შერაცხულ მამა პაისისთან, მამა პორფირი კავსოკალიველსა და მამა იაკობ ცალიკისთან.

რაც შეეხება მამა ხარალამპე პაპადოპულოსს, მის ფაქიზ, იუმორით სავსე და გულწრფელ ქადაგებაზე დასწრების საშუალებაც ამავე წელს, ათენის ერთ-ერთ ტაძარში მომეცა. თუ წინა ავტორის ნააზრევი ოდნავ მკაცრი და ფილოსოფიურია, მამა ხარალამპეს ნაწერები პოეტური ფერებითა და პირადი სულიერი გამოცდილებებითაა სავსე. დღეისათვის, მამა ხარალამპეს წიგნები საბერძნეთში ბესტსელერია და ამაში, რასაკვირველია, წვლილი როგორც თავად წიგნების გულწრფელობას, ისე – ავტორის გულდია და ხალას პიროვნებას მიუძღვის. მამა ხარალამპეს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს აწ უკვე განსვენებული მამა ემილიანე სიმონპეტრელის მიმართ.

უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, წიგნის კითხვისას, ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო ფაქტიც:

ორი ავტორის ეს ტანდემი მხოლოდ იმიტომ კი არ არის ჰარმონიული, რომ უბრალოდ თანამოაზრეები არიან, არამედ იმიტომაც, რომ მამა ხარალამპე ისევე კარგად ერკვევა ფსიქოლოგიაში, როგორც – ნიკიტა კავკიოსი – ეკლესიის სულიერ ტრადიციასა და გამოცდილებებში, რასაც წიგნის კითხვისასაც დაინახავთ – ძალიან ხშირად მამა ხარალამპე ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე, როგორც ფსიქოსომატურ არსებაზე, ხოლო ნ. კავკიოსი ლოცვით გამოცდილებებზე საუბრობს.

სიყვარულითა და ქრისტესმიერი მაღლიერებით თარგმნილი ეს წიგნი ამ ორი ავტორის სხვადასხვა კრებულიდან და, აგრეთვე, მათივე პირადი გვერდიდან ამოკრეფილ ნააზრევთა კრებულია. როგორც ერთ-ერთი მათგანი იტყოდა, საუკეთესო წიგნი ისაა, რომლის დაწერაც მწერალმა საჭიროდ არ ჩათვალა და მისი საიდუმლონი, საშუალოდ დუმილში დამარხა და, დარწმუნებული ვარ, ამ კრებულშიც მხოლოდ უმცირესი ნაწილია ავტორთა პირადი გამოცდილებებისა.

ვიმედოვნებ, ქართველ მკითხველსაც ისე შეაყ-



ვარებს თავს, როგორც – ბერძენ ქრისტიანებს.

ვიდრე წიგნს სრულად გაეცნობოდე, „დასაგემოვნებლად“ გთავაზობთ ამონარიდებს:

ხარალამპე პაპადოპულოსი, მღვდელი:

დანაკარგი ძიებისენ მიბიძგებს, დანაკლისი მოპოვების საწინდარი ხდება, ჩემი ყველაზე ღრმა ჭრილობა შემოქმედებით კარიბჭეს მიხსნის. ჩვენს ისტორიას ჩვენი ყველაზე დიდი უპოვარებანი და ნაკლულებანი წერენ.

მცდელობაში, ზეადამიანები გავხდეთ, ადამიანობას ვკარგავთ. იოლი არაა, საკუთარ ოცნებებზე პასუხისმგებლობა იტვირთო. მათ განსახორციელებლად საკუთარ თავთან ბრძოლაა საჭირო და განსაკუთრებით – შენს ყველაზე დიდ შიშებთან.

კვირა შუადღის მელანქოლია ჩემთვის კარგად ნაცნობია. ბევრს გამოუცდია. ბევრი ჩამოუშვებს ხოლმე ხელებს და მოიღუშება იმის გამო, რომ არ ძალუძს, „ასეთ დღეს“ უხაროდეს.

მაინც, რატომ უნდა ვიყოთ გახარებულნი და ბედნიერნი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კვირა, ან რომელიმე დღესასწაულია? სიხარული განა ძალით იქნება? განა მას საათები და დღეები გააჩნია? ნუ ვატანთ თავს ძალას იმის გამო, რომ გვსურს, სიხარულიც კი დაგვგმილი და გარანტირებული იყოს. ნუ დაგვაგიწყდება, რომ თუ გული არ ინებებს, განიცადოს და შეაფერადოს ყოველი დღე, საათი და წუთი, ამის გაკეთება არცერთ საათსა და კალენდარს არ შეეძლება. გული არჩევანს აკეთებს და ღმერთი მას განალაღებს და ახარებს!

სიფაქიზე და მგრძნობიარე ბუნება, მისი მფლობელისთვის ჯვარია, ხოლო მისთვის, ვინც ასეთი ადამიანებითაა გარემოცული – აღდგომა!

ამ სხეულს, მიწიერად რომ მიგაჩნია და რაც ხელთ მოგხვდება, ყოველ ნაგავს აყრი, პატივი ეცი და მოუსმინე, რადგან როცა ყველა ტყუილის თქმას დაიწყებს, რომ შენი სულის საჭიროებანი მიჩქმალონ და გააცუდონ, სწორედ იგი დაიყვირებს ტკივილითა და სნეულებებით იმას, რაც დაგავიწყდა და ვერავინ შეგახსენა: „შენი თავი იყავი!“

ხშირად ნაკლულებანება, რომელსაც სხვაში ვხედავთ, არც კი არსებობს. ეს შენივე მოთხოვნილებაა, რათა გვერდით მყოფთან კონფლიქტი გაამართლო. ცხოვრება რომ შეძლო, მტრები გჭირდება, პატარაობიდან დაეჩვიე საკუთარი თავის სხვების დამცირების ხარჯზე ზრდას. თუ სხვა ცუდი არ არის, შენ როგორღა იქნები კარგი? თუ სხვა ცოდვილი არ იქნება, შენ როგორ გამოხვალ მართალი? სხვა თუ მემრუშე არაა, შენ როგორ იქნები უბიწო? საბედნიეროდ, ღმერთმა კარგად იცის, სად გვაქვს ძაღლის თავი დამარხული და მისი სამსჯავრო, მისი ყველაზე დიდი სიურპრიზი იქნება.

ყოველთვის როდი შეგვიძლია, დავეხმაროთ ადამიანს, რომელიც იძირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაწვდილ ხელს კბენს, რათა თქმესა და გრიგალში დაინთქას. გვიყვარს და მისი დაღუპვის შემხედვარეებს გული გეტკივა, მაგრამ ყოველთვის არაა შესაძლებელი, რაიმე იღონო, თუ თავად ის არ მოგცემს საშუალებას. ასეთ შემთხვევაში, თავმდაბლად უნდა მივიდეთ ის ფაქტი, რომ ყოვლისშემძლენი და ზეძალის მქონე გმირები არ ვართ. მისდამი სიყვარული ჩვენი ჯვარია. ამიტომაც, ხშირად, სიყვარული ღუმილსა და უკანდახევას, სხვისთვის შეცდომის დაშვების უფლების მიცემას ნიშნავს.

მეირისმომხსენებელ ადამიანს, რეალურად, შინაგან ღროსთან აქვს პრობლემა:

წარსულს აწმყოში გადმოიტანს და მომავალს განისაზღვრავს. მისი ცხოვრება მუქ ელფერს იძენს გუშინდელი დღის აჩრდილთა გამო.

კიდევ კარგი, ღმერთი ყოველ ჩვენს თხოვნას არ ასრულებს, რომლითაც მას ლოცვაში მიმართავთ, რადგან, უმეტესად, ეს თხოვნები აბსოლუტურად თვითგანადგურებისკენაა მიმართული. ამას, სამწუხაროდ, წლების შემდეგ, დიდი თავგადასავლების მერე ვაცნობიერებთ – ხოლმე.

შენი სინათლე რომ მივიღო, ღმერთო, ყველა

ჩემი ჩამრთველი უნდა გავითიშო.

....

იმ წამიდან, რაც ღმერთი განკაცდა, ცა აღარ არის ღმერთთან შეხვედრის ადგილი, არამედ მხოლოდ ადამიანის გული.

....

ღმერთი სიტყვა არაა, ის ურთიერთობაა!

....

გამუდმებულმა ნაკლულებამ და მარცხმა უმნიშვნელო და ყოფით ამბებში ღვთის ხელის ამოცნობა მასწავლა:

დამწუხრებული ხარ და უცებ შენი ტელეფონი დაიწვრიალებს, ეკრანზე კი მესიჯი აციმციმდება: „ხომ კარგად ხარ?“
ესეც ღვთის გამოცხადებაა!

ნიკიტა კაკიოსი, ფსიქოლოგი:

....

ის, რაც ადამიანს ყველაზე მეტად ახასიათებს, ვითარცა ადამიანს, მისი გონი კი არა, უფრო მეტად, თვით მისივე ცხოვრებაა, მთელი თავისი სიცხოველით. ადამიანი ყოფისმიერი მგრძნობელობის ცენტრია, ზემგრძნობიარე, ცოცხალი მექანიზმი. ამიტომაც აღმოჩნდება ხოლმე ლოგიკა უძლური, როდესაც კაცი საკუთარ განცდებთან გამკლავებას ცდილობს.

....

ყველა პრობლემა ჩვენი გონების ნაყოფია, ჩვენი არსების ჭეშმარიტ გულისგულს, ღვთის ხატებას, რეალურად, არავითარი პრობლემა არ გააჩნია.

....

ჭეშმარიტი ქრისტიანი არც უცოდველია და არც – ის, ვინც ათასჯერ ეცემა და ათასჯერვე საკუთარი ძალებით წამოდგება, ნამდვილი ქრისტიანი ისაა, ვინც გრძნობს, რომ თავისით წამოდგომა, ერთხელაც არ შეუძლია, თუკი საღმრთო სიყვარულისგან არ იგრძნობს შეწევნას.

....

კონსტანტინე კავაფისის დიდებული ლექსია „ქალაქი“:

სხვაგან ნურარას ნუ მოელი,
ხომალი არ გყავს,
არც გზა გემლება წინ
კუთხეში მოგიწევს გაძლო
ამ ვიწრო ჩიხში აიტანე შენი ცხოვრება
რადგან სხვა არსად,
ქვეყნად მაინც არ გეცხოვრება!*

* ნინო საძაგლიშვილის თარგმანი

ნუთუ მართლაც საბოლოოდ ვინგრევთ ცხოვრებას ჩვენივე გაკეთებული არჩევანით? ყოფით, ადამიანურ ასპექტში, ეგებ ასეც იყოს, მაგრამ, საბედნიეროდ, სინანულის შესაძლებლობაც არსებობს, არსებობს ყოფიერების ძირეული ცვლილების შანსი. ესქატოლოგიურად, სულიერ ჭრილში, არასოდეს არაფერია სამუდამოდ დაკარგული და წარწყმედილი. ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთი „წკაპ“ და – გადარჩენილები ვართ!

....

თუ სულიერი ცხოვრება გამძიმებს და გამწუხრებს, რაღაცას არასწორად აკეთებ. ღმერთთან ყოფნა სიხარულია, მაშინაც კი, როდესაც ეს სიხარული ჯვარცმულია.

....

ქრისტიანს საკუთარი ცოდვილობის ღრმა განცდა აქვს და ჭეშმარიტად სათნო და მართალი არასდროსაა, თუმცა, შესაძლებელია, მან იფიქროს კიდევ, რომ მართალია, უმთავრესად – ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამო, საკუთარ შიშთა და კრთომათა გამოიხიბით და ცოდვას თვალი აარიდოს. მისთვის კომფორტულია, ეგონოს, რომ ღვთის ნებას ემორჩილება და საკუთარი შიშებით სულაც არაა შემოზღუდული. ამგვარი ტაქტიკით ინუგეშებს თავს გაამპარტავენებული და ორგვარად სცდება:

1. საკუთარ ფსიქოლოგიურ ხატებას თავისი უძლურებებისგან თვალის არიდებით განამტკიცებს და ამყარებს

2. თავის სულიერ ხატებას აფუძნებს ფსიქოლოგიურ უძლურებებზე, რომელთაც სულიერ ღვაწლად მიიჩნევს.

....

ვარდნის ჟამს, ქრისტე შენი პარაშუტია, უბრალოდ, ნება იბოძე და გახსენი!!!

....

ღვთის მცნებები გზაზე გამომდგარ საფრთხის ნიშნულებს ჰგვანან. თუ გადაუხვევ, ეს სასჯელი კი არა, ავარია იქნება.

....

თუკი საღმრთო ჭეშმარიტებათა შეცნობას მოახერხებ, ნამდვილ ფილოსოფოსად იქცევი, ხოლო თუ მათით ცხოვრებას ისწავლი – ნამდვილ ადამიანად!

....

ძირეული განსხვავება მორწმუნე ქრისტიანსა და ღვთის უარმყოფელს შორის, ეთიკის კანონების დაცვა კი არა, ღმერთთან მისი ცხოვრების მიმართებაა. მორწმუნე უცილობლად ეთიკურად უმჯობესი როდია ათეისტზე (იქნებ უარესიც კი

იყოს), მაგრამ საკუთარ ცდომილებებს ღვთის მადლის პრიზმაში ჰვრეტს და საკუთარ შემუსვრილებას საღმრთო სიყვარულის სიდიადის მასშტაბებში განიცდის. რაც შეეხება ღვთის უარყოფელს, ის მარტოა, მორწმუნისგან განსხვავებით, რომელიც ღმერთთან ურთიერთობით ცხოვრობს.

.....

ძლიერ სანუგეშოა ის ფაქტი, რომ პეტრემ, ეკლესიის ბურჯმა, ქრისტე სამჯერ უარჰყო და ფიცით ამტკიცებდა და ირწმუნებოდა, რომ მას არც კი იცნობდა. მანამდე კი, ქრისტეს შეპყრობის წამს, მღვდელმთავარი მალქოზის მონას დაესხა თავს და ყური ჩამოათალა. რწმენასა და სიყვარულს ძნელად გავიაზრებთ და კიდევ უფრო მეტად კი ცხოვრებაში განხორციელება გვიჭირს, პეტრესავით ხელი მოგვეცარება ხოლმე. უბრალოდ, პეტრემ მხოლოდ სამჯერ უარჰყო, ჩვენგან განსხვავებით, ყოველწამს რომ უარეყოფთ!

.....

შენი ნევროზი ეკლესიის წიაღში იტვირთე, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი „სულიერი“ დანაშაულის შეგრძნებით არ დატვირთო, თუ შეიშალე, უმჯობესია, შეშლილიც ღმერთთან იყო. ღმერთი უპირობოდ მოგიტევეს ყოველ შენს ცდომილებას, ის არ ითხოვს, შენი უძღურებები გადალახო, მაგრამ ყოველ შენს მცდელობას მხარს უჭერს და აფასებს.

.....

უძღურებების მდაბლად მიღების უნარი, თვით სათნოებაზედაც კი აღმატებულია.

.....

სიმდაბლე – ეს არის ქედს მოწიწებით იდრეკლე შენი და სხვათა უძღურებების წინაშე.

სიმდაბლე ნიშნავს, შენი უძღურებები შეიცნო, მიიღო და ღმრთის ფერხთით დატოვო.

.....

თუკი ჩვენი „ეგო“ არ შევიწროვდება, ღვთის განცხადებისათვის ადგილი აღარ დარჩება.

.....

სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება უხამსიც იყოს და – წმინდაც. სიწმინდეს, ან სიბილწეს, ქორწინება არ განსაზღვრავს, არამედ სიყვარულის არსებობა ან – არარსებობა. ინტიმურ კავშირს სიყვარული განწმენდს. ქორწინების გარეშე ინტიმური ურთიერთობა ცოდვას, რადგან სიყვარულს საუკუნო პერსპექტივაში არ მოიშუშავენ. გარდა ამისა, წარმატალი სიყვარული, ზოგჯერ, სულს ტრაგიკულ დაღს ასვამს, დამანგრეველად

აღბეჭდავს სხეულსა და ოჯახებს. ეკლესია სამართლიანად კრძალავს ქორწინების მიღმა კავშირებს. რა თქმა უნდა, ცხოვრება დიდი საიდუმლოა და ღვთის სული იქ ჰქრის, სადაც ჰნებავს, მაგრამ ადამიანებს სწორი გეზის ასაღებად კანონები სჭირდებათ. ღვთის მაღლი ყოველგვარ კანონს აღმატება.

.....

აბსოლუტური ზორციელი თავშეკავება, სულიერი ასკეზის ასპექტში, დიახაც, რომ მიჯნურობის ამბავია – ადამიანში საყოველთაო, ფართო სიყვარულის უნარს ააქტიურებს, მგრძნობიარეს ხდის პიროვნებას და საშუალებას აძლევს, ყველასა და ყველაფრის მიმართ სიყვარულით იმოქმედოს. მღვიმარე მოსაგრე უდიდესი მიჯნურია.

.....

ისეთი მგზნებარე ვნებით აღსავსე ქალს, როგორიც მარიამ მეგვიპტელი ერთ ღროს იყო, შეუძლებელია, სულიერების მწვერვალებისთვის არ მიეღწია!

რაკი, მამაკაცებისთვის ბოლომდე იზარჯებოდა, შეუძლებელია, მოგვიანებით, ქრისტესთვის ბოლომდე არ მიეძღვნა თავი. მის არსებაში, ჰორიზონტალური, კაცობრივი ეროტიზმი, ვერტიკალურ, საღმრთო მიჯნურობაში გადაიზარდა!

.....

მე ნატკენ სულებს ვესაუბრები, დაუჯერებლად საუცხოო სულებს, მგრძნობიარეებს, პატარა ბავშვებზე უმანკოებს და პასუხისმგებლობა მაქვს ნატკირთი, მათ განვითარებასა და მოწიფვას ხელი შევეუწყო. ამას დიდ პატივად და კურთხევად მივიჩნევ!

.....

სიბერე წლების კი არა, ფსიქოლოგიის ამბავია, ჩვენ წლებზე მეტად, ეგოიზმი გვაბერებს, სიბერე ჰორიზონტების დახშვის ამბავია, ეგზისტენციალურია შემოზღუდვასა და არა – წლებთან ერთად მოსული ხრწნილება.

.....

ყოველი აკადემიური მეცნიერება, შემსწავლელის გონებას გარკვეულ ფარგლებს უწესებს, კლინიკური ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და თეოლოგიის შემთხვევაში კი საფრთხე უფრო მეტია. თუკი ამ მიმართულებების სტუდენტი ვერ შეძლებს, რაც ისწავლა, იმას არ მიეჯაჭვოს, შინაგანად დასნეულდება.

ათენი, 2020



* * *

ყველა გადაწერილ პირველ გეფიცვებში,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია –
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები.
ჩემი ღმერთის სისხლი – ყანწის სასმისივით
უბნის ლოთებს ადევნო ტუჩთან მოშიებით.
ხოლო სახარების მე ვარ განმარტება –
ყველა მოუნათლავ ბავშვად შევიცანი,
მიუტევები ხარ ფუჭი აღსარებით,
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.
ყველა გადაწერილ პირველ გეფიცვებში,
ახლა ჩემი წყალი შარის მეძავივით ნამად
ფოთლებზეა –

მზეებს ეფიცება,
ახლა ჩემი ხორცი – ცხენის უნაგირი,
მიწებს შემოივლის როგორც ბედისწერა.
რადგან ჩემი ძვლები შენი ჭიშკარია,
ყველა ჩემი სუნთქვა შენში შევიკარი,
უპატიები ხარ, რადგან დამიჯერე,
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.
ყველა გადაწერილ პირველ გეფიცვებში,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია –
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები..

* * *

და ბუხრის თავზე დაკიდებულ
დათვის კლანჭივით,
შენ სურვილი ხარ – შეუსაბამო...

* * *

თუ ვერ გაცურავ, ზღვა დააშრე! –
გადი ნაპირზე.
მკვდარი თევზების სიბრალული არ მოგცემს
ნიჩბებს..
(შენი სხეული არ ადარდებს არცერთ მებადურს)

I

მკვდარი ბიჭები სამყაროს ცვლიან.
არ მინდა მოკვლე.
შენი ჩრდილების გოლიათებს აღარ აქვთ ძალა,
ეს შიში არის პატარა და ისეთი ნორჩი,
არ მინდა მორჩე,
თუნდაც სამყარო გამოუცვლელ ტკივილად დარჩეს.
არ მინდა ვჭამდე ქვებს და სისხლი მდიოდეს
თმიდან,
როგორც იმ ქალებს ავტორები რელსებს რომ
ვუწყობთ.
ურჩხულებს ღვიძავთ, შენზე დიდებს, შენზე
მრისხანეს,
გადაყლაპულ ჩემს ქვეყანას ალბობენ ნერწყვში,
და ვერ იქნება ველარავინ ისე მდიდარი როგორც
მე შენით –
შენ თუ ისუნთქებ სულ და მარტივად,
შენ თუ იქნები ისე ნამდვილი ალბინოს მინდვრებს
რომ დააწვე ფიქრად და ხინჯად.
შენი სული, შენს ჩრდილზე დიდია ახლა,
შენი თითები ჯებირი ზღვების, მთების და ჩემი,
მე მინდა ვიყო აღმართებზე ყველა ის დაღლა
სადაც ჩერდები...
სადაც წყალს სვამ და ხელახლა დგები,
რომ გააგრძელო ნერწყვიანი სამშობლოს ძებნა.
ურჩხულებს ღვიძავთ
და ჩემი გული ყოველ ღამე სარკოფაგდება...
სადა ხარ ახლა...
დღეს სამშობლოა ჩემი დარდი შენ და ეს წვიმა –
სუნი რომ ყველგან ერთი აქვს და გემო
ნეკერჩხლის....

II

ჩემი გრძნობები სიკვდილზე შორს გრძნობენ
სიცოცხლეს,
მაინც იმავე ტოტებიდან დაიწყო მოჭრა,
სადაც ჩიტივით მისხალ-მისხალ ვზიდე სიტყვები.
ვაშენე ბუდე. ვა-შენე ჩემი მთის ყვავილის ნატანჯი
სული.
დაბადებიდან შენამდე რომ გავზარდე თმებით
შეკრული კონა ყველა იმ ქალის
სიცოცხლეს უდრის ვინც მიმტვრევს ტოტებს,
ვინც მიჭრის ხეებს,
რადგან დიდი ვარ როგორც სამყარო.
ჩვილის გულივით ვიყავი ნორჩი
და პოეტურად ამპარტავანი,
ისე დამთავრდი, პო... ისე მორჩი –
ჯერ მოხუცივით დაპატარავდი,
შემდეგ ნატკენი მუხლებივით საერთოდ გაქრი.
გულშიც კი ვეღარ გიტოვებ ხინჯად.
შენი ხელები ჯებირებად აღარ ვარგია,
შენი მოჭრილი ტოტებიდან ჩიტები ცვივა,
სისხლიანი და დაფლეთილი ცვივა ჩიტები.

აღარ ვარგია არცერთი მძიმე, სადაც მოჭრილი
წერტილი დავსვი.

აღარც ვიბნევი.

ურჩხულებს ღვიძავთ, გახსოვდეს რომ ურჩხულებს
ღვიძავთ.

შენი ცხოვრების მიღწევებში ყველაზე დიდი აი
ეს არის,

მე რომ მიყვარდი – სამყაროსხელას.

და ის ტოტები რომ მიჭრიდი ჩეხდი და სტკენდი.

აი ეს არის, რაც უნდა მეთქვა,

რომ პლანეტა ვარ შენ რომ დაკარგე,

პოეზია ვარ შენ რომ დაკარგე,

ემოცია ვარ, შენ რომ დაკარგე,

სიყვარული ვარ ერთხელ რომ მოდიხ.

შენ კი დასმული წერტილების ერთობლიობა.

III

ვერ შეძევებულე, არა ვარ მჩატე,

დახუნძრულ ხეებს ბავშვზე მეტად სტკივათ
მუხლები,

რადგან წაქცევა არ შეუძლიათ.

იარებია ეს ჩემი სახე და ყველაფერი რაც შიგნით
ფეთქავს

ხმება და ჭკნება.

ხვალ იქნებ მოვკვდე და გავიტოვო ატმის ხედ
შენში,

ან იქნებ ცოცხალს გადამეჩქე გახსნილ პერანგზე...
არ ვიცი ახლა რას აქვს აზრი წერილს თუ მძიმეს,
ღუმიღლს თუ წერას,

ყველაზე სუფთა რაც შემომძრჩი უნდა მიყვარდე.

არა ვარ მჩატე, ვერ შეძევებულე, მტკივა ტერფები.

უმაძურობას, უბავშვობას მოვათრევ ზურგიით

და ეს ხელები შეუხებლად გრძნობენ ურჩხულებს

და ეს თითები კანის ქვეშავე იხედებიან.

ვერ შემიფარებ, მუხლებიდან მცვივა მტრედები,

კედლის კუთხეში ჩემებურად იმუხლებიან.

ვერ შემიფერებ, მძიმე არის ჩემი ეს მხარე,

მძიმეა ჩემში უგვირგვინო ბროწეულები.

მე პოეტი ვარ, ვერ გადავადებ მეორე მხარეს,

სანამ ბოლომდე სისხლისფრად არ მოვითხუნები,

სანამ არ დაგწერ ისე კარგად რომ უკვდავს გაქცევ,

სანამ არ გტანჯავ ისე მძიმედ, რომ ქრისტეს ჰგავდე,

ამიტომ როგორც ქალი ისე გემშვიდობები.

მშვიდად და წყნარად,

რომ არ გატკინო შენი წილი ბედნიერება,

რომ არ გაგსვარო პოეტების ზიარებაში.

IV

იმ ყვაკვლებს კრეფ,

რომლის სუნიც ვაზამდე ქრება,

შენ ისევ ისე უსულო ხარ როგორც საგანი,

მუცლიდან დამყვა ყველაფერზე წინასწარ ღელვა,

მერე ნელ-ნელა ერთმანეთზე გადავამრავლე..

ვაზიდან იღებ დამტკნარ ყვაკვლს,

მე რა უნდა ვთქვა – თებერვლის იამ ან რაზე
უნდა გელაპარაკო.

მათზე ნადირობ, ვისი ზორციც უვარგისია.

სიტყვები ყრია, ღლეები ყრია, თვეები ყრია,

მე დავიგრძელე ყურზე საყურე

და ეს ღიმილი ყველგან დავფანტე.

ისევ ჭრი ხეებს,

მაგრამ მათი ალი არ გათბობს,

მათი ტოტები კანის ქვეშ ვერ იხედებიან.

V

გადაჭრილი ხე

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა იცის,

რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრით..

მანამდე თუნდაც გაზომო ასჯერ.

ღამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ:

სხვენში მორბენალ ვიროხების ტანგოს,

წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე,

და მთავარია არავინ გნახოს

ჩაცმული როგორ წევხარ დივანთან.

იესოს ლოცვებს ფსკენილის ნაცვლად

მარგალიტის მძივზე ითვლი და

რა საჭიროა ველარ ხედები ამდენი გარჯა.

აქ არ დადიან მატარებლები,

რელსებზე ძაღლებს სძინავთ

ყინვაში უნდა ინატრო

რომ დაგიფაროს ყინვამ.

ერთხელ გადაჭრილ ზიდან მიათრევს

ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი

და თითქოს სჯერა რომ მიატანს გაზაფხულამდე.

სამყარო მინდა გაუზომაღ-უკაცრიელი,

საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს.

ხის თეთრ რაფაზე შემომიწყო კვერცხები ჩიტმა,

და სანამ ჩაი ორთქლად იქცა, დამდნარ ქურაზე

მეზობლის ბავშვის ტირის თოფის უმიზნო რისხვამ

შემოაწირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და

ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა.

ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე...

ჩემი ცხოვრება ჩემ წინ იწვა და

მე ვიწვოდი მის წინაშე.

* * *

ღმერთის ნარჩენებს კი აქვს გემო ნეკერჩხლის,

გემო სხეულზე ჩამოდნარი წვიმის და თოვლის,

ღლე ისე ვუცდი ცივ ხელებზე სველ და ნაზ

ფიფქებს,

ვით უნაყოფო ქალი ელის თბილ ახალშობილს...

შიმშილი

ფანჯრის რაფაზე ღლეხ ჩიტები მშვივრები დარჩნენ.

შვილის წინსაფარზე დაცვენილი პურის მარცვლები

ღელამ შეჭამა...

ანბანის მესტიფიქცი...

ნინო ახანაშვილი



მან ეს შეძლო

93 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი მეცნიერი, ქართული დამწერლობის მკვლევარი და ჭირისუფალი რამაზ პატარიძე

„ჩვენ თავს ვიხრით და მუხლს ვიდრეკთ ჩვენი წარსულის, ჩვენი წინაპრების წინაშე, რომელთაც შემოგვინახეს რწმენა, ჩვენი მიწა-წყალი, კულტურა და ხელოვნება“. — ბრძანებს ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს ბრძენი კათალიკოს-პატრიარქი, ილია II.

ხდება ისეც, რომ ჩვენ შორის ცხოვრობენ ადამიანები, ისეთი მოღვაწენი, რომელნიც სიცოცხლეშივე იმსახურებენ ასეთ მოწიწებას საზოგადოებისგან. ამგვარ მოღვაწედ მიმაჩნია მე რამაზ პატარიძე, მეცნიერი, ქართული დამწერლობის მკვლევარი და ჭირისუფალი. მან სულ ახლახან დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და მისი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

1927 წლის 6 ნოემბერს დაიბადა თბილისში, საზოგადო მოღვაწისა და მთარგმნელის მიქელ პატარიძის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მაშინ ერთადერთი), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); შემდეგ ისევ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ეთნოგრაფიის განყოფილებაში. სწორედ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში გავიცანი ბატონი რამაზი. იმ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტი ვიყავი და ერთ-ერთი პუნქტი ჩემი საქმიანობისა

იყო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისთვის საინტერესო შეხვედრებისა და ლექცია-საუბრების ორგანიზება. იმ პერიოდისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ორმოცზე მეტ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ითვლიდა. სამეცნიერო მუშაობა, რომ იტყვიან, ღულდა და გადადიოდა. არაერთხელ ყოფილა, საერთაშორისო სიმპოზიუმებიდან და კონფერენციებიდან დაბრუნებული ჩვენი მეცნიერების კორიფეები (მაგალითისთვის აკადემიკოსებს, ქალბატონ ელენე მეტრეველსა და თვითონ აკადემიის იმდროინდელ პრეზიდენტს, ბატონ ევგენი ხარაძეს დავასახელებ) თვითონ მთხოვდნენ შეხვედრების ორგანიზებას რომელიმე ინსტიტუტში ან თვითონ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში.

აი, ასეთი საინტერესო შეხვედრების სიაში ყოველთვის იყო შეხვედრა ბატონ რამაზ პატარიძესთან. წიგნების გამოცემით არ იყო განებივრებული (რამდენადაც მახსოვს, 1980 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ დასტამბა მისი წიგნი „ქართული ასომთავრული“), სამაგიეროდ, ყოველთვის გრძნობდა აუდიტორიის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, აღფრთოვანებას მისი აღმოჩენებით. უაღრესად განათლებულსა და კეთილშობილს საგნებისა და მოვლენების თავისებური, განუმეორებელი ხედვა ჰქონდა. ამავე დროს, ბავშვით უხაროდა, როცა ახალ მასალას მიაგნებდა. მახსოვს, როგორ გაშლიდა ასომთავრულით მოხატულ გრაგნილებს ჩვენ თვალწინ და გვიხსნიდა, თქვენი აზრიც მაინტერესებს, სანამ ფართო აუდიტორიის წინაშე გამოვიტანო და როდესაც ჩვენი შეკითხვების პასუხად ისევ ასომთავრულის გრაფიკულ ხაზებს მიუბრუნდებოდა და უკვე საბოლოოდ დაგვარწმუნებდა თავისი აზრის ჭეშმარიტებაში, ღიმილმორეული დასძენდა: დიახ, ასეა, ჩემო ბატონოო, და კმაყოფილი შეახვევდა გრაგნილებს. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ, ენათმეცნიერი, დამწერლობათმცოდნე, ლიტერატურათმცოდნე... ბევრ საგანსა და მოვლენას სწვდებოდა მისი ცოდნა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიასა და კვლევასთან იყრიდა ეს ყველაფერი თავს.

ბატონმა რამაზმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული დამწერლობის მეცნიერულ კვლევას მიუძღვნა. იყო მოწაფე პავლე ინგოროყვასი, ამასთან, იგი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის ღირსეული მოწაფე და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი. აი, რას წერს თავისი წიგნის „ქართული ასომთავრული“ დასაწყისში თავად მეცნიერი: „ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევისას მე მიუყევები იმ გზას, რომელიც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გაკვალა. მეტსაც ვიტყვი, ივანე ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“ ჩემი ნაშრომის საფუძველთა საფუძველია. ეს გარემოება დიდი მეცნიერისადმი უღრმესი პატივისცემის გამოხატვის უფლებას მანიჭებს. ჩემს

თავს მოვალედ კრაცხ, ეს ნაშრომი მის ხსოვნას ვუძღვნა“.

მართლაც, 2018 წელს გამოცემლობა „პალიტრის“ მიერ დასტამბული დიდი მეცნიერული ნაშრომის შემოკლებული და ფართო საზოგადოებისთვის შედარებით გასაგები, ე.წ. ადაპტირებული ვარიანტი „ქართული ასომთავრული“ მტკიცება და დადასტურება ივანე ჯავახიშვილისეული დებულებისა, რომ ქართული დამწერლობის სათავე ქრისტიანობამდელ, წარმართულ ხანაშია საძიებელი. ამას ერთვის საკუთრივ რამაზ პატარიძის მიერ კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები: რომ ქართული დამწერლობა მონუმენტური დამწერლობაა, რომ ქართული ასომთავრულის საიდუმლო მის გრაფიკულ მოხაზულობათა სისტემაშია საძიებელი, რომ ქართული ასომთავრული მჭიდროდ უკავშირდება ქართულ წარმართულ კალენდარს.

დღეს, სამწუხაროდ, ზოგი იმასაც ამბობს და ზოგჯერ წერს კიდევ, რომ ქართველებს სამი დამწერლობა ანუ სამი ანბანი გვაქვსო, რაც ისეთივე სიბრეყვეა, როგორც იმის თქმა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანული ღმერთი სამია და არა სამსახე და ერთარსება. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვით, რომ ქართული ანბანი ჭეშმარიტი ღმერთივით სამსახე და ერთარსებაა. მისი სამი გრაფიკული ნაირსახეობა, გნებავთ, განვითარების სამი საფეხური არსებობს: 1. ასომთავრული ანუ მრგვლოვანი; 2. ნუსხური ანუ ნუსხა ხუცური და 3. მხედრული. აქედან ყველაზე ძველი ასომთავრული ანუ მრგვლოვანია და როცა მრგვლოვანის გრაფიკულ გამოსახულებათა ახსნას ვეცნობით ბატონ რამაზ პატარიძის ნაშრომში, აქ უკვე განვითარების საფეხურებად დაყოფა, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ამიტომ ჯობს ვთქვათ, რომ ქართული დამწერლობის სამი სახეობა გვაქვს ერთ არსში.

ავტორს ნაშრომში გარდა XI საუკუნის ქართველი მემატიანის, ლეონტი მროველის ცნობისა ქართული მწიგნობრობის ანუ ქართული დამწერლობის შესახებ, გამოუქვეყნებია ცნობა ანტონ კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან „მატიანე შემეცნებათა“. ეს ცნობა ამ წიგნიდან 1822 წელს ამოუწერია თეიმურაზ ბაგრატიონს, ხოლო 1936 წელს მარი ბროსეს იგივე ცნობა ფრანგულად გამოუქვეყნებია. მივიწყებული დოკუმენტი სამზეოზე გურამ შარაძემ გამოიტანაო, გვამცნობს რამაზ პატარიძე.

აი, რა წერია ამ ცნობაში: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხვეის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლნი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური (იგულისხმება ასომთავრულიო,

შენიშნავს რამაზ პატარიძე) ჩვენი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ ხელით წერილი განყოფილი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“. კვლავ გავიმეორებთ, რომ ბატონი რამაზ პატარიძის მითითებით, ხუცურში იგულისხმება ასომთავრული.

ამიტომ წერდა ივანე ჯავახიშვილი, რომ „სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა გამოგონების შესახებ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძებოთ და არა საბერძნეთში“ (ქართული პალეოგრაფია; გვ. 236).


მიუხედავად ამისა, ქართულ მეცნიერებაში და არა მხოლოდ ქართულში (სომეხი მეცნიერების ცრუ მტკიცებანი ქართული ანბანის სომხურიდან წარმომავლობის შესახებ), არსებობს საპირისპირო აზრიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართული დამწერლობა სწორედაც ბერძნულისგან არის შექმნილი ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებში (აკად. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. თსუ გამომცემლობა, 1990წ. გვ 125).

ბატონმა რამაზმა თავისი მეცნიერული ნაშრომით, ბიბლიური სიმშვიდითა და იობის მოთმინებით, შეძლო მოწინააღმდეგეთა აზრის გაბათილება. ვისაც სურს, ამაში უფრო მეტად დარწმუნდეს, ნუ დაიხარებს და გაეცნოს 2018 წელს გამოცემულ მის წიგნს „ქართული ასომთავრული“, რომელიც დიდი მეცნიერული შრომის ადაპტირებული გამოცემაა. სასურველი იქნება, თვითონ ნაშრომს თუ უფრო გულდასმით მოეკიდებიან ამ საკითხების მკვლევრები, მით უმეტეს რომ და თვითონ საწინააღმდეგო აზრის მქონენი ვერც ახერხებენ ბატონ რამაზ პატარიძის მიერ მოკვლეული მტკიცებულებების ხელაღებით უარყოფას.

ადაპტირებული გამოცემის წინასიტყვაობას ასე ამთავრებს როსტომ ჩხეიძე: „დაე, ამ ადაპტირებული ვერსიების მიღმაც აღგვექვას გამჭვირვალე, დახვეწილი სილუეტი გზად მიმავალი მწირისა, რომელსაც ზურგზე ვეება ზნეობრივი ტვირთი წამოუკიდია“.

და მე ისლა დამრჩენია ვთქვა, რომ ამ ზნეობრივი ტვირთის მატარებელი, დახვეწილი და დიდბუნებოვანი ადამიანის სული ზეციურ საქართველოსკენ გაემართა.

6 ნოემბერი – რამაზ პატარიძის დაბადების დღე.
2020 წელი.



ტაბუდადებული სახელი

ქართული ემიგრაციის მეორე ტალღის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, რეპრესირებული ოჯახის შვილის, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და საბჭოთა ხელისუფლები მიერ მოღალატედ გამოცხადებული ქართველი ექიმის გივი გაბლიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საბჭოთა პერიოდში, მიზანმიმართულად მხოლოდ საშინელებები იბეჭდებოდა და იგი ყველგან მოღალატედ, ფაშისტად იყო გამოყვანილი.

ყველას კარგად მოეხსენება ის სისასტიკე, რითაც საბჭოთა იმპერია ტყვედ ჩავარდნილ „საბჭოთა მოქალაქეს“ სჯიდა – მათ ხვრეტდნენ ან შორეულ საკონცენტრაციო ბანაკებში „აბინავებდნენ“, სადაც უმეტესობა იხოცებოდა და უგზო-უკვლოდ იკარგებოდა.

იცოდნენ რა ტყვედ ჩავარდნილმა „წითელი არმიის მებრძოლებმა“, რაც ელოდათ საბჭოეთში დაბრუნებულებს, ბუნებრივია, იძულებულნი იყვნენ უცხოეთში დარჩენილიყვნენ, რის შესახებაც, უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახის წევრებმაც არაფერი იცოდნენ.



გივი გაბლიანი

ამ თვალსაზრისით, არც გივი გაბლიანი იყო გამონაკლისი. მას რთული ცხოვრება არგუნა

განგებამ და ეს სირთულეები ადრე – მის ახალგაზრდობაში დაიწყო, როცა მამამისი, სვანეთის ჭემშიარბი შვილი, გამორჩეული, ყველასათვის პატივსაცემი, განათლებული და ქვეყნისათვის საჭირო პიროვნება, მწერალი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და დიდი საზოგადო მოღვაწე ეგნატე გაბლიანი ბოლშევიკებისათვის „ზედმეტი“ აღმოჩნდა და 1937 წელს დაუნახებლად დახვრიტეს.

მეუღლე – ვერა თევზაძე-გაბლიანი მარტოხელა დარჩა, რომელსაც ცხოვრების ბედისწერამ მრავალი ტანჯვა აგემა. ჯერ იყო და ადრეულ ასაკში ორი შვილი დაკარგა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის 18 წლის სტუდენტი ქალიშვილი მოულოდნელად გამოეცალა ხელიდან, ხოლო ექიმი ვაჟიშვილის, ერთადერთი იმედის – გივი გაბლიანის ავადმყოფობის ისტორიამ სამუდამო დაღი დაასვა სათნოებით სავსე დიდებულ ქალბატონს.

ერთ-ერთი, ვინც მეორე თაობის ემიგრანტების ცხოვრებით დაინტერესდა და პერიოდულად პრესაში მასალებს აქვეყნებდა გივი გაბლიანზე, ისტორიკოსი რუსუდან დაუშვილი გახლდათ, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას „გაუჩინებელი“ არ დაუტოვებია ქართველ ემიგრანტთა მიერ გამოქვეყნებული მეშუალების არცერთი წიგნი, საჟურნალო და საგაზეთო წერილები, ნარკვევები თუ სტატიები, სადაც გივი გაბლიანის შესახებ თუნდაც ერთი სიტყვა იყო ნათქვამი. წლების მანძილზე ასე მარცვალ-მარცვალ აგროვებდა იგი მასალას გივი გაბლიანზე.

მანამდე კი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, მზის სინათლე იხილა გივი გაბლიანის უნიკალურმა წიგნმა „ჩემი მოგონებანი“, რომელმაც გარკვეული სიღრმადე შეიტანა მეორე მსოფლიო ომის ჩვენებულ გაგებაში, რაც ძირითადად საბჭოეთის ცრუ აგიტაცია-პროპაგანდაზე იყო დაფუძნებული.

ამ წიგნის მნიშვნელობაზე რედაქტორის შესავალში საინტერესო და საგულისხმო აქცენტებს სვამს როსტომ ჩხეიძე, რომელიც არ შეიძლება მკითხველმა არ გაიზიაროს: „გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანი“ (მეორე მსოფლიო ომი)“ იმ წიგნთა შორის უნდა ვიგუფლოთ, რომელთა პირუთვნელობაცა და ანალიტიკური სიღრმეც არის საყრდენი მართებული აზროვნებისათვის.

დღეს აღარ გვიკვირს ასეთი წიგნის გამოცემა... ქართველი კაცის თვალთ დანახული მეორე მსოფლიო ომის საშინელებანიც და ის შინაგანი ღინებაც, რაც სხვაგვარად ასე ცოცხლად და დამაჯერებლად იქნებ ვერც აღგვედგინა.

თვითმხილველი მართალი კაცია.

და ეს მართალი კაცი, პროფესიით ექიმი, არა მარტო თავდადებულია თავისი ქვეყნის გადარჩენისათვის, არამედ ჩინებული მწერალიც ყოფილა, ექსპრესიულად რომ მოაქვს ჩვენამდე მაშინდელი

მსოფლიო-ისტორიული ამბები, ბელეტრისტიკის კალმით რომ გამოჰკვეთს იმ დიდი მღელვარების მონაწილეთაც (ცნობილთ თუ უცნობთ) და მოვლენათა საერთო დინებასაც.

გივი გაბლიანი გერმანელთა მხარეზე დგას და მათ არმიებთან ერთად მოდის საქართველოსაკენ. იგი იქ თავის ნებით კი არ მოხვედრილა, არამედ ტყვედ ჩავარდნილი უნებლიეთ აღმოჩნდა გერმანელთა მიერ შექმნილ ქართულ დივიზიაში და მის წინაშეც წამოიჭრა კითხვა: რა ელონა, ასეთ ვითარებაში რა სჯობდა საქართველოსთვის (და არა პირადად მისთვის)?

და გივი გაბლიანი ირწმუნებს, რომ საქართველოს ხსნის ერთადერთი გზა საბჭოური რეჟიმის და რუსული კაბალის დამხობაა, რაც თუ ვინმეს შეუძლია, ისევე გერმანელებს...

რაც შეეხება ფაშიზმს, მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ მას საკმაოდ სერიოზულად უპირისპირდებოდნენ თვით გერმანულ არმიაშიც და ეს შინაგანი წინააღმდეგობა ადრე თუ გვიან კეთილ ნაყოფს გამოიღებდა.



ვერა თევზაძე-გაბლიანი

ყოველ შემთხვევაში, გივი გაბლიანი თავისი პიროვნული მრწამსითა და მოღვაწეობის გეზით მათ გვერდით დგას, რომელთათვისაც სრულიად მიუღებელია ფაშიზმი და მის შეზღუდვას ცდილობენ ამ პოლიტიკური იდეოლოგიის მტკიცე ზეობის ხანაშიც კი. მისთვის მხოლოდ გარეგნულია განსხვავება გერმანულ ფაშიზმსა და რუსულ კომუნიზმს შორის, რადგან ამ ორი იდეოლოგიის ფესვების გამომავლობა მათ სრულ მსგავსებას აშეკარავებს ყოველი დაკვირვებული ადამიანისათვის.

არაერთი ქართველი ტყვე გივი გაბლიანის შემწეობითაც გადაურჩება სულიერ განადგურებასა თუ ნაადრევ აღსასრულს“.

როსტომ ჩხეიძის ეს ამონარიდი გივი გაბლიანის მოგონებების წიგნიდან აქ იმიტომ მოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ და გავანალიზოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველობა და საქართველოს საკეთილდღეოდ რა იყო მათი მთავარი მიზანი. თუმცა, არც რუსუდან დაუშვლის მოსაზრება უნდა დავტოვოთ ყურადღების მიღმა, როცა წერს: „იშვიათად რეგები ადამიანს იმდენი ურთიერთგამომრიცხავი შეფასება, რასაც გივი გაბლიანის პიროვნება იწვევს. ზოგისთვის ის მოღალატეა, ზოგისთვის – გმირი და პატრიოტი. მართლაც ძნელია ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცე – ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც გერმანულ ჯარში ჩაწერილნი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდნენ მაშინ,

როდესაც ჯერ კიდევ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ საბჭოთა ჯარში ნაბრძოლი, ნაფრონტალი და ომისგან ცხოვრებადანგრეული ადამიანები“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის მრავალი რამ საიდუმლოებით იყო მოცული და დაფარული, „რკინის ფარებს“ მიღმა მხოლოდ ხელისუფლებისათვის „სანდო“ ადამიანებს შეეძლოთ გახედვა, მაგრამ შთაბეჭდილებებს მეუღლესაც ვერ გაუზიარებდნენ, საბჭოთა იდეოლოგიას შეეძლო ხალხისთვის შავი თეთრად მოეჩვენებინა, საღად მოაზროვნე და განათლებული საზოგადოება ციმბირის გულაგებში ჰყავდა გადაკარგული ან ადგილზე დახვრეტილი, მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რატომ მიაჩნდათ ტყვედ ჩავარდნილებს ხსნად ევროპა, კერძოდ – გერმანია. იმდროინდელ ქართველობას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა, რომ 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობას ერთ-ერთმა პირველებმა გერმანელებმა დაუჭირეს მხარი. აღარაფერს ვამბობთ ქართულ-გერმანული ურთიერთობების უფრო ძველ ისტორიაზე.

როცა გივი გაბლიანისა და მისი ოჯახის ცხოვრების ეპიზოდებს ვეცნობით, თვალნათლივ ვხედავთ დახვეწილ, განათლებულ, საკუთარი სამშობლოს ბედნიერებისათვის თავგანწირულ ადამიანებს, რომელთა სათნოება, სიკეთე, სიყვარული და „მამულის განცდა გასაკვირველი“ არის მათი არსებობის მთავარი მიზანი. ამიტომ, ძნელად წარმოსადგენია ამ ოჯახში გაზრდილი შვილის გაფაშისტება, თუმცა, საბჭოთა იდეოლოგიას და აგიტაციას, საშიშროებად ქცეულ უშიშროების სამსახურს, რომელიც სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, შეეძლო „საკუთარი ხალხისათვის“ ღმერთი ეშმაკად მოეჩვენებინა და გივი გაბლიანის ფაშისტად „გასაღებას“ წინ რა დაუდგებოდა, წიგნებს ვერ გამოსცემდნენ თუ მილიონიანი ტირაჟით გამოშვალ გაზეთებში ვერ დაბეჭდავდნენ საკომპრომეტაციო მასალებს?!

ყველასათვის ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი, მიუხედავად იმისა, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, ერთ-ერთ უდიდეს ტრაგიკულ ფურცლად ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მხოლოდ ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველომ, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, ამ ომში პროცენტულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო. ვინც გადარჩა და საქართველოში დაბრუნდა, თუ ტყვედ იყო ნამყოფი, ყველანი შუა აზიის ტრამალებში გადაასახლეს, საიდანაც უმეტესობა ვეღარ დაბრუნდა და უცხო მიწაში ჰპოვა საძუძომო განსასვენებელი. 1929 წელს ჟენევაში შექმნილ ტყვეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციაზე საბჭოთა კავშირს ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ამიტომ ომის დაწყებისთანავე უამრავი ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცი უუფლებო და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან დაუცველი

აღმოჩნდა, რასაც დაემატა ომის დროს გამოცემული ბრძანება, რის მიხედვითაც ტყვედ ჩავარდნილი „საბჭოთა მოქალაქე“ სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა. ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის მოქალაქეებზე.

გერმანია რაც უფრო სწრაფად მიიწვედა წინ, მით უფრო იზრდებოდა ტყვეთა რაოდენობა. ბანაკებში მოხვედრილი ტყვეები შიმშილითა და სიცივით იხოცებოდნენ. ამ ვითარებაში მრავალი ქართველი „მოხალისედ“ შევიდა გერმანულ ჯარში. მათ შორის იყო ახალგაზრდა ექიმი გივი გაბლიანი.

თუ ვინ იყო გივი გაბლიანი, ამის შესახებ მსურს მკითხველს შეეთავაზო აქამდე გამოუქვეყნებელი ზოგიერთი უცნობი მასალა, რომელიც გაბლიანებისა და მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახების მეგობრულ ურთიერთობებს ეხება და იგი ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა ჩვენი ოჯახის არქივში.

ეგნატე გაბლიანისა და მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახების მეგობრულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს.

1900-იანი წლების დასაწყისში ეგნატე გაბლიანი და ჯაფარიძეთა უფროსი ძმა – ვანო, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდნენ. სტუდენტთა გამოსვლების დროს, ვანო დააპატიმრეს, პეტრეპავლეს ციხეში ჩასვეს, სადაც დაავადდა და 24 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ეგნატე გაბლიანი

შემდეგ გიმნაზიის პერიოდში აღექსანდრა ჯაფარიძისა და ვერა გაბლიანის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი, რაც მათი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ეგნატე გაბლიანისა და ალიოშა ჯაფარიძის მეგობრობა კი 1930-34 წლებში, თეთნულდსა და უშბაზე პირველი ასვლების დროს გამყარდა.

აღექსანდრას კვირაში პარასკევი დღე ჰქონდა გამოყოფილი დეიდა ვერას სანახავად, რასაც არავითარ შემთხვევაში არ გამოტოვებდა, სხვა დღეებშიც ხშირად აკითხავდა თავის უახლოეს მეგობარს და მეც თან მიჰყავდი ხოლმე. თუმცა, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფემ, ბევრი არაფერი ვიცოდი გაბლიანების ოჯახის ტრაგიკული თავგადასავლების შესახებ, რადგან აღექსანდრა ამ თემაზე არ საუბრობდა. იმ დროს გივი გაბლიანის სახელის ხსენება რეპრესიის ტოლფასი იყო. მხოლოდ სტუდენტობის დროს და მომდევნო

პერიოდში გავიგე ამ ოჯახის მოწამეობრივი ცხოვრების შესახებ.

ომის დამთავრების შემდეგ, შვილის მოლოდინში წლები გავიდა. დეიდა ვერა, ამ ხნის განმავლობაში, ამაოდ ელოდა ერთადერთ ვაჟიშვილს, გივის შესახებ არანაირი ცნობა არ მიუღია და არ იცოდა, მკვდარი იყო თუ ცოცხალი.

1948 წლის ერთ მოღუშულ დღეს, დეიდა ვერა უშიშროების კომიტეტში დაიბარეს და საკმაოდ მაღალი ჩინის მქონე თანამშრომლის კაბინეტში შეიყვანეს. დაკითხვების შემდეგ, დარწმუნდნენ რა, რომ დედამ არაფერი იცოდა შვილის ყოფნა-არყოფნის შესახებ, ჩინოსანმა გერმანელი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი გივის ფოტო აჩვენა და ჰკითხა, თუ იცნობდა ამ პიროვნებას. დეიდა ვერამ დახედა თუ არა შვილის ფოტოს, – ცოცხალი ყოფილაო – შეჰკივლა და გულწასული დაეცა ჩინოვნიკის კაბინეტში...

ამის შემდეგ ვერც დეიდა ვერა გადაურჩა რეპრესიებს – დააპატიმრეს და შუა ზღიაში გადაასახლეს. მხოლოდ 1956 წელს გაათავისუფლეს და დაავადებული დაბრუნდა თბილისში. არ ვიცი, რა შეიძლება დაერქვას იმ ფაქტს, რომ დეიდა ვერა – არაჩვეულებრივი აღმზრდელი და პედაგოგი, რომელიც ჯვარს აცვეს კომუნისტებმა, შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი „ლენინის ორდენით“ დააჯილდოვეს. ამაზე მეტი დაცინვა, ბედის ირონია, პარადოქსი თუ აბსურდი რა შეიძლება იყოს?!

როგორც მისი თანამედროვენი იგონებდნენ, გივი გაბლიანი ძალზე ნიჭიერი და გონიერი ადამიანი იყო. სამედიცინო ინსტიტუტში კარგად სწავლობდა და დედას რომ შეშველებოდა, სწავლის პარალელურად მუშაობასაც ახერხებდა. 1938-39 წლებში აღექსანდრა ჯაფარიძემ მყინვარწვერის ძირში დაარსებულ დევლორაკის ალპინისტურ ბანაკში, სადაც იგი სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი იყო, ახალგაზრდა გივი გაბლიანი ექიმად მიიწვია, რადგან ასეთ ბანაკებში აუცილებელი იყო სამედიცინო სამსახურის გამართული მუშაობა. გივი გაბლიანმა პირველივე წელს მოიხვეჭა ნიჭიერი ორგანიზატორისა და მცოდნე ექიმის სახელი. მას ალპინიზმის ინსტრუქტორის სტატუსიც ჰქონდა და თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, ამ მოვალეობასაც ითავსებდა – მწვერვალებზე აჰყავდა ახალბედები და ალპინისტურ ტექნიკასაც დაუზარებლად ასწავლიდა. ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სწორედ მისი თაოსნობით გაიხსნა ალპინისტური სექცია. დევლორაკის ბანაკში მუშაობისას, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ბანაკის ინსტრუქტორთა ჯგუფის ლაშქრობა უსახელო მწვერვალზე 1938 წლის 11 აგვისტოს აღექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც პირველამსვლელთა უფლებით აკაკი წერეთლის სახელი დაერქვა. ჯგუფში შედიოდნენ: 1. აღექსან-

დრა ჯაფარიძე – ხელმძღვანელი 2. გივი გაბლიანი 3. გრიგოლ გულბანი 4. მარინა კოზლოვა 5. ოს-
მან კაზალიკაშვილი. ასე რომ, აკაკი წერეთლის
სახელობის მწვერვალის ერთ-ერთი „ნათლია“
კაკეასიონზე გივი გაბლიანიც გახდა.



**ალიოშა ჯაფარიძე, გივი
გაბლიანი, ანდრო
ხეთაგური**

1939 წლის ზაფხულის სეზონიც „დედლორა-
კის“ ბანაკში გაატარა გივი გაბლიანმა. ამავე
წელს მან ალპინისტურ საქმიანობაში ჩააბა თავისი
უახლოესი მეგობარი, პროფესორი ვადიმ ჩხენ-
კელი, რომელიც ამავე დროს მშენებელი პოეტიც
იყო და მთელი პოემა მიუძღვნა დედლორაკის
ბანაკის მუშაობასა თუ მწვერვალებზე ასვლა-
ჩამოსვლის პერიპეტეიებს, სადაც სხვებთან ერთად
გივი გაბლიანის სახეც მშენებრად და დახატული.
რომ არა გივი გაბლიანის მოგონებების წიგნი, არ
გვეცოდინებოდა და დავგუგურობოდა მისი მეგო-
ბრის, ნიჭიერი პოეტის ვადიმ ჩხენკელის სახელი,
რომლის შესახებ გივი გაბლიანი წერდა: „ისიც
გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. მსახურობდა მოლ-
დავთოში, ქ. კიშინიოვში. ეს ადრე ერთ-ერთი იმ
ტერიტორიათაგანი იყო, რომელიც სულ ცოტა
ხნით ადრე „გაათავისუფლა“ წითელმა არმიამ.
უკანასკნელ წერილში ჩემდამი, ვადიმმა სწორად
იწინასწარმეტყველა ომის უცაბელი დაწყება და
თავისი დაღუპვა.

მოგვიანებით თვითმხილველმა გვიამბო, რომ
იგი სერიოზულად დაიჭრა გერმანელების შემოტე-
ვის დროს და რადგანაც მისი მდგომარეობა
უიმედო იყო, ტყვიით თვითონვე მოუღო ბოლო
თავის აუტანელ ტანჯვას“.

საბედნიეროდ, ჩვენი ოჯახის არქივმა დღემდე
შემოინახა დედლორაკის ალპინისტურ ბანაკში
1939 წლის 15 ივლისით დათარიღებული ვადიმ
ჩხენკელის ულამაზესი კალიგრაფიით დაწერილი
დიდი პოემა „ლაშქრობა მყინვარზე“, რომელიც
ავტორმა ექსპედიციის ხელმძღვანელს ალე-
ქსანდრა ჯაფარიძეს უსახსოვრა. ამ პატარა
ბლოკნოტიდან გთავაზობთ ამონარიდებს, რომ-
ლებიც გივი გაბლიანისადმი მიძღვნილი. ვადიმ
ჩხენკელის გარითმულ სტრიქონებშიც მშენებრად
იკვეთება გივი გაბლიანის პიროვნული თვისებები
და რაინდული ბუნება:

* * *

„ლამე ჩამოწვა წყვედიადი, შავ-ბნელი, მიუსაფარი.
ცაზედ ღრუბელი ეყარა, ხშირი, ვით ლომის
ფაფარი;
არ სჩანდა მთვარის სხივები, არცა რამ ქონში
ლამპარი;
მხოლოდღა მთებში თუ იცის ღამე – ყორანი
ამგვარი.
გველეთს დაეწვენენ ვაჟები, ქალებიც ნაზად
მრხეველნი,
შორის გზით მიმაგალები ცივს მთებში ღამის
მთეველნი.
წინ იმათ გივი მიუძღვის, სვანეთით გადმოფრენილი
არწივის ბარტყი – არწივი, მთებში სალალოდ
ჩენილი.

* * *

არ ვიტყვი მეტსა ქებასა, ის, ჩემი მეგობარია,
პირში არა ვარ ძმობილის ტკბილ სიტყვი
მოუბარია;
რაც საქებია, ვაქებდეთ, დღემდის არ მომიპარია.
არც ახლა ვიზამ ქურდობას დამძრახავს: – სიყრმე,
გვარია.

* * *

აჰა, მიაღვინე მთის ძირსა, აღმართსა ხრიოკიანსა,
უჩვევის კაცის მუხლისთვის საშიშსა, ხიფათიანსა;
აღარც დაფიქრდენ, ეტაკენ ფერდობსა მაღალ
მთიანსა.
წინ მიდის ლომი გაბლიან პირ-ბადრი, მთვარის
სადარი,
მტკიცის ნაბიჯის მზომველი, გულ-მშვიდი, ვითა
ჭანდარი.
ახლა მას დარდი ერთი აქვს – აფიქრებს მოსვლა
ავდარის.
მაგრამ ნიავმა დაჰბერა მთებში გაზრდილმა
მთიურად,
ღრუბლები ისე დაჰკუწა მთვარეც კი გაამზიურა,
მოჰფინა შარავანდელი კლდეებს, მოხუცის
მთვარისა,
მსგავსი ვერცხლისა ძვირფასის, პირ-სახით,
ლამაზ ქალისა.

* * *

მთვარე სცურავდა ცაზედა, ღრუბლებს აპობდა
ნელიად.
ხანდახან გაანათებდა კლდესა, რომელიც ბნელია,
ხან ღრუბელს ეჭიდებოდა, რისი აღწერაც ძნელია.
მეზავრებიც ქვაზე ჩამოსხდნენ, თითქო განთიადს
ელიან.
გამოჩნდა კიდეც მთის წვერზე მზის სხივი
ძალზედ პატარა,
მზემ უხვად ოქროს სიმები მწვერვალებს
გადმოაყარა.
გივიმაც თავის ლაშქარი დედლორაკს ამოატარა.

* * *

ბანაკში დაჰკრეს საყვირი, ყველანი ფეხზე დგებიან, გივის და მისსა ლაშქარსა გულიან ესალმებიან, სიხარულს ცეცხლი დაენთო, გულები მისგან ბნდებიან, ვაჟები მხიარულობენ, მთები ბანს ეუბნებიან.

* * *

წინ მიდის გივი, ლომგული, ვაჟკაცი შეუდრეკელი, რა გინდა მთაი დაუხვდეს – სალისა კლდისა კედელი, ავიდეს გადინავარდოს, როგორცა ჯიხვმა რქიანმა ლაშქარიც გადაატაროს პირ-ღრუბელ გულით მზიანმა.

* * *

ჰე, გივი მთასა შეუდგა, მხრები გაშალა მთებურად, მთაი უდრეკი მოსჩანდა, გარშემო ნისლი ებურა, მოლისა მწვანე საბანი ფერდობებს გადმოეხურათ, მაგრამ მთის ძალა რა არის, ხერხი თუ აქვს კაცს მხლებელი, არ დარჩეს მთაი მაღალი არც ერთი აულებელი. მთამსვლელსა უნდა გააჩნდეს: ასვლისა ხელოვანობა, სურვილი გზისა მოთელვის, სიყრმე და გულოვანობა, გონება, გამჭრიახობა, თვალის არ ნაკლოვანობა, სიძინჯე, შეუპოვრობა, ძალ-სუსტთა ფალავანობა. გივის ყოველი გააჩნდის, ხელს უწყობს სვანსა, სვანობა.

* * *

დილა გათენდა ნათელი, მზემ გადმოჰყარა სხივები, შეამკო, შეაფერადა მთები მაღლები, ცივები, ყინულებს ცრემლი დაადნო, ვით მარგალიტის მძივები. ლაშქარი მთებსა შეესხა, როგორაც რამ არწივები. წინ მიდის გივი: – პირქუში, ჯმუხი, ნაბიჯით ნელითა. საღაც დასჭირდეს იხმარდეს წერაყინს ორივე ხელითა, ლაშქარს სიმხნევეს მატებდეს სიტყვით მტკიცით და ცხელითა. ხან ყინულ-ყინულ იარა, ხან ბილიკებით სველითა. ავიდა, უკან არავინ მას აღარ დაუტოვია... ნეტავი მისსა შმობელსა, – რა ბუბუ მოუწოვია; ჭკუით სამოცის წლის არის, შუბლზედაც მოუთოვია. მუდამ მას ცდილობს კარგი ჰქნას, არავის უზამს ავსაო; ნეტავ მის ღედას გამზრდელსა იმან სოქვას: – შვილი მყავსაო, იმან სოქვას მიწა არ შემჭამს, სიკვდილს არ ეუფროთხი შავსაო.

* * *

ავიდნენ. მყინვარს მოექცნენ ყველა: ვაჟნი და ქალები. სიხარულისგან უბრწყინავთ ცეცხლით აღსავსე თვალები. „ბერიკაცი ვარ“ იმღერეს, გმირთა მოჰკრიბეს ძალები, ხელი-ხელს ჩაჰკრეს, ცეკვავდნენ, ვითა შველები, ძალები... მყინვარიც ისე მოსდრიკეს, როგორც კლდეები სალები...

* * *

გივისაც ვაშა შესძახეს, იყო ქართველთა დღეობა. დაახსოვდების მყინვარსაც გამარჯვება და ტყვეობა. ვინცა ავიდა იკვეხოს მან საქართველოს ძეობა; არ დავარდების ვისაც აქვს სულის სიმშვიდე, მხნეობა, მას შეეძლების პირ-ბადრსა მძლეოთა ლაშქართა მძლეობა“.

გივი გაბლიანი, გარდა იმისა, რომ კავკასიონზე აკაკი წერეთლის სახელობის მწვერვალის ერთ-ერთი „ნათლია“ იყო, მას სხვა ღვაწლი და დამსახურებაც ჰქონდა ქართული ალპინიზმის ისტორიაში, რის შესახებაც ბუნწად აღნიშნავს მოგონებების წიგნში: „და-ძმა ჯაფარიძეებმა დიდი წვლილი დასდეს ქართული ალპინიზმის განვითარებას „ქართული ალპიური კლუბის“ სხვა თავდადებულ წევრებთან ერთად. ბედნიერება მქონდა, ამ კლუბის წევრი ვყოფილიყავი და მათი დახმარებით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დამეარსებინა ალპიური სპორტის ორგანიზაცია.



პირველ რიგში: მაკრინე ქურდიანი, ეგნატე გაბლიანი, ალიოშა ჯაფარიძე, ლევან მარუაშვილი

გვჯეროდა, რომ ეს სპორტი ბრწყინვალე საშუალება იყო ახალგაზრდობის ფიზიკური გაჯანსაღებისა და სულიერი აღზრდისათვის. ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ქართული სპორტული საზოგადოება „შეკარდენი“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისას

შეიქმნა. საქართველოში საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ეს საზოგადოება მალე აკრძალა. ახლა კი ალპიური ორგანიზაციის წყალობით სამედიცინო ინსტიტუტის ახალგაზრდობას საშუალება ჰქონდა, 1938 წლის ზაფხულში დაელაშქრა დიდებული მთის, ყაზბეგის მწვერვალი, ხოლო 1938 წლის ოქტომბერ-ნოემბერში – ყაბარჯინას მთა.

ამ რთული მიზნის მისაღწევად ახალგაზრდებმა სერიოზული თეორიული და პრაქტიკული წვრთნა გაიარეს. იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა მიეცელო, ოქტომბრის ექსპედიცია რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას მიუძღვნით. მაღალ მთებში ამინდი იშვიათად არის კარგი. სწორედ უამინდობის გამო ჩვენმა ექსპედიციამ ყაბარჯინაზე უფრო დაბალი მთის დალაშქრა გადაწყვიტა. ჩვენ შემოგვიერთდა მეორე ჯგუფი, რომელიც სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკის“ წევრებისაგან შედგებოდა. ჯგუფის მეთაური, ჩემი სახელოვანი მეგობარი ალიოშა ჯაფარიძე იყო.

ექსპედიციის ყველა წევრი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ლამარა კეჭეყმაძის მიმართ, რომელიც ერთადერთი ქალი იყო ექიმთა ჯგუფში. იგი მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, რითაც ამტკიცებდა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთველის სიტყვებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ბუ იყოს, თუნდა ზვადია“.

ალიოშა ჯაფარიძემ დიდ წარმატებებს მიაღწია ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებაშიც. მისი და – მეტეოროლოგი და ბრწყინვალე ალპინისტი იყო, ხოლო დედა – ლიდა – შესანიშნავი ქალბატონი და თავდადებული ქართველი

ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება თავის ოჯახსა და მეგობრებს შესწირა“.

გივი გაბლიანი თავის მოგონებებში, სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებს, მათ დედასთან – ლიდასთან ურთიერთობას, რომელიც შემდეგ წერილებს უგზავნიდა ჯარში მყოფ გივის. კვლავ გივი გაბლიანის მოგონებათა წიგნს მივუბრუნდეთ: „1939 წლის სექტემბერი იდგა. ჩემი შესანიშნავი მეგობარი ოთარ რჩეულიშვილი და მე მივემგზავრებოდით რუსეთს. თბილისის რკინიგზის სადგური სავსე იყო გამოსამშვიდობებლად მოსული ჩვენი მეგობრებით, კეთილის მსურველებით. ყველას, რასაკვირველია, მოჰქონდა საჩუქრები: ქართული კონიაკი, ღვინო, ხაჭაპურები. გამცილებლებს შორის იყვნენ ჩემი მასწავლებელი – იოსებ (სოსო) ასლანიშვილი, ცნობილი ქართველი ალპინისტები – და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ჩემი თანაკლასელები და ნათესავები. იდგა შემოდგომის ლამაზი, თბილი და სასიამოვნო შუადღე. მატარებელი ნელა ტოვებდა სადგურს. რამდენადაც შეგვეძლო, ფანჯრებს მივეჯაჭვეთ, საყვარელი სახეები რომ გონებაში ჩაგვებეჭდა. ეს სახეები დიდხანს გამყვა, როცა საზღვარგარეთ „დავიკარგე“ და მშველოდა, როცა საქმე არც ისე კარგად მიმდიოდა“.

ვიდრე სადგურზე გაცილების ეს მომენტი დადგებოდა, მანამდე გივის ჯაფარიძეებთან სახლში გამოუვლია დასამშვიდობებლად, მაგრამ შინ არავინ დახვედრია და ეს წერილი დაუტოვებია ალექსანდრასთვის: „დაო ალექსანდრა! მივდივარ ისე, რომ ვეღარ გნახე, რასაც გულწრფელად ვწუხვარ. სამ წელიწადს ვეღარ გნახავ. იმედია, შენ



მეორე რიგი: 3. გივი გაბლიანი 4. ალექსანდრა ჯაფარიძე 5. ალიოშა ჯაფარიძე
6. ნიკო ქირიკაშვილი

მანც დიდ მიღწევებს დამახვედრებ ალპინიზმში, ჩემო მასწავლებლო.

საწყალი დედაჩემი მეცოდება. ისეთი ადამიანია, რომელსაც ჯერ თავის სიცოცხლეში არ გაუხარია. ესლა ვაპირებდი ცოტა შემესვენებია, მაგრამ აქაც ხელი შემეშალა. სამი წელიწადი (და ვინ იცის, მართო სამი წელიწადი?) კიდევ უნდა იწვალოს ავადმყოფმა ადამიანმა. ეთერი კიდევ ასე უპატრონოდ მრჩება. მამაჩემის ამბავი ასე არეული, ერთი სიტყვით, მშვენიერ გუნებაზე გავატარებ დროს ჩვენი დიადი სამშობლოს დაცვის სამსახურში. რას იზამ, ჩვენს ოჯახს მუდამ ასეთი ბედი ჰქონდა.

ალექსანდრა, ძალიან მეჩქარება, სათქმელი ბევრი მაქვს, სიტყვებს ვერ ვძებნი შესაფერისს. კარგად იყავით შენ და შენი ძვირფასი დედიკო, ძმები, და, რძალუკა და მთელი ნათესაობა, თქვენი კეთილი გული და ადამიანობა ყველგან მესმოება. გული მწყდება მხოლოდ, რომ მე ვერაფერში გამოვადექით და ვერაფერში გაგიწიეთ სამსახური. შენი ძმა გივი. ქ. თბილისი 9.10.1939წ.

P.S. ალექსანდრა YTM-დან რაღაცა გროშები მერგება, თუ აიღო – დედას მიუტანე, როცა მოიცალო ნუ დაიზარებ გადადი ხოლმე დედასთან და ნახე. შენი ნახვა ყოველთვის გაუხარდება, ერთმანეთს ნუ დაკარგავთ, ასეთ დროს სიტყვაც კაი ნუგეშია“.

როგორც ცნობილია, გივი გაბლიანმა სამხედრო-სავალდებულო სამსახური კურსკში გაიარა, საიდანაც ერთხელ შვებულებით ჩამოვიდა, რათა ავადმყოფი დისთვის – ეთერისათვის მიეხედა, შემდეგ კი ომმა მოუსწრო და პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. შვებულებასთან დაკავშირებით იგი წერდა: „ჩემი შვებულების დარჩენილმა დღეებმა სწრაფად გაიბრინა. ამ ხნის მანძილზე მრავალმა მეგობარმა მინახულა. ჩემი რუსეთში წასვლის შემდეგ ისინი წერილებს მწერდნენ. მათ წერილებს დღესაც განძივით ვინახავ. ამ წერილების ავტორები იყვნენ ალიოშა ჯაფარიძე, მისი და ალექსანდრა, მათი დედა ლიდა, პროფესორი ვადიმ ჩხენკელი და სხვები“.

როგორც აღვნიშნე, ათწლეულების განმავლობაში გივი გაბლიანის სახელი ტაბუდადებული იყო და მისი ხსენება არ შეიძლებოდა. მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ზეობის დროს მოხდა მისი რეაბილიტაცია, რაც საზოგადოებამ, მთ შორის მეც, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულის“ მეშვეობით შეიტყო.

1990 წლის აგვისტოს გაზეთ „მამულის“ მე-16 ნომრის ბოლო მე-8 გვერდზე მოულოდნელად წავაწყდი მცირე ინფორმაციას, რუბრიკით „ჩვენი ანონსი“, რომლის ქვეშაც ხანშიშესული, გამხდარი გივი გაბლიანის ფოტო ვიხილე მინაწერით: მომდევნო ნომრიდან „მამული“ იწყებს ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის გივი გაბლი-

ნის ვრცელი წერილის – „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“ – ბეჭდვას“. საოცარი გრძნობა დამეუფლა. ავფორიაქდი, ადგილს ვერ ვპოულობდი. მოთმინება აღარ მყოფნიდა, როდის გაივლიდა ერთი თვე – „მამულის“ მომდევნო ნომრის გამოსვლამდე...

ეს დღეც მოვიდა. წინა ნომრის გაზეთში ანონსირებული გივი გაბლიანის იგივე ფოტოს ქვეშ რედაქციის მინაწერი და კრიტიკოს გიორგი გაჩეჩილაძის შესავალი წერილი იყო დაბეჭდილი, რაც გივი გაბლიანის რეაბილიტაციას ნიშნავდა.

გავხსენი ოჯახის არქივში საიმედოდ შენახული გაბლიანების ოჯახის წევრთა წერილები და ფოტოსურათები. განსაკუთრებით საინტერესო იყო ახალგაზრდა, 23-24 წლის გივი გაბლიანის ფოტოები, გადაღებული ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან ერთად დევდორაკის ალპინისტურ ბანაკში. შესაძლოა, ამ ფოტოების არსებობის შესახებ ბ-ნ გივის არც სცოდნოდა და გადავწყვიტე, ფოტოები მისთვის გამეზავნა. გიორგი გაჩეჩილაძე მოკლე ხანში კვლავ აპირებდა ამერიკაში გამგზავრებას და მსურდა მისთვის გამეტანებინა, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი, რაც ერთგვარ უხერხულობას მიქმნიდა. შეამავლობა ბ-ნ მურმან ლებანიძეს ვთხოვე, რომელთანაც ძალზე ახლო ურთიერთობა მქონდა. ბატონი გოგის რჩევით, ფოტოებთან ერთად წერილიც მივწერე გივი გაბლიანს: „ღრმად პატივცემულო, ბატონო გივი! ვერასოდეს დავუშვებდი და ვერც კი ვიფიქრებდი ოდესმე, წერილი მიმეწერა ადამიანისათვის, რომელიც არასოდეს მინახავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში ისეთი ძლიერი იმპულსი მომცა ბატონმა გოგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც აღადგინა ის კავშირები, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, თქვენ არასოდეს გაგიწყვეტიათ საქართველოსთან, რომ არ შემეძლო რამდენიმე სიტყვით არ შეგხმინებოდით და თქვენდამი ჩემი მოწიწება არ გამოძახებოდა. მეორე და, ალბათ, მთავარი კი ჩემთვის მაინც ის იყო, რომ თქვენ მუდამ ახლობელი და საყვარელი ადამიანი ბრძანდებოდით ჩვენი ოჯახისათვის.“

50 წელი არაა მცირე დრო იმისათვის, რომ დავიწყების ფერფლი წაეფაროს არა მარტო ერთი ადამიანის, არამედ ოჯახებისა და თუნდაც მთელი მოდგმის არსებობასაც კი. მაგრამ, ამ ქვეყნად ადამიანს, ალბათ, მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს და გააძლევინებს. მხოლოდ სიყვარული მგონია უკვდავი და ის ფაქტი, რომ მე, ერთ დროს თქვენთვის ახლობელ ოჯახში დაბადებულსა და გაზრდილს, თქვენთვის უცნობ ადამიანს, შესაძლებლობა მომეცა გამოგენმაურით, სწორედ სიყვარული უღევს საფუძვლად.

ალბათ გაკვირვებთ, თქვენთვის უცხო, უცნობი ადამიანი სიყვარულზე რომ ამდენს ვლაპარაკობ, მაგრამ ის თბილი, ახლობლური დამოკიდებულება ჩვენს ოჯახთან და მის წევრებთან – ალექსანდრასთან, ალიოშასთან, ჩემს მშობლებთან (ნოე

და ვარუშა), განსაკუთრებით ბებიამ ლიდასთან, რომელსაც იმ წერილში, რომელსაც გიგზავნით, დედას უწოდებთ, უთუოდ მაძლევს უფლებას, მეც ისეთივე სიყვარული და პარტივისცემა მქონდეს თქვენდამი, როგორიც თქვენ გაგაჩნდათ ჩემი წინაპრებისა და საერთოდ, ჩვენი ოჯახის მიმართ.

ძვირფასო, ბატონო გივი! კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ნუ გაიკვირვებთ, თუ ჩემს გრძნობებს თქვენდამი ასე თამამად გამოვთქვამ. ამას აქვს თავისი საფუძველი და ეს საფუძველი თქვენ შექმენით.

მე, მთელი ცხოვრების მანძილზე მესმოდა თქვენი სახელი და ამ სახელის ხსენება ჩვენს ოჯახში ვაჟკაცობას, რაინდობასა და ჭეშმარიტ მეგობრობას უკავშირდებოდა მუდამ. თქვენი და თქვენი ოჯახის ბედს კი ისევე განიცდიდა ალექსანდრა, როგორც საკუთარი ძმების, საკუთარი ოჯახის ტრაგედიას. ეს განცდები მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა...

ძვირფასო ბატონო გივი! როდესაც რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულში“ თქვენი შრომის „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“ – ბეჭდვა დაიწყო ბატონი გოგი გაჩეჩილაძის მშვენიერი შესავალი წერილით, მოსვენება დავკარგე, ავფორიაქდი, რადგან თქვენი საქართველოში „დაბრუნება“ ჩემთვის დიდ სიხარულთან და განცდებთან იყო დაკავშირებული. ჩემი პირველი რეაქცია ის იყო, რომ მოვძებნე თქვენი ხელით დაწერილი წერილები და ფოტოები, სადაც ალექსანდრას და ალიომას გვერდით დგახართ ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი, მედგარი და შეუპოვარი.

ამ წერილებსა და ფოტოებს ათეული წლების მანძილზე გულმოდგინედ ინახავდა ჩვენი ოჯახი. როგორც ჩანს, ქვეცნობიერად დარწმუნებულნი ვიყავით, სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავდა და დადგებოდა ჟამი, როცა ისტორია ყოველივეს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩინდა და ჭეშმარიტ ღირებულებებს სათანადოდ შეაფასებდა.

თქვენი სახელი და ავტორიტეტი კარგი „შუამავალი“ იყო და ბატონ გოგი გაჩეჩილაძეს შინ ვეწვიე. თქვენი „წყალობით“ მოხდა ჩვენი გაცნობა. სწორედ ბატონმა გოგომ გამაბედვინა თქვენთან წერილის მოწერა და რადგან მასზე უკეთეს „მეკავშირეზე“ ვერც ვიოცნებებდი, წერილებსა და ფოტოებს მას ვატან თქვენთან. არ ვიცი, ეს ფოტოები გაქვთ ან გინახავთ თუ არა, მაგრამ თუ მათი ხილვა მცირეოდენ სიხარულს მაინც მოგანიჭებთ, ჩემს ამ გამოხმაურებას გამართლებულად ჩავთვლი.

ბატონი გოგისაგან გავიგე და დიდად გავიხარე, რომ თქვენ, სიბრძნითა და წლებით დატვირთული, ისეთივე რაინდული სულისა და ვაჟკაცური გრძნობების ადამიანი ბრძანდებით, როგორსაც ამ ფოტოებზე გხედავთ, წერილებიდან და გადმოცემით გიცნობთ. იცოცხლეთ და იღვგვრდეთ მრავალჟამიერ!!!

ძვირფასო, ბატონო გივი! არ მინდა მრავალსიტყვაობით დაგვალათ და მოგაცდინოთ, მაგრამ არ შემიძლია, ჩვენი ოჯახის ტრაგიკული ისტორიის ზოგიერთი მომენტის შესახებაც არ მოგიტხროთ.



გივი გაბლიანი

ალექსანდრასადმი დატოვებულ ბარათში (რომელსაც გიგზავნით), ერთგან წერთ: „იმედია შენ მაინც დიდ მიღწევებს დამახვედრებ ალპინიზმში“, ხოლო მეორეგან, მინაწერში ასეთი თხოვნაა: „როცა მოიცალო ნუ დაიხარებ გადადი ხოლმე დედასთან და ნახე. შენი ნახვა ყოველთვის გაუსარდება, ერთმანეთს ნუ დაკარგავთ, ასეთ დროს სიტყვაც კაი ნუგეშია“...

ყველა თქვენი დანაბარები ალექსანდრამ პირნათლად შეასრულა.

ალპინიზმში მისი მიღწევები მართლაც რეკორდულია და მსოფლიო სტანდარტების დონეზე ღვას. თითქმის 60 წელს იყო მიღწეული, თავის ძმასთან – ნოესთან ერთად მყინვარწვერი რომ დალაშქრა და სამუდამოდ გამოეთხოვა მწვერვალებს... ადრე კი, 1944 წლიდან მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, ტურიზმსა და ალპინიზმში წვრთნიდა ახალგაზრდობას. საქართველოს მთასა და ბარში დაატარებდა პატარა გოგო-ბიჭებს და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა მათ. სწორედ ბავშვებთან მუშაობამ და ურთიერთობამ გადაატანინა მას ის უბედურება, რომელიც 1945 წლის ოქტომბერში დაატყდა ჩვენს ოჯახს.

უშა-შხელდის სარეკორდო ტრავერსის დროს, ალიომა თავის ჯგუფთან ერთად, ძლიერმა ქარბუქმა თთქმის ერთი კვირა უშბის მწვერვალზე მოამწყვდია. შემდეგ კი არნახული სიძლიერის ზეგამა, რომლის ხმამ მესტიამიც კი ჩააღწია, უშბის ნაპრალებში დამარხა ალიომა და მისი ჯგუფი. უამინდობის გამო, იმავე წელს დაღუპულთა ძებნა არ მოხერხდა და ამის შემდეგ 12 წელი ეძებდა ალექსანდრა უშბის კალთებზე თავის ძმას. ალბათ, ნათლად წარმოიდგენთ ალექსანდრას განცდებს ამ 12 წლის განმავლობაში...

1957 წელს ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი შემთხვევით წააწყდა ალიომას ნეშტს გულის მყინვარზე. განახლდა მწუხარება, გაიხსნა ძველი იარები, მაგრამ მეორე მხრივ, გათავდა ყოველწლიური მოლოდინი ალექსანდრასი. ქართველმა საზოგადოებამ ალიომა ვერის ბაღში დაკრძალა, იქ, სადაც მისივე სახელობის ალპური კლუბის შენობა ღვას. 1963 წელს იქვე გადავას-



1. ალექსანდრა
ჯაფარიძე
3. გივი გაბლიანი
დედოფლის ბანაკში

ვენეთ სიმონი, ხოლო 1974 წელს ალექსანდრამაც თავისი ძმების გვერდით ჰპოვა სამუდამო სასუფეველი. ალიომას დაღუპვამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა თქვენი დიდი მეგობარი – ლიდა, რომელთანაც (როგორც თქვენი წერილიდან ირკვევა) „ბევრი გიჭიკჭიკიათ“... ასევე აღარ არიან ამ ქვეყნად ჩემი მშობლებიც...

ომის შემდეგ ბევრი ოჯახი დარჩა გაუბედურებული და უსასოო... ბევრმა ომის შემდეგაც დიდი ჭირ-ვარამი გადაიტანა, მრავალი ქართველის ოჯახი გადაასახლეს და ჩახოცეს უცხო მიწაში. შეთხელდა ალექსანდრას და მისი ოჯახის მეგობრების წრე. დარჩა სულ რამდენიმე ოჯახი და ახლო მეგობარი, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა ჩვენთვის ძვირფას და ახლობელს, თქვენს მრავალტანჯულ დედას – ქალბატონ ვერას.

როდესაც ვისხენებ დეიდა ვერას და ალექსანდრას ურთიერთობას, მღელვარების გარეშე არ შემოიძლია თქვენი წერილის იმ ადგილის წაკითხვა, სადაც ალექსანდრას თხოვთ, რომ არ დაიზაროს დედასთან გადასვლა, რადგან „ასეთ დროს სიტყვაც კარგი ნუგეშია“.

ახლა ძნელია ჩემთვის იმის გარკვევა, თუ ვინ ვის ანუგეშებდა, ალექსანდრა დეიდა ვერას, თუ პირიქით, მაგრამ ალექსანდრას რომ წესად ჰქონდა შემოღებული დეიდა ვერასთან ვიზიტი და მას რომ არავითარ შემთხვევაში არ გადადებდა, ეს კარგად მახსოვს და ვიცი. მხოლოდ ერთი დამრჩა სამწუხაროდ და სანანებლად, რომ მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭს, არ შემეძლო მათ სიყვარულსა და მეგობრულ გრძნობებს ღრმად ჩავწვდომოდი. მაშინ არ მესმოდა ნატანჯი და მრავალჭირგამოვლილი ადამიანების განცდები. იმ დროს ამ განცდების გამომჟღავნებაც არ შეიძლებოდა და ალექსანდრაც მღუპარედ ინახავდა ძვირფასი დეიდა ვერას დარდას და ტკივილს, თქვენი და თქვენი ოჯახის მძიმე თავგადასავლებს. დეიდა ვერას გარდაცვალების შემდეგ გავიგე, თუ როგორ ეხმარებოდა და ანუგეშებდა ალექსანდრა საკუთარ ოჯახს მოწყვეტილსა და მოცილებულს, პატიმრობაში მყოფ დეიდა ვერას. ალექსანდრამ შეძლო ჩუმად, მღუპარედ, უთქმელად და უხმაუროდ ეკეთებინა

იმ დროისათვის სარისკო, მაგრამ ფრიად კეთილშობილური საქმე. დეიდა ვერას სიცოცხლის ბოლომდე ალექსანდრა მის ერთგულ, საიმედო მეგობრად დარჩა და მათი ეს უანგარო მეგობრობა, რომელმაც ათწლეულებს გაუძლო, მართლაც რომ სამაგალითო იყო.

ალექსანდრას გარდაცვალების შემდეგ, მის არქივში აღმოვაჩინე თქვენი წერილები და თქვენი ოჯახის ფოტოსურათები. ვინ იცის, რამდენჯერ გადამიკითხავს თქვენი ეს წერილები. რამდენი სიანხლოვე, სითბო და სიყვარულია შიგ გამჟღავნებული. ბევრჯერ მინატრია, მეც ვყოფილიყავ იმ დროის მომსწრე...

ბოლოს, ორიოდ სიტყვით მეც გაგეცნობით. ნოეს შვილებიდან მე შუათანა გახლავართ, რომელიც ალექსანდრამ მიშვილა და დღეს მის მემკვიდრედ ვითვლები. მყავს უმცროსი და ქეთევანი და უფროსი ძმა სიმონი (თქვენ გემასხოვრებათ, სიმონის როგორი კულტი იყო ჩვენს ოჯახში, ამიტომ ალექსანდრასა და ალიომას სურვილით, სიმონის სახელი შთამომავლობაშიც გაგრძელდა). ვარ 47 წლის. მყავს მეუღლე და ტყუპი ქალვაჟი – სოფიო და ლევანი (14 წლისანი არიან). სპეციალობით გეოლოგი ვარ და მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. ინტერესები მრავალი მაქვს, მაგრამ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი აზრი ისაა, რომ შევინარჩუნო ჯაფარიძეთა ოჯახის ტრადიციები, არ გავაციო ის კერა, რომელსაც თავის დროზე მრავალი სითბო და სიკეთე გაუცია.

ძვირფასო ბატონო გივი! ათეული წლების შემდეგ, კვლავ მიიღეთ ჯაფარიძეთა ოჯახიდან გულითადი და წრფელი სიყვარული. ჩვენი ოჯახი, ისე, როგორც სრულიად საქართველო, გულმხურვალედ გელით მშობლიურ მიწაზე, ვითარცა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მკლავმოუღლე გმირს. მრავალჟამიერ სიცოცხლე თქვენ და თქვენს ძვირფას ოჯახს! უღრმესი პატივისცემით, ივანე (ვანო) ჯაფარიძე.

თითქმის ორი წლის შემდეგ, ქ. ქენსიდან 1993 წ. 23 იანვრით დათარიღებული გივი გაბლიანის წერილი მივიღე. „დიდათ პატივცემულო ბნო

ვანო! მიიღეთ საღამო და კეთილი სურვილები. ვწუხვარ, რომ ასეთი დაგვიანებით ვპასუხობ სურათებით შემკობილ თქვენ საუცხოვო წერილს, 1991 წლის 1 მარტის თარიღით. ასეთი წერილისთვის პასუხის გაცემა ძნელია და ამისი ნაწილობრივად გამოსასწორებლად მეც გიგზავნით ჩემთვის საყვარელი ადამიანის – ბებიათქვენის ლიდას და ასევე საყვარელი მეგობრის ალიომას წერილებს.

ეს წერილებია ნაწილი იმ მცირედენ უმკირფასესი ქონების, რომელიც გადაურჩა ომის ქარიშხალს.

გთხოვთ, ეს თქვენ ოჯახში დატოვოთ, ჩვენი მეგობრობის ნიშნად და სამახსოვროდ.

1945 წ. უშბა-შხელდის ტრავერსის ტრაგედია მოგვიანებით გავიგე. სიტყვები ვერ გამოთქვამენ ჩვენ წუხილს. როგორც ალიომას წერილში შეამჩნევთ, ალბათ ამ ტრავერსში მე მივიღებდი მონაწილეობას საქართველოში რომ ვყოფილიყავი.

მადლობა ღმერთს, რომ საყვარელი ლიდა არ მოესწრო ალიომას დაღუპვას. სწორედ მართებული იყო ამ შესანიშნავი დაძმების ერთად დაკრძალვა ალპურ კლუბთან.

ღმერთმა ყოველივე სიკეთეს მოგასწოროთ მთელი თქვენი ოჯახი, დარწმუნებული ვარ სოფიკო და ლევანი იქნებიან ღირსეული წარმომადგენლები.

სიყვარულით და პატივისცემით, თქვენი გივი გაბლიანი“.

ამ წერილმა, რომელსაც ბებიაჩემისა და ბიძაჩემის წერილები ერთვოდა, მართლაც გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წარმოიდგინეთ, სიყვარულის რა ძალა უნდა გაგაჩნდეს ადამიანების მიმართ, რომ შენს თავს დატრიალებული ჯოჯოხეთისა და უამრავი განსაცდელის მიუხედავად, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უბით ატარო და ძვირფას რელიკვიასავით ინახავდე ახლობლებისა და მეგობრების წერილებს. ეს ხომ კაცთმოყვარეობისა და კეთილშობილების გამომხატველი უფაქიზესი ჟესტია. რასაკვირველია, ამ წერილებმა ძალზე გამახარა. მასში ქართული ალპინიზმის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო მომენტებიცაა აღნიშნული. არ მინდა ეს წერილები დაიკარგოს, რადგან გივი გაბლიანის პიროვნული პორტრეტის სრულყოფილად აღდგენასა და მისი ცხოვრების პირუთვნელ შეფასებაში, შესაძლოა მათ გარკვეული როლი ითამაშონ.

გთავაზობთ ბებიაჩემისა და ბიძაჩემის – ალიომა ჯაფარიძის წერილებს, რომლებიც გივი გაბლიანმა ჩემი წერილის საპასუხოდ ამერიკიდან გამომიგზავნა: „შვილივით საყვარელო, ჩემო გივი! გისურვებ ყოველ საქმეში გამარჯვებას და მალე გვენახო და გავხარებულიყოთ შენი მშვიდობით მოსვლით. ჩემო გივი! შენ გენაცვალე, შენი წერილი მივიღეთ და ისეთი გაგვეხარა, თუნდა შენ დაგვენახო. გივი გენაცვალე, აბა შენ იცი, რაღა ყოჩაღათ იქნები და შენ დედასაც გაახარებ და ჩვენც გავიხარებთ

შენის კარგათ ყოფნით და დანახვით. ახლა ვიცი ჩემს ანბავს იკითხავ. ვარ ჯერჯერობით ისევ ცოცხალი. ძალიან ხშირათ კი ისეთი გავხდები, რომ აღარ მგონია თუ მეორე დღეს გავაწვევ-თქვა, მაგრამ ისეთვე წამოვდგები ზეზე კულდურივით. ასე ჩემო გივი, აბა შენ იცი თუ ყოჩაღობას გამოიჩენ ყოველ გაჭირვებასთან და მოგვეწერე როდის მოხვალ. მანამდე არ მოვკვდები. ვიცი შენს ცრემლს გაიმეტებ ჩემთვის. ასე გენაცვალე ჩემო გივი. შენი მლოცველი დედასავით ლიდა“.

გივის პასუხი კურსიდან ლიდა ჩიკვაძეს: „საყვარელო დედა! ყველაფერს მოველოდი და ამ კურსკში თუ შენს წერილს მივიღებდი აღარ მეგონა სწორედ. თვალწინ დამეხატა, როგორ იჯექი შენი სათვალეებით შეიარაღებული თქვენს წინა ოთახში მაგიდასთან და წერდი წერილს ჩემთან. კინაღამ ცრემლები მომერია, მიუხედავად იმისა, რომ მაინდამინც გულჩვილი ყმაწვილი არა ვარ. გამახსენდა რამდენი ერთად გვიჭიკჭიკია მე და შენ. რომ მოვიდოდი თქვენი ქუცსურები ყვეფით შემომეგებებოდნენ. შენ ხელში სულ მუდამ „წივნი საქიმო“ გეჭირა და იყავი გართული მედიცინის ამბებში. მიხარია, რომ კარგად ხარ და იმდენად ჯანსაღად, რომ აქეთ მარიგებ ჭკუას და გულს მიმაგრებ. ხომ გახსოვს სულ რომ წუწუნებდი მოკვდები, მოკვდებიო. არ მიჯერებდი მე რომ გეუბნებოდი, კარგად იქნები-მეთქი; კიდევ კარგი მოასწარი შენი დაპირების შესრულება და ხატაპურები გამომიცხვე აქეთ წამოსვლამდე.

თითქოს გული მიგრძნობდა, რომ გმორდებოდა, ჩამოვედი ქუთაისში შენც გინახულე და სხვა ნათესავებიც. არასდროს არ დამავიწყდება ქუთაისში გატარებული ერთი საღამო თქვენს პატარა, ტკბილ ოჯახში, როგორ ჩამეძინა და კინაღამ მატარებელზე დამაგვიანდა. ორი-სამი დღის მერე ამ ამბავიდან დავეტოვე საქართველო და აგერ უკვე ოთხი თვე შესრულდება კურსკში ვარ.

ჯანმრთელობის მხრივ არა მიშავს, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ბევრი საშუალო მაქვს, მაგრამ ვჯავრობ სახლზე. საცოდავი დედაჩემი ჯერ უიმისოდაც გაწამებული იყო და ეხლა ჩემი აქეთ წამოსვლა, ძნელი მისახვედრი არაა, როგორ იმოქმედებდა იმაზე. უბედური იღბლის მქონე ადამიანია. ძალიან დიდი მადლობელი ვარ ალექსანდრასი, რომ არ ივიწყებს დედას და ეთერს, დედის და ესაუბრება. ალექსანდრას ნახვა დედაჩემისთვის პირდაპირ დღესასწაულია... ვინც მე მიყვარს დედაჩემისთვის უძვირფასესია და ჩემი ნახვის სურვილს ჩემს მეგობრებზე იკლავს. აქეთ ძალიან დიდი ყინვებია, მაგრამ სიცივეები როგორ შემაშინებს, რაც ჩამოვედი კიდევ უფრო ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, ცოტა მუშაობამ დამასუსტა, ხშირად დღეღამეში მარტო 2-3 საათი მძინავს ხოლმე. ჩემი ამხანაგები, რამდენიმე წაიყვანეს ფინეთში. ალბათ მეც მალე მომიხდება გასეირნება, ძალიან მეინტერესება, ასე რომ ამ ამბავს არც ვჯავრობ.

თუ ღმერთმა ქნა და ჩამოვედი, მაშინ ნახე შენ რა ხატაპურები გამოგაცხოზინო. ახალგაზრდობას მოგაგონებ და ისე დაგატრიალებ, რავარც შენმა რძალუკამ იცის ხოლმე დატრიალება სტუმრებს რომ ნახავს.

ალექსანდრას სამი წერილი ზედიზედ გამოვუგზავნე, ალიოშასაც. პასუხი ვერ მივიღე. ისევ მე და შენ ვიჭიკჭიკოთ ერთმანეთში ძველებურად, მაგენი სად გაგვიხსენებენ. კოკისაგან წერილი მომივიდა და პასუხიც მივწერე. მოყინვაზე რომ მწერ – ყაზბეგში ორი კაცი გაუყინავსო, მოყინვა შენ აქეთ ნახე, ყვავებსაც კი ყინავს, თორემ კაცებს რაღას უზამს.

შენ თურმე ძალიან ტურისტობას ეწევი, დასეირნობ ბატონო ქუთაისი-ჭიათურა-თბილისის მარშრუტით. კარგი კუდიანი ხარ. ჩვენ გვაშინებ ვითომდა ვკვდებით, თან სეირნობასაც არ იშლი... კარგად იყავი, დამიკოცნე ალექსანდრა და ალიოშა. მოკითხვა ნოეს, რძალუკას და შენს სხვა შვილებს, შვილიშვილებს. გაკოცებ ნაოჭიან შუბლზე და ლოყებზე შენი გივი. კურსკი 1940 წ. 29 იანვარი“.

ეს კი ალიოშა ჯაფარიძის მიერ გაგზავნილი წერილია, რომელსაც ზუსტად ნახევარ საუკუნე ინახავდა სამშობლოს მოწყვეტილი გივი გაბლიანი. აკი აღნიშნავდა კიდევ თავის მოგონებებში: „მათ წერილებს დღესაც განძივით ვინახავ. ამ წერილების ავტორები იყვნენ: ალიოშა ჯაფარიძე, მისი და ალექსანდრა, მათი დედა ლიდა, პროფესორი ვადიმ ჩხენკელი და სხვები... ეს სახეები დიდხანს გამყვა, როცა საზღვარგარეთ „დავიკარგე“ და მშველოდა, როცა საქმე არც ისე კარგად მიმდოდა“.

„სალამი ძვ. ძმამო გივი! მივიღეთ შენი უკანასკნელი წერილი. წერილმა რასაკვირველია გაგვახარა, მაგრამ ის ამბავი, რომ თურმე ჩემი წერილი არ მიგიღია ძალიან მეწყინა.

შენი დეპეშაც, ფულიც და გზიდან გამოგზავნილი წერილიც თავის დროზე მივიღე. სამაგიერო წერილიც გამოგიგზავნე, სადაც დიდ მადლობას მოგახსენებდი დავალების შესრულებისათვის და თან საყვედურს იმის გამო, რომ ფული თან არ წაიღე, როგორც მე გთხოვე.

გამოდის, რომ ეს მადლობაც და საყვედურიც წყალში ჩაყრილი დამირჩა წერილის დაკარგვის გამო, მიუხედავად ამისა იცოდე, რომ ორივე ძალაში რჩება – მადლობაც და საყვედურიც.

ძალიან გვწყინს, რომ შენი საქმის გამორკვევა ასე ძალიან გაჭიანურდა. მე აქ ექსპედიციაში შეგიყვანე და შენ კი არ ფიქრობ მგონი ჩამოსვლას. ვაპირებთ ტრავერსის რუსთაველის პიკი-ჯანდაკატინ-თაუ-გესტოლა-ლიალვერი და წანერის გადასავლით ჩავდივართ ჟაბეშში. ამის შემდეგ რჩეულები მივდივართ უშბა-შხელდის ტრავერსზე. ამას ასე ვაპირებთ, მაგრამ სამსახურში ძალიან მძიმე მდგომარეობა მაქვს და არ ვიცი გავინთავისუფლებ თავს თუ არა. ერთი სიტყვით, ბიძიკო,

თუ გინდა მონაწილეობა ასეთ საქმეში ეცადე და გაინთავისუფლე თავი.

დედაშენი ყოჩაღათაა. ვნახულობ ხოლმე და სხვებიც ძალიან ხშირად არიან მასთან. მარტო თითქმის არ არის ხოლმე არასოდეს. ჩვენებიც კარგად არიან.

ალბინისტურ ცხოვრებაში ახალი ისაა, რომ 19-20/IV-ში ჩავატარეთ საქართველოს ალბინისტთა კონფერენცია. იყო ცოტა მაგარი კრიტიკა. ავირჩიეთ საბჭო, რომელშიდაც შენ აღარ ბრძანდები. საბჭოს ჯერ პრეზიდიუმი არ აუჩრევია. არჩევნები თავმჯდომარის, მდივნის და პრეზიდიუმის მოხდება 25-ს, ე.ი. ზეგ... მერე მოგწერ როგორ წავა საქმე.

სხვა აქეთ ახალი არაფერია. ერთი საწყენი საქმეა ოლონდ – გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი.

გივი! ერთი საქმე მინდა კიდევ გთხოვო, ყოველი შემთხვევისათვის.

მე შევიძინე პატარა კინოაპარატი. მინდა მოვახდინო გადაღებები თუ მოვახერხე განზრახულ ტრავერსზე წასვლა. მაგრამ კინოაპარატი ვიწრო-პლიონკიანია. არც ვიწრო პლიონკა და არც მისი კასეტები აქ არ იშოვება. ის აპარატი შეძენილია ლვოვში და საერთოდ ახალ რაიონებში ბევრი იყო ალბათ საზღვარგარეთული ფოტო-მოწყობილობა... გთხოვ მდაც იკითხე საკომისიო მაღაზიებში და განსაკუთრებით თუ მოხვდე სადმე ახალ რაიონებში ფოტო და საკომისიო მაღაზიებში. თუ ვიშოვე ამ აპარატის კასეტები და პლიონკები ეს იქნება ძალიან დიდი საქმე, რადგან გადავიღებ მთელი სვანეთის კავკასიონს და გვექნება ძვირფასი მასალა. საუკეთესო იქნება თუ იშოვი პირდაპირ მზა კასეტებს დატენილს... რომ უფრო გასაგები იყოს ამ კასეტის სახელწოდებას რუსულადაც დავწერ: „Кассеты с пленкой для узкоплёночного киноаппарата фирмы „Агфа“ ширина пленки 16 мм...“ ერთი სიტყვით, თუ წააწყდე ასეთ რამეს სადმე, მოელაპარაკე პირობებზე, მისამართი გამოართვი და დაუყოვნებლივ შემატყობინე, რომ გადავუგზავნო ფული. თუ კასეტები იქნება მზა და შესაძლებელი იქნება პირდაპირ გამოგზავნე ფასდადებით 100 ცალი... თუ ფულის წინასწარ გადმოგზავნა იქნება საჭირო – ფული ორივე შემთხვევაში დაუყოვნებლივ იქნება ჩემს მიერ გადმოგზავნილი... ერთი სიტყვით, ეს ძალიან დიდი საქმეა და იქონიე მხედველობაში, რომ სადმე მოხერხდეს შოვნა. მოკითხვა სიყვარულით დედასაგან და ალექსანდრასაგან. გნახე მალე და ბედნიერად. შენი ძმა ალიოშა. 23/IV-41“.

მკითხველთა ნაწილმა შესაძლოა არ იცის, რომ ახალგაზრდობაში გივი გაბლიანი ლექსებს წერდა. ჩვენი ოჯახის არქივმა, საბედნიეროდ, მისი ერთი ლექსიც შემოინახა, რომელსაც „დამარცხებული თეთნულდი“ ჰქვია. ეს ლექსი მან 1930 წლის 5 აგვისტოს, მას შემდეგ დაწერა, როცა სიმონ

ჯაფარიძის თეთნულდზე დალუპვიდან წლისთავზე, მწვერვალზე მისი და-ძმა – ალექსანდრა და ალიომა ჯაფარიძეები ავიდნენ. ამ ფაქტს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა და თეთნულდი მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.

„სვანეთს დარაჯობ, თეთნულდო,
თეთრი გაცვია აბჯარი,
მოხუცდი, მაგრამ ხმალ გიჭრის
ვერ მოგერევა მტრის ჯარი.
შიკრიკად გყვანან ჯიხვები,
ყინულებს ხმარობ ფარადა
და შენი მიუვალობის
ხმა გაკარდნილა ბარადა.
მაგრამ სვანეთის ადრით
სტუმარს იღებდი ძმურად
და მონადირე სვანებსაც
არ უხვდებოდი მტრულად.
ალბათ მოხუცდი, საბრალო,
დაჩლუნგდა მჭრელი თვალია,
სტუმრად მოსული დაჰლუპე,
ჯაფარიძე და დვალაი.
რად შეირცხვინე ჭალარა?
სტუმარს უკეტე კარია,
მოყვარის სისხლში გაჰბანე
მუდამ სპეტაკი ხმალია.
შური იძიეს დამ და ძმამ,
როგორც მამაცის წესია,
არ ეშინია ამ ორ გმირს
შენი კლდესი და ღრესია.
ახლა კი მტრულად მოვიდნენ,
აღარ გაღირსეს სალაში,
დაგძლიეს და შენს თეთრ წვერზე
აღმართეს ძლევის ალაში.
ალბათ უშბასი გცხვენია,
გარს ჯანდი მიტომ გტრიალებს,
მაგრამ რას იზამ, შენს წვერზე
წითელი დროშა ფრიალებს“.

1999 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებით გაემგზავრა და შემდეგ ათი წელი მოუწია დარჩენა ჩემს ახლო მეგობარს, ცნობილ სპელეოლოგსა და ჟურნალისტს, „პრომეთეს“ მღვიმის აღმოჩენა ჯუმბერ ჯიშკარიანს, რომელსაც წერილი გაუგზავნე გივი გაბლიანთან, იმ მოსაზრებითაც, რომ, ერთის მხრივ წერილი

კარგი შუამავალი იქნებოდა მასთან ვიზიტისათვის, მეორეც – უცხო ქვეყანაში ჩასულ ჯუმბერს, რომელსაც ნაცნობი არავინ ჰყავდა ამ უკიდევანო სივრცეში, რაიმე რომ დასჭირვებოდა და გივი გაბლიანისათვის მიეკითხა, როგორც ჯაფარიძეთა ოჯახის ახლობელს, უთუოდ დაეხმარებოდა და ხელს გაუმართავდა.

სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში ჯუმბერმა მასთან მისვლა ვერ მოახერხა, 2001 წელს კი, გივი გაბლიანი გარდაიცვალა, რაც ჯუმბერმა ჩემგან შეიტყო და საშინლად შეწუხდა. ამის შემდეგ, ჯუმბერი მაინც ჩავიდა ქ. ქვინსში და გაბლიანების სახლს მიაკითხა, სადაც უთხრეს, რომ გივი გაბლიანის მეუღლე, ქალბატონი რუსუდან ალშიბაია მოხუცთა პანსიონში ცხოვრობდა. ჯუმბერმა მიაკითხა ქალბატონ რუსუდანს, ყველაფერი უამბო – ვინ იყო, საიდან იყო, როგორ მიაგნო და საუბრის დროს მაგნიტოფონზე ჩაურთო ქართული სიმღერები, რამაც დიდებულ ქალბატონს ცრემლი მოჰგვარა და ატირდა. ჯუმბერი ქალბატონი რუსუდანის მეშვეობით დაუკავშირდა შვილებს და მათთან ერთად გავიდა საფლავზე, სადაც ჯუმბერმა ქართული წეს-ადრთის მიხედვით, მუხლი მოიყარა საფლავზე და ქართული ღვინით ბატონი გივის შესანდობარი თქვა, რამაც გააოცა გივი გაბლიანის შვილები – გრიგოლი და ეთერი, რომელთაც საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ მამის საუბრებიდან მისი მხოლოდ რამდენიმე მეგობრის გვარ-სახელი ჰქონდათ გაგონილი, რომელთაგან ექიმი ენდოკრინოლოგის იოსებ (სოსო) ასლანიშვილისა და მთამსვლელი და-ძმის ალიომა და ალექსანდრა ჯაფარიძეების სახელები ახსოვდათ.

სამწუხაროდ, გივი გაბლიანს არ ეღირსა და მოუკიდებელ საქართველოში ჩამოსვლა, მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ აღესრულა მისი მეუღლე, ქალბატონი რუსუდან ალშიბაია-გაბლიანიც და უცხო მიწაზე დასრულდა სვანეთის მთებში დაბადებული უდიდესი ქართველი განმანათლებლის, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის, ღირსეული კაცისა და საზოგადო მოღვაწის, ბოლშევიკური ტირანიის მსხვერპლის – ეგნატე გაბლიანის ოჯახის ბედი.

თანხაო უთხაიძე



ქართული ცეკვის დედა-დედოფალი



წელს 110 წელი შესრულდა მე-20 საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწის, ქართული ცეკვის ჭეშმარიტი დედოფლის ნინო რამიშვილის დაბადებიდან.

ნინო რამიშვილმა ილიკო სუხიშვილთან ერთად შექმნა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელმაც ცერებზე შემდგარმა, ათწლეულების განმავლობაში, არაერთხელ შემოუარა მთელ სამყაროს და დიდი ხელოვნებით ლამის დააჩოქა მთელი მსოფლიო.

ამ ანსამბლზე უამრავი საქებარი წერილი დაბეჭდილა ქართულ თუ უცხოურ პრესაში, მაგრამ მაინც სხვა ზიბლი აქვს ანსამბლის წევრთა მოგონებებს, რომლებიც თავად იყვნენ ლეგენდის შემქმნელები დიდ მასწავლებლებთან ერთად. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ქალბატონი ნინოს პარტნიორის ცეკვა „ქართულში“, შესანიშნავი მსახიობის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მრავალი პრემიისა და ჯილდოს მფლობელის – თენგიზ უთმელიძის მოგონება დიდ ქალბატონ ნინო რამიშვილზე.

„მასწავლებლა ერთი ფრაგმენტი 1990 წლის ნოემბრის თვის გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული ნინო რამიშვილისადმი მიძღვნილი მისალოცი წერილიდან, ცეკვის ქალღმერთს „შრომის გმირის“

წოდების მინიჭებას რომ ულოცავდნენ: „ცეკვას უჩვეულო ბედი აქვს. თუ მუსიკა შეიძლება შევინარჩუნოთ პარტიტურაში, ფერწერა – ტილოებზე, ლიტერატურა – წიგნებში, ცეკვის შემსრულებელთა ხსოვნაში ცოცხლობენ და თაობიდან თაობებს გადაეცემა, ლეგენდასავით ვრცელდება თანამედროვეთა და ჩვენი დროის მაყურებელთა მოგონებები, თუ როგორ ქმნიდა და ახლაც ქმნის ნინო რამიშვილი სასწაულს, რომელსაც ცეკვა ეწოდება“.

ნინო რამიშვილს მაყურებელი იცნობდა სცენიდან, როგორც ბრწყინვალე მოცეკვავეს, სახელოვან ქორეოგრაფს. მაყურებელი ხედავდა, აფასებდა მის ხელოვნებას, შემოქმედებას, უკვე მზამზარეულს, საბოლოო სახით ჩამოყალიბებულს. უმრავლესობას კი წარმოედგინა არ ჰქონდა იმ დიდ, დაძაბულ შრომაზე, რომელსაც იგი ეწეოდა.

ყოველ დღით ქალბატონი ნინო ფილარმონიის ბალისკენ მიემხრებოდა. აქ, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის საკუთარ სარეპეტიციო დარბაზში, იგი მორიგ მეცადინეობას იწყებდა. ასე გვეგონა, სარეპეტიციოდ სულ სხვა ადამიანი მოვიდაო. ნინო უკვე აღარ იყო ის, რაც სცენაზე. იშვიათად ნახავდით მის სახეზე ღიმილს. მთელი მისი არსება დაძაბული და მუშაობაში ჩაძირული გახლდათ.

ნინო რამიშვილის რეპეტიციები ხელოვნების ნამდვილი გაკვეთილები იყო. ცნობილია, რომ იგი ძალზე მკაცრი და მომთხოვნა იყო. ჩვენ, მოცეკვავეებს, 18-20 წლის ახალგაზრდებს, როდი მოგვწონდა გაუთავებელი და არანორმალურად დამღლევი 6-7-საათიანი მეცადინეობები, მაგრამ იმასაც კარგად ვაცნობიერებდით, რომ უამისოდ სასურველ შედეგს ვერ მივადწევდით. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ჯოჯოხეთური შრომის შემდეგ საგრძნობლად გვიადვილდებოდა დიდ სცენაზე მაყურებელთა წინაშე გამოსვლა. სხვანაირად, აბა,



როგორ გაუძლებდით დაძაბულ და მომქანცველ მრავალთვიან საგასტროლო მოგზაურობებს, ასეულობით ჩატარებულ კონცერტს? ნინო რამიშვილის სწორმა აზროვნებამ, მართალი გზით სიარულმა განაპირობა ის, რომ ყველა ქვეყნის მაყურებელი მუხლს იღრეკდა ქართული ცეკვის წინაშე.

ქალბატონ ნინოს იშვიათად ნახავდით მიღწეულით თვითკმაყოფილს. ის მუდამ ძიებაში იყო, ყოველთვის შემართული, რეპეტიციაზე იქნებოდა თუ კონცერტზე, არავის აპატიებდა საქმისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. მისთვის ავტოროტეტები არ არსებობდნენ, ყველას თანაბრად სთხოვდა, წამყვან სოლისტებსაც და რიგით მოცეკვავეებსაც.

ამიტომ იყო, რომ საქმისადმი ღრმად პასუხისმგებელს, უტეხი სულის პატრონს და შეუვალს, ცხოვრებაში კი ჩვეულებრივ, მოკრძალებულსა და სათნო ადამიანს უპირველეს და მთავარ მოვალეობად მიაჩნდა და ჩვენც მუდამ გვიკიჟინებდა:

„თუკი რაიმე მეტყველებს ერის გენიაზე, ერთ-ერთი პირველია ქართული ცეკვა. ამიტომ, ყოველ გასტროლზე თან დამყვება ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ, ჩვენი ხელოვნებით მთელს ქართველ ერს, მის ძირძველ, მრავალსაუკუნოვან კულტურას წარმოვადგენთ. ეს სიამაყესაც გულისხმობს და უდიდეს პასუხისმგებლობასაც. ყოველი გასტროლი გამოცდაა, რომელთან შეჩვევა არ შეიძლება. ყოველ გასტროლზე ჩვენ თავდაპირველი მღელვარებით ვაბარებთ ამ გამოცდას, თითქოს საზღვარგარეთ პირველად გამოვდიოდეთ.

შეჩვევა არც შენი ხალხის სიყვარულთან შეიძლება. რაც უფრო მეტად უყვარხარ, სჯერა და გაფასებს, მით უფრო მეტს ელის, მოითხოვს კიდევ შენგან. ხალხის სიყვარული, უწინარეს ყოვლისა, მოვალეობაა და ბედნიერები ვართ, რომ ამ მოვალეობას პირნათლად ვასრულებთ“.

ნინო რამიშვილმა თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა ეროვნულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. მთელს ჩვენს პლანეტას აღაფრთოვანებდა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის რეპერტუარის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, საქართველოს ულამაზესი კუთხეების ფერადოვანი, განუმეორებელი ცეკვების კალეიდოსკოპი, ქვეყნის ისტორია, ქართველი ხალხის ვაჟკაცობა და სილამაზე, სათნოება და სინარჩარე, ცეცხლოვანება, სულიერი და ბუნებრივი სიღარბაისლე, შინაგანი კეთილშობილება და სულის სიფაქიზე, გადმოცემული ღრმად ეროვნული, ბრწყინვალე ქორეოგრაფიული სპექტაკლების ენით.

კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა ნინო რამიშვილისათვის ეროვნულობა, ერის დიდი მოამბე ასე



პასუხობდა: „ეროვნულობა – ეს ჩემთვის უპირველესი ცნებაა, დიდი გრძნობაა და აუცილებელიც. ეს გახლავთ ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხის სიყვარული, ჩემი ისტორიის სიყვარული... ქართველი ერი მსოფლიოში არის ერთადერთი ერი, რომელსაც აქვს საოცრად მრავალფეროვანი სიმღერები და ამის შესაბამისად ცეკვებიც. ისინი სხვადასხვა კუთხეების შექმნილია. მართალია, მე პირადად ვერ ვიტან კუთხურ დაყოფას, მაგრამ სწორედ კუთხურობა ქმნის ქართული სიმღერისა და ცეკვის მრავალფეროვნებას. მართლაც, ბედნიერია ქართველი ერი, რომ ასეთი უნიკალური სიმღერები და ცეკვები აქვს“...

საოცარი ადამიანი იყო ნინო რამიშვილი. მუდამ მოწესრიგებული, ამაყი და არაჩვეულებრივად ელეგანტური. ამ პიროვნებაში დიდი ინტელექტი იყო ჩადებული, განსხვავებული და განუმეორებელი ხედვა ჰქონდა ქორეოგრაფიაში. მაღალი ზნეობის ქალბატონი იყო, კეთილშობილი, ამასთან, მკაცრიც და ჰქონდა ამის უფლება.

ხშირად, ბევრს გვეკითხებოდნენ ნინო რამიშვილის განსაკუთრებულ, ლეგენდადქცეულ სიმკაცრეზე. ამბობდნენ იმასაც, რომ მოცეკვავეები გარკვეულ შიშს განვიცდიდით.

რაც შეეხება იმას, გვემინოდა თუ არა მოცეკვავეებს ნინო რამიშვილისა, არა, ეს არ იყო შიში. ჩვენ ვგრძნობდით პასუხისმგებლობას იმ დიდი საქმის წინაშე, რასაც სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლში ცეკვა ჰქვია. როცა ვუყურებდით, როგორ კარგავდნენ წონასწორობას ჩვენს დანახვაზე მაყურებლები მსოფლიოს უდიდეს, წამყვან სცენებზე, გვიჩნდებოდა მეტი მუშაობის სურვილი, გვეუფლებოდა უფრო დიდი მოვალეობის გრძნობა. შიში კი არა, არამედ რიდი და მოკრძალება, ჩემი ჩუმი პატივისცემა იყო ამ დიდი პიროვნებისადმი, ვინც შექმნა მართლაც სასწაული და მთელს მსოფლიოს ქელი მოახრევინა ქართული ცეკვის წინაშე...

ნინო რამიშვილს განსაკუთრებული თვალ-

თახედა ჰქონდა. სცენაზე ჩვენი გამოსვლისას, როგორც წესი, კულისებიდან გვადევნებდა თვალს, არაფრით გამოეპარებოდა მოცეკვავის არცერთი „ყალბი“ ილეთი, მაშინაც კი, როდესაც ჩვენთან ერთად ცეკვავდა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, მყისვე დანიშნავდა „ჭკუის სასწავლებელ“ და ქანცგამცლელ დამატებით რეპეტიციას. ეს ხომ მისი სტიქია იყო.

სიტყვაბუნწი იყო შექებისას. რაც უნდა კარგად გეცეკვა, იშვიათად გეტყოდა – ყოჩაღ, თუმცა შესანიშნავად და ყველაზე უკეთ იცოდა თითოეული მოცეკვავის ფასი და შესაძლებლობა. ამ ძლიერ პიროვნებაში განსაკუთრებით იყო პროფესიონალიზმი, შეუდრეკელი ხასიათი საქმის დროს, თორემ სახლში სულ სხვა იყო ნინო რამიშვილი, თბილი და ყურადღებიანი, მოსიყვარულე დედა და მეუღლე, არაჩვეულებრივი მასპინძელი და მოსაუბრე.

მახვილი თვალი ჰქონდა. უზადო გემოვნების ქალბატონი იყო. როდესაც ჩვენი საცეკვაო კოსტიუმები იქმნებოდა ანსამბლის უცვლელი მხატვრისა და ერთგული მეგობრის, განუმეორებელი სოლიკო ვირსალაძის ესკიზების მიხედვით, მახსოვს, ქალბატონი ნინო, ბატონ სოლიკოსთან ერთად დღე და ღამეს როგორ ასწორებდა სამკერვალო სახელოსნოში, კოსტიუმების თითოეულ დეტალს, ფერს როგორი გულდასმით აკვირდებოდა მხატვართან ერთად. აი, ასე რუდუნებით იქმნებოდა ის ბრწყინვალე ქართული ეროვნული სასცენო ტანთჩაცმულობა, რომელმაც ქართულ ცეკვასთან ერთად აღაფრთოვანა მთელი მსოფლიო.

ჩვენს საცეკვაო კოსტიუმებთან დაკავშირებით და ნინო რამიშვილის შეუვალი ხასიათის გამო ერთ საგასტროლო ამბავს გავიხსენებ:

„1962 წელს, ინდოეთში ყოფნისას, ისეთი სიცხეები იყო, რომ სუნთქვა გვიჭირდა. ქალაქ კალკუტაში გამოსვლისას, თერმომეტრი ჩრდილში

450-ს უჩვენებდა.

ამ ჯოჯოხეთური სიტუაციის შესამსუბუქებლად თეატრის მესვეურებმა სცენაზე, კულისებში დიდი ვენტილატორებიც კი დადგეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, ცეკვის დროს სული გვეხუთებოდა... წარმოიდგინეთ ჩვენი ცეკვები: „ხანჯლური“ ნაბლებში და მეცხვარის ჯინჯილებში, „ხორუმი“ და „აჭარული“ შალის ჩაქურებში და ყაბალახებში... რალაც უნდა გვეღონა. ბიჭებმა მოვილაპარაკეთ და ქალბატონ ნინოს ვთხოვეთ – ინდოელები რას გაიგებენ და იქნებ ყაბალახებისა და ქუდების გარეშე გვეცეკვა-მეთქი. ასე გვიპასუხა – ნამდვილად შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმების წყობას ვერ დავარღვევო!“

ანსამბლში ნინო რამიშვილის მიერ „მშრალი კანონი“ იყო გამოცხადებული. სპირტიანი სასმელის მიღება, განსაკუთრებით კი გასტროლების დროს, აკრძალული გვქონდა. ამასთან დაკავშირებით მრავალი კურიოზი გადაგვხდენია.

ამჯერად ერთ ამბავს გავიხსენებ: „ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ ჩემი თაობის მოცეკვავებს ლამაზი ტრადიცია გვქონდა. ყოველი წლის იანვარში, დაბადების დღეს ვულოცავდით ქალბატონ ნინოს. 1999 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ტრადიციისამებრ, შინ ვეწვიეთ. ძალზე გაიხარა ჩვენი მისვლით, შემდეგ სუფრასთან მიგვიპატიჟა. თენგიზ სუხიშვილმა თამაძობა მთხოვა. გვერდით ნინო რამიშვილი მეჯდა. კარგად მოზრდილი სასმისი მოვითხოვე, ღვინით ბოლომდე ავაკესე და ნინოს გადავხდე, მისი რეაქცია მაინტერესებდა. მცირე პაუზის შემდეგ მშვიდად მომმართა: – დალიე, ახლა შეიძლებაო. მე ვუთხარი, როდის მრთავთ ნებას, ახლა, როცა დალევა აღარ შემიძლია-მეთქი? – მაშინ რომ არ დამეშალა, ახლა თქვენ არ იქნებოდით ასე კარგად და არც ის, რაც თქვენ შექმენითო.

რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინო ცამდე მართალი იყო.

ნინო რამიშვილი ყველაფერს აკონტროლებდა. ვერ იტანდა, როცა მოშვებულად, ულაზათოდ გეცვა საცეკვაო კოსტიუმი. თუ არ მოეწონებოდა, არ დაგინდობდა, შემოგაგლეჯდა ტანზე...

ცხოვრებაში მუდამ აქცევდა ყურადღებას, სახე გქონოდა სუფთა, წვერგაუპარსავი მასთან ვერ მიხვიდოდი. ცდას და ყურადღებას არ გვაკლებდა, რომ სცენაზეც და სცენის მიღმაც მუდამ კარგ ფორმაში ვყოფილიყავით. ჩვენ ხომ ცეკვის გარდა მთელი საქართველოს სახეს წარმოვადგენდით უცხოეთში ჩვენი ანსამბლის მრავალფეროვანი რეპერტუარის ყველა ცეკვა, განსაკუთრებით სოლო პარტიები, რომლებსაც ვასრულებდით, მოითხოვდა





არა მარტო დახვეწილ ტექნიკას, ქორეოგრაფიულ სრულყოფას, არამედ სხვა ამოცანის წინაშეც გვაყენებდა, რადგან ზოგიერთი საცეკვაო ნომერი წარმოადგენდა პატარა, ნატიფ პოემას, ან კონკრეტულ მხატვრულ კომპოზიციას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებოდა გარდასახვა, სამსახიობო ოსტატობა. ნინო გვასწავლიდა, ცეკვის დროს განგვეცადა ყველაფერი „სერიოზულად“, როგორც ცხოვრებაში, ჩაგვექსოვა ცეკვაში გრძნობათა მთელი გამა. ამიტომაც იყო ანსამბლის ყველა ცეკვა, მთელი პროგრამა ასე წარმატებული, შინაარსობრივად დატვირთული, სანახაობრივად წარმტაცი და მოცეკვავეთა მიერ მაღალპროფესიულად შესრულებული.

უდიდესი ბედნიერება და პატივია ჩემთვის, რომ წლების მანძილზე ნინო რამიშვილის – ამ დიდი მოცეკვავისა და პიროვნების უშუალო პარტნიორი ვიყავი სცენაზე, ცეკვათა-ცეკვა „ქართულში“ და ცეცხლოვან „ჯეირანში“.

არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო, ისე აენტებოდა, ისე შემოგხედავდა, დაგავიწყებდა ყველაფერს... განუმეორებელი პლასტიკა, მომა-

ჯადოებლად მეტყველი, ზურმუხტისფერი თვალები და მგრძნობიარე ხელები, ვირტუოზული ტექნიკა, დახვეწილი, ურთულესი მოძრაობები, გადამღები მგზნებარება და ცეცხლოვანი ტემპერამენტი – აი, ასეთი იყო ნინო რამიშვილი სცენაზე.

ნინო რამიშვილი:

„ჩემზე, როგორც მოცეკვავეზე ჰყვებიან ლეგენდებს, შემფასებლად ვერ გამოვლავები. ვერ ვიტყვი, როგორ ვცეკვავდი. ეს კია, ცეკვა ჩემთვის სიცოცხლეა... ყოველ საქმეში სიცოცხლე უნდა ჩააქსოვო. თუ შენი საქმე სიცოცხლესავით გიყვარს, მაშინ ის კაცი ხარ, ერთგულად რომ ჩამდგარა მშობელი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში და უშურველად ირჯება ერის დღევრძელობისათვის. ეს კი ყველაზე წმინდა სამსახურია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის“...

ნამდვილად არ მეგონა, ნინო რამიშვილი თუ დაბერდებოდა. თითქმის საუკუნე ისე იცხოვრა და ისე გადავიდა იმქვეყნიურ საუფლოში, სიტყვა „დაღლა“ არ უხსენებია. ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ მაინც ვიხილეთ ცრემლმორეული.

პირველად მაშინ მოიწმინდა სიხარულის ცრემლი, როცა ანსამბლი 50 წლის იუბილეს ზეიმობდა და ფეხზე ამდგარმა მაღლიერმა მაყურებელმა მხურვალე ოვაცია გაუმართა დარბაზში მჯდომ ქართული ცეკვის დედა-დედოფალს. მეორედ კი მაშინ ატირდა, როდესაც დაბადებიდან 90 წლის იუბილეზე საქართველოს პრეზიდენტმა „ღირსების ორდენით“ მეორედ დააჯილდოვა.

ნინო რამიშვილის ბოლო ნაბიჯი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის შესასვლელთან შეჩერდა. ეს ნაბიჯი ქართველმა ხალხმა, როგორც ქართული ცეკვის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, თავის შთამომავლობას რელიკვიად შემოუნახა...

ქალი-ეპოქა მისმა ერმა სიცოცხლეშივე ლეგენდად აღიარა.



ეს ჩემი წყლულია...

ნანა ოთახაშვილი



თელავური იტალიური ეზო

თელავური იტალიური მრგვალი ეზო, ჩუქურთმებიანი აივნებით შემორიგებული სახლები და ძველისძველი, უსწორმასწორო ფილაქანი. ეზოს შუაგულს ბუნებრივი წყალი და ტირიფის ხე ამშვენებდა (ტირიფი რომ გადატყდა, მის ადგილას ერთმა კეთილმა კაცმა კაკლის ხე დარგო.)

ამ ეზოში ადამიანებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ყველა დღე თავისებურად ლამაზი და საინტერესო იყო თავისი კოლორიტით. ისმოდა მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი. ერთიანობა და სიყვარული იყო ეზოში დამკვიდრებული. აქ თითქმის ყველა სპეციალობის ადამიანს ნახავდით. მუსიკის მასწავლებლის სახლიდან, ყოველ დღე, ვიოლინოს წრიპინის ხმას გაიგებდით, რომელიც სასიამოვნო ჰანგებად გარდაიქმნებოდა.

შელამებულზე, გადამყვადელ ვისელასთან გადაპრანჭული ხალხი მიდი-მოდიოდა და გინდოდა თუ არა, მიმომსვლელებს თვალი მაინც ინტერესით აედევნებოდა ხოლმე.

ექთანი თამარა სამეზობლოს დიდი იმედი იყო და ამ იმედს ამართლებდა კიდევ. ყველას ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგომი, სიამაყით თავაწეული დადიოდა ეზოში. მეტყვევ თამაზა ყველას აიძულებდა, ზამთრის სიცივეს არ გაგრძნობინებოდა, ტყიდან ისეთ ხეებს ჩამოგითრევით. ისიც სიტყვის კაცი იყო და შემოდგომაზე ეზო ხის

დიდი კუნძებით ივსებოდა.

მეზობლები სასუსნავს ალალი გულით აწვდიდნენ ერთმანეთს. სომეხი ამხენას მომზადებული ბლინების სუნი ხომ იმ წამსვე საღერდელს აგიშლიდა. ქუთაისელი მარუსა, მზესუმზირას რომ დაშუშავდა, ეზოს ბავშვები, ხელში აბაზიანებით თავკუდმოგლეჯილნი მისკენ გარბოდნენ. მზესუმზირას სხვადასხვა ზომის ხის ჭიქებით ჰყიდდა და ისე, როგორ იქნებოდა, თავის ანგარიშზე ცოტა არ წაემატებინა.

ეზოს მარჯვენა კუთხის შემადგენელ ადგილას ნუშის ბებერი ხე იდგა, თავდახრილი. ბებერი ისტორიის მომწრე და მნახველი. ნუშის ხესთან ღამეს, ნამთვრალევი სახლიდან, სადაც ახალგაზრდა ოჯახი ცხოვრობდა, ყოველთვის წუხილი მოჰქონდა. ეს ოჯახიც მის თვალწინ შეიქმნა და გამრავლდა. ნუშის ხე, ტკივილიანი სინანულით უყურებდა პატარა დედას თავისი პატარა შვილით და მათზე დარდით, სივრცეს ბებერი თვალებით, მზერას უშტერებდა. მას არაფერი შეეძლო, მათ ყოფას განიცდიდა და თავისი უმწეობაც სტკიოდა. ერთ ღამესაც ველარ გაუძლო მთვრალი სახლის ბობოქრობას, დედის და შვილის შიშისგან შეკივლებას და, უმწეობისაგან, საკუთარ ტოტებზე თავი ჩამოიხრჩო.

ეზოში ყველამ მალე დაივიწყა ბებერი ნუშის ხე, ახალგაზრდა დედის გარდა. მას იმ დღიდან სევდა და დარდი უფრო მოემატა.

იტალიური ეზო, ერთ-ერთი სახლის ქვეშ მდებარე პატარა გვირაბით ქუჩას უერთდებოდა. ბავშვები ხშირად თავს იყრიდნენ იქ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, გვირაბის პატარა სივრცე, ვის ხმაზე უფრო ძლიერ ექოს გამოსცემდა.

გვირაბის ქუჩისპირა მხარეს, სახლის პირველ სართულზე, ნესტიან ორ პატარა ოთახში, რუსი ეროვნების მოხუცი დაშა ცხოვრობდა. არავინ იცოდა, აქ საიდან მოვიდა. სახე, ზამთარ-ზაფხულს, ქიშმირის თავშალში თოჯინასავით გამოკრული ჰქონდა. პატარა ტანის კოპწია ქალი, მთელი დღე დაცუცუნებდა ეზოში და ხიდან დაცვენით ფოთლებს, ბავშვების მიერ დაყრილ ნაყინისა თუ კანფეტის ქაღალდებს იღებდა და ეზოც სულ დაწკრილებული იყო. თუ გავიღოდა დღეები და რომელიმე მეზობელს ვერ დაინახავდა, მივიდოდა, მოკრძალებით მოიკითხავდა და გამობრუნდებოდა მისი კარგად ყოფნით გამოწვეული კმაყოფილებით. უყვარდა ეზოში ახმაურებული ბავშვების ყურება და მათით ტკობა. დამასთან არავინ მოდიოდა და არც ის მიდიოდა არსად. ის ამ ეზოს მაცხოვრებლებით ცხოვრობდა და მათაც უწყინარი მოხუცი ძალიან უყვარდათ.

ერთ დილას დაშა არ გამოჩნდა. მეზობლებმა

მალევე მოიკითხეს... თურმე იმ ღამეს უფალს კეთილი მოხუცი თავის მშობლებთან წაუყვანია სამარადჟამოდ. ჭირისუფლად მთელი ეზო გამხდარიყო. დიდი პატივით დაკრძალეს, ვინ იცის სად დაბადებული და რა ცხოვრებაგამოვილილი ღამა, რომელიც წარსულზე არასოდეს საუბრობდა...

ღამას გვერდით, სახლის უფრო შიგნით, „ბოზ მაყვალად“ წოდებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ცხოვრობდა (მარტო სახელით არავინ მოიხსენიებდა). შავგვრემანი, კაცის აგებულების ჩასხმული ტანის მაყვალა კუშტი გარეგნობისა იყო და წარბების ქვემოდან მაცქერალი მკაცრი თვალები უფრო უკარებას და მრისხანეს ხდიდა. გაღიმებული არასოდეს არავის უნახავს, სულ მომტირალე სახით დადიოდა. ეზოშიც კი იშვიათად ნახავდა ვინმე. მასთან მეზობლების ურთიერთობა, მხოლოდ მისალმებაში გამოიხატებოდა. ბავშვები, მისი დანახვისას, თამაშს წყვეტდნენ და გაურკვეველი ცნობისმოყვარეობით აჩერდებოდნენ, რადგან ეზოში მის „როლზე“ ვერ გარკვეულიყვნენ. მაყვალა უფრო მეტად ჩაჰკიდებდა თავს და ნაბიჯს აჩქარებდა ეზოს დასატოვებლად. მაყვალა, თავის არა საამაყო ცხოვრებას, ეზოს და მის მაცხოვრებლებს არ აკარებდა. მათი დიდი რიდი და მოკრძალება ჰქონდა. ისინიც, მისალმების მერე, თვალს არიდებდნენ ისეც უკვე ცხოვრებისგან ნაცემ ქალს. ერთ ღლეს, დიდი სატვირთო მანქანა მოადგა იტალიურ ეზოს. მაყვალამ, თავისი მწირი ავეჯი ზედ დაალაგა, დიდი ხნის წინ დავიწყებული ღიმილით მიმოიხედა ირგვლივ, უსიტყვოდ დაემშვიდობა იტალიურებს და შორეულ ქალაქში საცხოვრებლად გადავიდა. მეზობლებთან დამშვიდობება მორიდებია და პატარა წერილი დაუტოვებია. წერილში მადლიერების გამომხატველი სიტყვები ეწერა, შეატყობინა თავისი ამბავი (როგორც უძლები შვილი მშობლებს), რომ მიდის იქ, სადაც არავინ იცნობს, არავინ მოიხსენიებს „ბოზ მაყვალად“ და ნანატრ, ახალ ცხოვრებას დაიწყებს. თითქოს სიტყვებსა და სიტყვებს შორის ჩნდებოდა მაყვალას გაღიმებული სახე, რომელიც არასოდეს უნახავთ ამ ეზოს მობინადრეებს და რომელიც ამ ქალაქიდან წასვლისას ხელახლა დაიბრუნა.

ზოგისთვის ცხოვრების ყოველი ღლე, ყინვაში ცალ ფეხზე გატარებულ ღამეს ჰგავს...

იტალიურ ეზოში დიდი და პატარა ერთი ცხოვრებით ცხოვრობდა. სიტყვოც და სიმწარეც ერთი ჰქონდათ. ერთი რიტმით იძინებდნენ და იღვიპებდნენ. ყველა თავისი გვარით იწონებდა თავს. გომიაშვილები, ცერცვაძეები, ფირანი-

შვილები, ჩიკვაძეები, მარქაროვები, მსუქნიშვილები... ყველაზე გრძელი და ღამაში აივნისანი სახლი ესიტაშვილებისა იყო. ქალბატონი ნინა ბანკში მუშაობდა. მოხუცებულობის მოუხედავად, სამსახურიდან არ უშვებდნენ, ჯერ კიდევ მისგან ბევრის სწავლა შეიძლებაო. მისი ქალიშვილი ციური, ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ქალაქის არქიტექტორად მუშაობდა. საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა. მეგობრების, მათი შვილების და შვილიშვილების სამყაროში ცხოვრობდა. ეს სამყარო უშველებელ სიყვარულს იტევდა, თავისი ვალდებულებებით, რომლის დედაც ციური იყო. ამ სამყაროს „ციურეთი“ შეარქვეს და, როგორც სავანეში, ყველა აქ მოეშურებოდა.

ციური ბედნიერი იყო თავისი გაღებული სიკეთით და, უფრო მეტად ბედნიერი იყო მამინ, როდესაც გამჭვირვალე „ციურეთში“ მის „შვილებს“ ერთმანეთი უხაროდათ, უყვარდათ, აღარდებდათ და ენატრებოდათ. მშობლების შემდეგ, თუ მისი დიდი „სკოლა“ გქონდა გავლილი, ეს ნიშნავდა, რომ კიდევ გაიზარდე. ყველას უნდოდა „ციურეთის“ სამყაროს ნაზიარები ყოფილიყო. ეს ის სამყარო იყო, სადაც ყოველი ღლე ცხოვრების ახალ გაკვეთილს სწავლობდი.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც შენში შემოაღწევენ, დაგიტოვებენ უამრავ დადებით მუხტს და უარყოფითს კი გაგაცლიან. წამოიკიდებენ თავიანთ მხრებზე და მერე, ვითომ აქაც არაფერიყო, მზესავით ზევდან, ცის კიდედან გადმოგხედავენ კმაყოფილნი შენი გამოდარებით.

დრომ ადამიანებს, როგორც ჭადრაკის ფიგურებს, ცხოვრების დაფაზე ყველას თავისი ადგილი მიუჩინა...

თელავური, მრგვალი, აივნისანი სახლებით შემორიგებული იტალიური ეზო, წლებთან ერთად ნელა-ნელა დაცარიელდა. ზოგი გარდაიცვალა, ზოგმაც საცხოვრებელი გამოიცვალა. დარჩა მენსიერებაში მართალი სიტყვის და უღალატო ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელიც ღლესაც გულს გივსებს და გონებას ძაბავ, რომ გაიხსენო რამდენიმე ოჯახის თანაცხოვრების ერთიანი არომატი და გემო. შეუძლებელია, მონაყოლით აგრძნობინო შვილებს იმ სიმდიდრის სიდიდად, რომელიც ამ ხელმოკლე ადამიანებს ჰქონდათ. დრო მიდის და თან მიაქვს ძველი თავისი სიალალთი, რომელიც ნელა-ნელა დავიწყებას ეძლევა.

მე ვნახე, დაცარიელებულ იტალიურ ეზოში, როგორ დადიოდა მარტოდ დარჩენილი ისტორია...

ცხოვნი

ილია ბაშახუილი



* * *

ჭეშმარიტი რწმენის სიდიდე ყველა შესაძლებლობაზე უფრო დიდია...

* * *

უმეტესწილად შინაგანი სიმხდალე გარეგნობას გადაჰკრავს...

* * *

არ გეშინოდეთ მტრის!
მათი სამიზნე – თქვენი შიშია!

* * *

განერიდეთ იმათ, რომლებსაც თქვენდამი მცირეოდენი რიდიც დაჰკარგვიათ, ასეთი არც მეგობრობაა საინტერესო და არც სიყვარული...

* * *

ისე კარგად არავინ ისვრის, ვისაც თვით ტყვეის გემო უგრძნია.

* * *

ჯამბაზის ნალველი იმდენად მძიმეა, რომ რამდენიმე უდრეკი ადამიანი ვერ შეძლებს მის ტარებას...

* * *

მონატრება თუ სცდება მიჯნას, ის ნაწილ-ნაწილ წეწავს, ღრღნის და ფლეთს შინაგან სამყაროს.

* * *

ცუდია, როცა ბავშვობის ძმაცაღი, ბავშვობის

ძმაცაღად რჩება...

* * *

დაბადების შემდგომ ყველა ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის შემოქმედი, თავიანთი ცხოვრებაა.

* * *

რომანტიკულ ურთიერთობაში ყველაზე დიდ ცოდვად, გრძნობებზე თამაშს ჩავთვლიდი.

* * *

იგი, ვინც დიდ ნაბიჯებს დგამს, მზად უნდა იყოს მტკივნეული დაცემისთვისაც.

* * *

ყველა, ვინც კი აფრინდა, დაეშვა.

* * *

პრინციპი ადამიანს უფრო ღირებულს ხდის.

* * *

ცხოვრებას არ უყვარს რადიკალიზმი!

* * *

მოგონება მამავლის სუვენირია.

* * *

ლომს დასჭირდება ტურა.

* * *

უენო ზარის ხმა მხოლოდ გენიოსებს ესმით.

* * *

ხის რაობა ფესვებში სჩანს.

* * *

სასოწარკვეთილს სიცილი ტირილად ერქვენება.

* * *

კონცერტზე ყველა შესრულებას ტაშს მხოლოდ უბემოვნოები უკრავენ.

* * *

ფიქრი სხვა სამყაროა, სადაც არ არსებობს საზღვრები და ფართობი, მოგზაურობის საფასურს იქ მხოლოდ ტვინი იხდის!

* * *

ხატვის პროცესში ხელის შემლა სუნთქვის შეწყვეტას ჰგავს, ასეთ ვითარებაში მხატვრის აგრესია სრულიად სამართლიანია!

* * *
სიმწრის ცრემლები სულიდან გამოდევნილი
ტკივილია.

* * *
ბინძური ხელებით ვერაფერს გარეცხავ!

* * *
მარტო ქალისთვის ცხოვრებაც ღირს!

* * *
ქალს სიძუნწე მხოლოდ სხეულის გაცემაში
უხდება.

* * *
ბნელი ფიქრები ყორნებივითაა, სულში რაიმე
მძორი თუ არ ბუდობს, ყორნებს ვერც ვერაფერი
მოიხმობს!

* * *
მირჩენია, შორიდან მოვეუსმინო ჩემს „იავნანას“,
ვიდრე ახლოდან სხვისას!

* * *
იქ, სადაც სიყვარულია, უნდა იყოს კონ-
ფლიქტიც.

* * *
ადამიანის სურვილი – განუკურნებელი და-
ვადებაა!

* * *
ნებისყოფის საზომი ცდუნებაა.

* * *
ორმაგად მიყვარს ადამიანი, რომელიც მოყვასს
ჯვარს უმსუბუქებს!

* * *
გზაჯვარედინზე გაკეთებული საქმე საეჭვოა,
საიდუმლოდ დარჩეს.

* * *
ძალის არსებობა არაფერია, თუ მას ვერ აკონ-
ტროლებ!

* * *
აკრძალული სიყვარულის ხიბლი დიდ წინააღ-
მდეგობაშია!

* * *
ქვეცნობიერთან ბრძოლა ხშირად თვითმკვლ-
ელობით მთავრდება.

* * *
ყველა შეგნებულ ადამიანს ჰქონია ომი საკუთარ
თავთან.

* * *
მარადისობის საძირკველი ძლიერებაა.

* * *
მინიმუმ ორმოცდაათი წლის მაინც უნდა იყო,
რომ თამამად თქვა: „მე ცხოვრება ვიცი!“

* * *
ყველა, ვინც კი გეფერება, შეუძლებელია, ალ-
ერსიანი იყოს!

* * *
წვრილმან წინააღმდეგობას დიდი უსიამოვნება
ახლავს.

* * *
აფეთქებამდე ყველა ცნობისმოყვარეა, მერე კი
უცოდველი.


* * *
მნატვრობაში მრავალი მიმდინარეობაა აღმოჩე-
ნილი, ორი იმდენი კი მასში იმალება.

* * *
ყველაფერი როცა მოგბეზრდება, რაც კი
მოჩვენებითია, ერთი რამ ძლიერ მოგინდება:
უბრალოება!

* * *
მინიმალისტურ შემოქმედებას უკიდევანობის
მრავალფეროვნება ხდის საინტერესოს.



„მის მიერ შექმნილი სხეულის
პლასტიკა რიტმულ მუსიკას
ბადებს“...



ლადო გუდიაშვილთან ერთად

ქართველ საზოგადოებრიობას ამ წერილით მინდა გავახსენო უნიჭიერესი მხატვარი ზურაბ კაპანაძე (1924–1989), რომელიც 60–50 წლის წინათ, თავისი საჟურნალო და წიგნის ილუსტრაციებით საყოველთაოდ ნაცნობი სახელი გახლდათ. მან ხომ ორასზე მეტი წიგნი გააფორმა მხატვრულად და ასეულობით მოთხრობის, პოემის, ზღაპრისა და ლექსების ილუსტრაცია შექმნა ქართულ პერიოდიკაში?! ამასთან, იგი არის ნოვატორი ქართულ გამოყენებით–დეკორატიულ ხელოვნებაში, მის მიერ შექმნილი მხატვრული ფორმები და ობიექტები ბათუმში, სოხუმსა და საქართველოს სამხედრო გზაზე დღემდე რჩება შემოქმედებითი ფანტაზიისა და გამომგონებლობის უბადლო ნიმუშებად.

ზურაბ კაპანაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში იოსებ შარლემანის, სერგო ქობულაძის, დუდა გაბაშვილისა და ვალენტინ შერპილოვის სტუდენტი იყო. როგორც ჩანს, ამ დიდმა ოსტატებმა იმთავითვე იგრძნეს თავიანთი შეგირდის განსაკუთრებული ნიჭიერება და იმგვარი სისათუთით წარმართეს მისი პროფესიული ზრდა–განვითარების პროცესი, რომ არაფერი ევნოთ ახალგაზრდა

ხელოვანის ინდივიდუალობისთვის. სწორედ ამ თავისუფლებითა და სიანკარით იყო საჩინო და ღირებული ზურაბ კაპანაძის მთელი შემდგომი პრაქტიკა, რომელიც არის ქართული სულიერების უმაღლესი გამოხატულება.

31 წელიწადი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და ამ ხნის განმავლობაში მისი მხატვრული მემკვიდრეობის შესასწავლად და ღრმად გასააზრებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა. ერთადერთი იყო ის, რომ შარშან მისი და არქიტექტორ გიორგი ჩახავას ბათუმში არსებული ერთობლივი ნამუშევარი „რვავესა“ აღადგინეს და მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. სამართლიანი იქნებოდა ასეთი სტატუსის მქონე ნამუშევრის ავტორებს საკუთარ ქვეყანაში უკეთ იცნობდნენ და მეტად აფასებდნენ. ზურაბ კაპანაძის სახელს კი აშკარად დავიწყების ფარდა გადაეფარა, მისი ხსენება არსად ჭაჭანებს. ინტერნეტსივრცეშიც მწირი ინფორმაცია იძებნება მასზე, საიდანაც ვერავინ გაიგებს, რომ საქმე გვაქვს ეპოქალურ და გვერდუფელ ქართველ ხელოვანთან, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა თავისი დროის მხატვრულ–სააზროვნო პროცესზე.

ერთ სტატიაში შეუძლებელია მიახლოებითაც კი აწყო და შეაფასო ზურაბ კაპანაძის ჭეშმარიტი ღირებულება. თანამედროვე ქართული ხელოვნების მკვლევრები ნამდვილად ვალში რჩებიან ზურაბ კაპანაძის წინაშე, რომელიც ძალზე მორიდებული პიროვნება იყო და არ მიეკუთვნებოდა სახელის მაძიებელ მხატვართა რიცხვს. სამხატვრო აკადემიის პროფესორს და სიცოცხლეშივე აღიარებულ მხატვარს ნამდვილად არ გაუჭირებოდა პერსონალური გამოფენის გამართვა, ალბომის ან კატალოგის გამოცემა. მას კი ასეთი რამ აზრადაც


არ მოსვლია.

მას ყოველდღიური შრომა და ფიქრი ყველაფერს ერჩივნა, ამაში პოულობდა შეგებას და ბედნიერებასაც. ის ხელოვნებისთვის ბოლომდე შეწირული კაცი იყო. აი იმგვარი, როგორც ეს ამერიკელ პოეტსა და ფილოსოფოსს რალოფ ემერსონს წარმოუდგენია: „მხატვარმა მთლიანად უნდა შესწიროს თავი ხელოვნებას, როგორც ფუტკარი თმობს სიცოცხლეს ნესტართან ერთად“.

ზურაბ კაპანაძე, როგორც საბავშვო ჟურნალ „დილის“ მთავარი მხატვარი, უზარმაზარ როლს ასრულებდა ამ უპოპულარესი გამოცემის ვიზუალურ სრულყოფაში. გარდა იმისა, რომ იგი უამრავ კოლეგას იკრებდა ჟურნალის გარშემო, ყოველ ნომერში მისი რამდენიმე ილუსტრაცია იყო მოთავსებული. რა დასაწინაა, რომ კომუნისტების ეპოქაში მხატვარს გამომცემლობები ნამუშევრის ორიგინალებს უკან არ უბრუნებდნენ და საკუთარ საცავებში ინახავდნენ. ამ მიზეზით ზურაბ კაპანაძის ასეულობით მხატვრული ნიმუშის ასავალ-დასავალი დღემდე არავინ უწყის, მაგრამ მადლობა უფალს, რომ არსებობს ეროვნულ ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ბეჭდური პროდუქცია მის მიერ გაფორმებული წიგნების, ჟურნალების, პლაკატების, აფიშების, ბუკლეტების და კალენდრების სახით. ეს არის უზარმაზარი საკვლევი მასალა, რაზეც ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა იმუშაონ.

ზურაბ კაპანაძე მარტო საბავშვო მწერლობის ილუსტრატორი არ ყოფილა, ის აფორმებდა სადიდო ლიტერატურასაც. ამასთან, მან დეკორატიულ-გამოყენებით ჟანრშიც თქვა თავისი ახალი სიტყვა. იმ დასშულ სივრცეში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, სწორედ რომ დიდ გაბეულებას ნიშნავდა ასეთ რამეზე ფიქრი და მითუმეტეს, პრაქტიკულად განხორციელება. ფაქტობრივად, ეს იყო ანტისაბჭოთა ხელოვნება. მან კი არქიტექტორ გიორგი ჩახავასთან ერთად შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა.

პირველად იყო ბათუმის კაფე „რვაფეხა“. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში მანამდე მსგავსი არაფერი გვენახა. ჩვენ, აღნიშნული კაფეს მხილველნი, ვცხოვრობდით საბჭოთა სინამდვილეში და თითქოს არც ვიყავით საბჭოთა კავშირში. ეს უჩვეული ფორმები, ეს ხასხასა ფერები სრულიად მოუღებელი იყო საბჭოთა ესთეტიკისთვის. თავისუფლების სულის სიმღერად მიიჩნია იგი იმთავითვე საზოგადოებრიობამ. ბათუმის ბულვარის მთავარ სამკაულს „რვაფეხას“ ხალხმა „ფანატაზიაც“ შეარქვა, იმხანად ეს მართლაც ფანტაზიის სფეროდან იყო. მერე, ოცი წლის შემდეგ, ბარსელობაში, გრუელ პარკში, ანტონიო გაუდის ანსამბლი რომ ვნახე, უნებურად გამახსენდა ბათუმის ბულვარის



ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად

მშენებელს. მართალია, გაუდის დარი გენიოსი საქართველოს არ ჰყოლია, მაგრამ გიორგი ჩახავასა და ზურაბ კაპანაძის სახით გამოგვიჩნდა ნოვატორთა ტანდემი, რომელმაც ახალი სუნთქვით და ენერგიით აავსო საქართველოს ამერ-იმერი.

ალბათ გახსოვთ ასეთი გამონათქვამი: „ბავშვებისთვის უნდა წერო ისე, როგორც დიდებისთვის, ოღონდ ცოტა უკეთესად“. ზურაბ კაპანაძე ბავშვებისთვის ხატავდა, როგორც დიდებისთვის და ცოტა უკეთესად!

იგი ფენომენალური ნიჭის მხატვარია, მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათით. ყველა ერს ხომ გააჩნია თავის ჰაბიტუსი და იშვიათია ქართველი მხატვარი, ვისაც ასე ღრმად და ორგანულად ეგრძნოს და გადმოეცეს ქართული ფიზიონომია და ჰაბიტუსი. ამიტომ ვამბობდი ზემოთ, რომ ის არის საკვანძო ხელოვანი, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევ. მისგან სწორედ რომ ბევრი რამის შეთვისება შეიძლება. აქ წამოჭრილ ეროვნულობის საკითხს ხელოვნებაში თავის დროზე ყურადღება მიაპყრო გენიალურმა თეატრალურმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა. 1915 წელს წაკითხულ ლექციაში – „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ – ის ასეთ რამეს ამბობდა: „ქართველ კაცზე ლამაზ მოსიარულეს, ბუნებრივი პროპორციით შეძკულ მოძრაობის მქონეს ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს დედამიწის ზურგზე. ქართველი დადის საუცხოოდ, ფეხს სდგამს გაბეულებად, და არა ჩლონგად, მოშვებულად... მთელი კორპუსიც გადააქვს თავისუფლად, სწორად, ოდნავი რხევით... ქართველს ფეხი გაშლილი დააქვს... მე მყავს სახეში მდებრი ხალხი, ჩვენი გლეხკაცობა. მიგიქცევიათ ყურადღება ჩვენი გლეხკაცისათვის. როცა ის, მაგალითად, ხელს გართმევთ, ტანს რა მოძრაობას აძლევს? ქართველი წელს მხრებში კი არ ხრის, ე.ი. კი არ იკუზება, როგორც ჩრდილოეთის მცხოვრებლებმა იციან. წელგამოშლილი სრულიად მთელ კორპუსს ოდნავ თქვენსკენ ხრის, – ფეხები გაშლილი, გაჭიმული



„შუმანიკის წამების“ ილუსტრაცია

უღვას და კისერი ხერხემალთან პერპენდიკულარულად უჭირავს. ქართველის მოძრაობა ბუნებრივად ესთეტიკურ კანონებს ემორჩილება. ლერწამივით ახოვანი ქართველის მოძრაობა – წმინდა რიტმული მუსიკაა.“

შეხედეთ ზურაბ კაპანაძის ილუსტრაციებს, მის მიერ შექმნილი სხეულების პლასტიკა სწორედ რომ რიტმულ მუსიკას ქმნის. ამასთან, ახასიათებს მონუმენტურობა და სკულპტურის მხატვრული ეფექტი. ერთხელ თუ იხილავ, შეუძლებელია მათი გადავიწყება. ამიტომაც იყო იგი გავლენიანი ხელოვანი თავის და მომდევნო თაობის მხატვრებში. მისი მიგნებები და მონაპოვრები დღემდე უზვად კვებას და ამარაგებს არაერთ ქართველ მოქანდაკეს, ფერმწერს, გრაფიკოსს, ჭედური ხელოვნების ოსტატს. სამართლიანობა ითხოვს, სათანადოდ იქნას შესწავლილი და შეფასებული მისი ნოვატორობა და შესამჩნევი გავლენა.

მართლაც, ამოუწურავია ზურაბ კაპანაძის მხატვრული მემკვიდრეობა და მას შეუძლია კვლავაც სასარგებლო სამსახური გაუწიოს მომავლის მხატვრებსაც. ზურაბ კაპანაძე პირველი მხატვარი იყო უზარმაზარი საბჭოთა კავშირიდან, ვინც იტალიის ქალაქ კატანიაში გამართულ ტურისტული პლაკატების საერთაშორისო კონკურსზე, 1979 წელს, ორი გრან-პრი დაიმსახურა. იმხანად, როცა ტურიზმი ჩვენში წამყვანი სფერო არ ყოფილა, შესაბამისად, მისი პოპულარიზაციისთვის არც ტრადიცია არსებობდა და არც მოთხოვნილება.

ქართველმა მხატვარმა კი იმგვარი პლაკატები შექმნა სახელწოდებით „გვეწვიეთ საქართველოში“, რომ მას მთავარი პრიზები მიენიჭა, იმდენად დიდი იყო კონკურსის ჟიურის გოცნება ნაკლებად

ცნობილი საქართველოს ბუნების და ისტორიული ძეგლების ამგვარი ოსტატური ჩვენებით. ზურაბ კაპანაძე არის საქართველოში ტურისტული პლაკატის პიონერი და დღეს, როცა საქართველოს მართლაც აქვს პოტენცია, იქცეს ამ მხრივ წარმატებულ ქვეყნად, ზურაბ კაპანაძის გარჯა და მიღწევები განსაკუთრებით დასაფასებელია. მოსაძიებელი და შესასწავლია მისი პლაკატები, მათი ესკიზები და ვარიანტები. მათ შეუძლიათ ტურიზმის სფეროში დასაქმებულ თანამედროვე მხატვრებსაც სასარგებლო სამსახური გაუწიონ.

ზურაბ კაპანაძეს საბჭოთა კავშირში არსებული ილუსტრაციების ყველა კონკურსის მაღალი ჯილდო აქვს მოპოვებული, ასევე პრესტიჟული პრემიებით აღინიშნა მისი ხელოვნება ბრატისლავაში, ბრიუსელში, კატანიაში. ევროპაში გაცნობის მერე, მას ექვსჯერ მოუვიდა მოწვევა ბოლონიის წიგნის საერთაშორისო ბაზრობიდან. თვითონაც გულით ეწადა იქ გამოფენა. ერთხელაც დაურეკეს ცეკადან (მაშინდელი ცენტრალური კომიტეტი) და უთხრეს, თუ გინდა ბოლონიაში გაგიშვათ შენი ნამუშევრებით, მაშინ კომუნისტურ პარტიაში უნდა მიგიღოთო. არადა, როგორც მისი ქალიშვილი, მხატვარი სოფო კაპანაძე მიყვება: „როგორ ეწადა იქ მოხვედრა და მაინც ვერ აცდუნეს. ასე უსიტყვოდ ჩაიკლა გულში ეს სურვილი“.

ზურაბ კაპანაძის მთავარი შთამაგონებელი იყო საქართველოს ისტორია და ჩვენი მწერლობა, მან იაკობ ცურტაველიდან დაწყებული არაერთი მწერლის ქმნილებების ილუსტრაციები შექმნა, რამდენჯერმე მიუბრუნდა შოთა რუსთაველის პოემას და მისი რამდენიმე გამოცემისთვის შეასრულა დასურათება, თავსართები თუ არმიების კაზმულობა. ქართული წიგნის ისტორიაში საუკეთესოა მის მიერ გაფორმებული: „უბისის მხატვრობა“, „ქართული ხელნაწერები“, „ვარდანანქი“ (ისტორიული რომანი 2 წიგნად), „ხახულის კარედი“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ და „მატიანური“, ირაკლი აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“ და სხვა მრავალი.

ზურაბ კაპანაძეს ძალიან კარგად გამოსდიოდა



თანამოაზრეებთან ერთად მუშაობა. გიორგი ჩახავასთან ერთად მის თანამოაზრეებში იყვნენ: არქიტექტორი ზურაბ ჯალაღანია, მხატვრები: ზურაბ ლეჟავა და ნოდარ მაღაზონია.

მხატვართა და არქიტექტორთა ამ ჯგუფმა გადატრიალება მოახდინა საბჭოთა არქიტექტურასა და დეკორატიულ-გამოყენებით სფეროში. იმხანად მათ „ფუნქციური სკულპტურის“ დამაკვიდრებლებად მოიხსენიებდნენ. ამ ჯგუფმა შეიმუშავა თხევადი მინის ახალი ტექნოლოგია, რომელშიც პატენტიც მიიღო. სწორედ ამ მასალით მოსავდნენ ისინი თავიანთი ფუნქციური ნაგებობა-სკულპტურების ფერად ზედაპირებს. გარდა ამისა, მათ შექმნეს ავანგარდისტული კონსტრუქციული ტექნოლოგია, რომელიც არატრადიციული სიურეალისტური, საბჭოთა ყოფისთვის უჩვეულო და შეუსაბამო ფორმებით ხასიათდებოდა. ქართველ ხელოვანთა ჯგუფმა ამ კონსტრუქციებითა და ფორმებით ააგო ავტობუსის გაჩერებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აფხაზეთში, კერძოდ, გაგრაში, ბიჭვინთასა და სოხუმში. ეს ფუნქციური ნაგებობები ზოგჯერ კიდევ შემორჩა, რაც ნათლად წარმოაჩენს მხატვართა და არქიტექტორთა ამ ჯგუფის გამორჩეულ ტალანტს და არაორდინარულ აზროვნებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მათ მიერ საქართველოს სამხედრო გზაზე, გუდაურთან ახლოს, ფრიალო კლდეზე აღმართული გვირგვინის ფორმის მონუმენტი, რომელიც 12 თაღს ეყრდნობა. ეს გრანდიოზული მოზაიკური პანო ქართული სიამაყის და მშვენიერების თვალცხადი ნიმუშია. დღეს, როცა მისი ავტორები ცოცხლები აღარ არიან, ეს მათი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანების ხსოვნის ძეგლადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ზურაბ კაპანაძის მიმართ გამოვლენილი ასეთი გულგრილობა, მართლაც შეუწყნარებელია, რადგან საგრძნობლად აღარბიებს ეროვნული კულტურის თვალსაწიერს. ოთხ წელიწადში შესრულებული ასე წელი მისი დაბადებიდან და იგი, ვინც მთელი ცხოვრება ქართულ სულიერებას, მის გონსა და მსოფლგაგებას ამდიდრებდა, ნამდვილად ღირსია მიეძღვნას ალბომი, მონოგრაფია, საიუბილეო გამოფენა. ეს ჩვენი კულტურის არნახულ ზეიმად გადაიქცევა. წარმოიდგინეთ 200 წიგნის და ათასობით ჟურნალისა და ნაირგვარი ბეჭდური ექსპონატების ერთად თავმოყრა. ეს იქნება თვალცხადი დასტური, თუ რა უხვი განძი უბოძა საქართველოს ზურაბ კაპანაძემ. მის საუკუნოვან იუბილეზე, 2024 წლამდე, საკმაოდ დრო რჩება და მინდა მჯეროდეს, რომ ამ ვალს პირნათლად მოვიხდით.

ინტერვიუ



„ეს გამოფენა სწორედაც
რომ ჩემი სამყარო
იქნება, ძალიან დიდი და,
ამავე დროს, ისე პატარა,
რომ ხელისგულზე
დავტეკ“...

გორში დაიბადა და ბავშვობის წლებიც იქ გაატარა. ტყუპ ძმასთან ერთად ძღერო-და გორის ვაჟთა გუნდში, სიმღერა მათი განუყრელი თანამგზავრი იყო. ძმების მიერ შესრულებული სიმღერა – „ბერიკატი ვარ“ მე-20 საუკუნის ხალხური სიმღერის ოქროს ფონდში შეიტანეს.

ბავშვობიდან სიმღერასთან ერთად ხატავდა, მაგრამ ბოლოს მაინც ხატვა აირჩია პროფესიად, თბილისის სამხატვრო აკადემია ინტერიერის დიზაინის განხრით დაამთავრა, თუმცა ბოლოს ფერწერაში განაგრძო მუშაობა.

ამბობს, რომ პანდემიის დროს ნაყოფიერად იმუშავა და ყველაზე მეტი ნახატი გაყიდა როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, და სამი ქვეყნიდან შეთავაზებაც მიიღო სხვადასხვა პროექტით.

თბილისში პირველი გამოფენისთვის ემზადება – „სამყარო ხელისგულზე“. – მხატვარ დავით მურაჩაშვილის პერსონა.

– დავიბადე გორში, მყავს ჩემზე 5 წლით უფროსი და და ტყუპისცალი ძმა, დედა პედაგოგი იყო, თუმცა კარგა ხანია პედაგოგად აღარ მუშაობს. მამა დიზაინერია, ძალიან ხანგრძლივი სამუშაო სტაჟით და, მე ვიტყვოდი, უნიჭიერესი ადამიანი თავის პროფესიაში. რაც თავი მახსოვს, ჩვენს სახლში მუდმივად იყო სამუშაო პროცესი, ფანქრები, საღებავები, ტილოები, სახაზავები და მამაჩემის ხელოვანი მეგობრები. ეს ძალიან კარგი დრო იყო. ბავშვები ყველაფერს ინტერესით აკვირდებიან და მეც სულ მაინტერესინდა, როგორ ოსტატურად გამოჰყავდა მამაჩემს ხელით ასოები, ლოგოები, ნახაზები. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო.

დღეაჩემი მკაცრი, მაგრამ ამავე დროს კეთილი და სამართლიანი ადამიანია, რომ არა მისი შეუვალი სიმკაცრე სწავლა-განათლების მიმართ, ჩვენ სიმღერა და ხატვა კი არა, ეზოდან ვერ ამოგვიყვანდა ადამიანი ერთთავად ბურთს დავდედვით.

– ხალხური სიმღერის ვაჟთა კაპელა „ქართლში“ მღეროდით, ყველაზე პატარა წევრები თქვენ და ტყუპი ძმა თემური იყავით. სწორედ თქვენი შესრულებით სიმღერა „ბერიკაცი ვარ“ მე-20 საუკუნის ხალხური სიმღერის ოქროს ფონდში შეიტანეს. 90-ინ წლებში გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ჩამოყალიბდა ვაჟთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელიც იყო გიორგი საძაგლიშვილი – უნიჭიერესი და უკარგესი ადამიანი. გამოცხადდა კონკურსი 6-დან 14 წლამდე ვაჟებისთვის და შეიკრა ძალიან კარგი გუნდი. ყველაზე უმცროსები – 6 წლის ასაკის, ვიყავით მე და ჩემი ძმა.

ყველას გახსოვთ, ეს რა დრო იყო, არ იყო შუქი, გაზი, იყო ტალონები, მაგრამ ვიყავით ჩვენ – მომღერალი ბიჭები, ვმღეროდით სხვადასხვა ქალაქში, გამოვდიოდით კონცერტებით, კონცერტებს ემართავდით თბილისში, ჩაწერები გვქონდა ტელევიზიაში, ახლა მიკვირს, ჩვენი გიორგი საძაგლიშვილი ამდენ რამეს როგორ ახერხებდა – პლუს 40 „არანორმალური“ ბავშვი.

მე და ჩემს ძმას სიმღერა ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაგვექცა, ვმღეროდით ყველგან. როცა ჩვენი სახლიდან ჩვენი სიმღერის ხმა გადიოდა, ფანჯრებთან ხალხი ჩერდებოდა და გვისმენდა. მერე ან ჩვენ, ან ოჯახის რომელიმე წევრს ეტყოდნენ, რომ ჩუმად გვისმენდნენ.

ასეთი იყო ჩვენი ბავშვობა, არეულობა ქვეყანაში, სიბნელე, სიცივე, მაგრამ ბევრი სიმღერა. მერე მოგვისმინა ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა და ასე ჩაიწერა ხალხური სიმღერის ოქროს ფონდისთვის ჩემი და ჩემი ძმის მიერ შესრულებული სიმღერა – „ბერიკაცი ვარ“.

მამინ 12 წლისანი ვიყავით, რომ გითხრათ, რამე ემოცია გვქონდა-მეთქი, მოგატყუებთ, არანაირი ემოცია არ გვქონდა, გაგვიხარდა, სულ ეგ იყო, საერთოდ, როცა უცნობი და ნაცნობი ადა-

მიანები ქუჩაში გვხვდებოდნენ, გვაქებდნენ და გვეფერებოდნენ, მეც და ჩემი ძმაც ყოველთვის უხეხულობას ვგრძნობდით. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ როცა ვინმე მაქებს, ახლაც ასე ვარ.

– **ბავშვობიდან სიმღერასთან ერთად ხატავდით, მაგრამ ბოლოს მაინც ხატვა აირჩიეთ პროფესიად, თბილისის სამხატვრო აკადემია ინტერიერის დიზაინის განხრით დამთავრეთ, თუმცა ბოლოს ფერწერაში განაგრძეთ მუშაობა. პირველი ნახატები...**

– ძალიან ბევრ ადამიანს გაუკვირდა, როცა პროფესიის არჩევის დრო დადგა და სამხატვრო აკადემია ავირჩიეთ, მანამდე უკვე დამთავრებული გვაქვს სამხატვრო სკოლა და ვსწავლობთ მუსიკალურ სასწავლებელში, საგუნდო-სადირიუქორო განხრით. არჩევანია გასაკეთებელი და ვირჩევთ ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტს, ყოველგვარი მომზადებისა და რეპეტიტორების გარეშე, სპონტანურად. მამაჩემმა ჩაგვიტარა ორივეს 2 თუ 3 გაკვეთილი, სულ ეგ იყო. ორივე ძმა ვხდებით სტუდენტები, პარალელურად ვიწყებთ სიმღერას ანსამბლ „ერისიონში“.

ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა სიხარულით მიგვიღო, მაგრამ ამ ანსამბლს თავისი სამუშაო განაკვეთი ჰქონდა 12-დან 5 საათამდე, ჩვენ კი სტუდენტები ვიყავით და არანაირად არ გვიხერხებოდა, ორივეს გავწვდენოდით და გარკვეული პერიოდის მერე ანსამბლისთვის თავის დანებებამ მოგვიწია. ასე შემოვრჩით ხატვას და დიზაინს.

დღეაჩემს ახლაც შენახული აქვს ჩემი პირველი ნახატები, რომელიც ფანქარში შევასრულე, რაც შეეხება საღებავით ხატვას, ერთი საინტერესო ამბავი მოხდა – 12 თუ 13 წლის ასაკში ავად გავხდი და წოლითი რეჟიმი დამინიშნეს. 40 დღე უნდა ვწოლილიყავი.

ლოგინში რომ გავეჩერებინე, დღეაჩემმა წიგნები, მუყაოსმაგვარი რაღაც მასალა (მამაჩემის მასალებიდან) და ზეთის საღებავები მომცა და მითხრა, რომ 3 წიგნი მაინც უნდა წამეკითხა და რამდენიც გამიხარებოდა, იმდენი ნახატი დამეხატა, 3 წიგნიც წავკითხე და 3 ნახატი დავხატე პირველად ზეთში, ეს სამივე ნახატი ახლაც დღეაჩემთან ინახება, ხოლო თეთრეული, რაშიც ვიწექი, ისე იყო საღებავებით დასვრილი, რა თქმა უნდა, გადასაყრელი გახდა..

– **მუსიკის ფონზე ხატავთ... მხატვრობაშიც სხვადასხვა მიმდინარეობა გაინტერესებთ. და მაინც, რომელს ანიჭებთ უპირატესობას შემოქმედებაში?**

– ვინც ჩემს ნახატებს გადაავლებს თვალს, მიხვდება, რომ თითქმის ყველა მიმდინარეობა მოვსინჯე, ვერ გეტყვით, როგორ, ან რა დროს რა მიმდინარეობას ვირჩევ, წინასწარ არასოდეს არ ვაკეთებ ჩანახატს, ესკიზს, არ ვმუშაობ ფანქარში, არაფერს ვგეგმავ, მომინდა ხატვა? ვდგები, ვიღებ ტილოს, საღებავს, ფუნჯს, ვრთავ მუსიკას, ძირითადად, ქართულ ხალხურს, ან იტალიურს და

მერე რა ხდება, ვერ გეტყვით, ჩემი ფუნჯი თვითონ „არჩევს“ „მიმდინარეობას“, თვითონ „ხატავს“, ფერებსაც თვითონ „ადებს“, მე მხოლოდ ფუნჯი მიჭირავს. გიკვირთ? გარწმუნებთ, ასეა, შეიძლება ერთ დღეში სამი ნახატი დავხატო, შეიძლება ერთი კვირა, ან სულაც ერთი თვე – გაჩერდე.

– **პანდემიის დროს ყველაზე მეტი ნახატი გაყიდეთ. რა შეცვალა თქვენში, შემოქმედში პანდემიამ და კარანტინმა?**

– ყველაზე მეტი ნახატი პანდემიის დროს გაყიდე როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, პანდემია და კარანტინი, რა თქმა უნდა, კარგი არ არის, მაგრამ ჩემთვის დეპრესიის საბაბი არ მოუცია.

ნაყოფიერად ვიმუშავე, სამი ქვეყნიდან შემოთავაზება მივიღე სხვადასხვა პროექტით და რაც მთავარია, ჩემთვის ყველაზე მეტად სასიხარულო მოვლენა იყო – ჩემი ტყუპი ვაჟის შეძენა.

– **„სამყარო ხელისგულზე“ – გამოფენისთვის ემზადებით. რით იქნება ეს გამოფენა სხვა გამოფენებისგან განსხვავებული?**

– ეს იქნება ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. გამოფენა სწორედაც რომ ჩემი სამყარო იქნება, ძალიან დიდი და, ამავე დროს, ისე პატარა, რომ ხელისგულზე დავტევ და ჩემი შემოქმედების დამფასებლებს და შემფასებლებს მივუძღვნი.

– **მუშაობდით ტიხრულ მინანქარზე, ასევე შექმენით რამდენიმე ნამუშევარი უცნობი ტექნიკით, რომელსაც მამა იყენებდა ღიზინზე მუშაობის დროს რატომ აღარ გააგრძელეთ მინანქარზე და ხსენებულ მხატვრულ კომპოზიციებზე მუშაობა?**

– ამ გამოფენაზე მინდა ასევე ერთი კუთხე მივუძღვნა აპლიკაციით შესრულებულ ნამუშევრებს, ეს ტექნოლოგია მამაჩემის მიზაძვით ვისწავლე, მასალად ვიყენებ ფერად წებვად ქალაღლს (ორაკალს), ფერად ორგმინას და იარაღად საკანცელარიო დანას. ასეთი ტექნოლოგიით შესრულებული ნამუშევრები დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს. ალბათ დრო მოვა და ისევ გავაგრძელებ აპლიკაციაზე მუშაობას, ახლა ფერწერით ვარ დაკავებული.

მიმუშავია მინანქარზე, საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ჩარჩოები არ მიყვარს, თუ მინანქარზე შაბლონურად ჩამოსხმული ვერცხლით, ე.წ. ლიწით არ მუშაობ, ნამუშევარი ძვირდება, ჩვენი ბაზრისთვის კი ფასებია ძირითადი მამოძრავებელი.

თუმცა როცა მინანქარზე აქტიურად ვმუშაობდი, საფრანგეთიდან მქონდა კარგი შეკვეთა ექსკლუზიურად გულსაბნევეებზე და ბეჭდებზე, ჩემი ნამუშევარი მინანქარიანი სამკაული რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვინმეს რომ დაუვნახო, აუცილებლად ვიცნობ, რადგან ერთი და იგივეს არასოდეს ავიმეორებდი.

მართალი რომ გითხრათ, კარგა ხანია არ მიმუშავია, თუმცა იარაღები და ქურა ისევ მწყობრში მაქვს, თუ ხასიათზე დავდექი, ისევ გავასურებ ქურას და ახალ სამკაულებს შევქმნი. მხოლოდ რამდენიმე ცალი შემომრჩა და დედაჩემს აქვს სათუთად შენახული.

– **პობი...**

– ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ცხოველები, ბუნება, ფეხბურთი, ბავშვობაში მახსოვს დედაჩემის მეგობარი საფეხბურთო სკოლის დირექტორი იყო და ყველგამოწვდილი დასდევდა დედაჩემს, ეს ბიჭები ფეხბურთისთვის არიან გაჩენილები და რა სიმღერა და ხატვა აგიტყდა, ვერა ხედავ, რა მონაცემები აქვთო? აბა, დედაჩემს მაგას ვინ დააჯერებდა, ყველაფერს ხედავდა ჩვენში ფეხბურთელის გარდა. მიყვარს თევზაობა, როცა ჩვენ სამივე, მამაჩემი, ჩემი ძმა და მე სათევზაოდ მივდივართ, ეგ არის ჩვენთვის დღესასწაული, ახლა ჩვენს სამეულს ჩემი 10 წლის ძმისშვილიც შემოუერთდა, საერთოდ, ჩვენი ოჯახის ყველა მამაკაცს გამორჩეულად უყვარს ფეხბურთი და თევზაობა, ეს უდავო ფაქტია.

– **დიდი ოჯახის წევრი ხართ...**

– როცა ახალ ნახატს დავხატავ, პირველ რიგში ჩემს დასთან ვაგზავნი, რომ შემეფასოს. უცნაური ის არის, რომ ჩვენს ოჯახში მხოლოდ ორი ადამიანი არ არის ხელოვანი, ჩემი და და დედაჩემი, მაგრამ ჩვენთვის, ყველასთვის, მათი აზრი ყველაზე მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია და თქვენ წარმოიდგინეთ, არასოდეს არ ცდებიან, არც ხატავენ, არც მღერიან, მაგრამ მაინც ყველაფერი იციან.

დიდი ოჯახი მაქვს და ეს დიდი ბედნიერებაა, ერთის სიხარული ყველას სიხარულია და ერთის გაჭირვება, ყველას გაჭირვება. დედაჩემი მუდმივად გვიმეორებდა ყოველთვის, რომ ოჯახი ადამიანისთვის ყველაზე დიდი ნაცსაყუდელია. და ადამიანი მაშინ არის ძლიერი, თუ ოჯახი ერთიანი და მჭიდროა. რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაფერი კარგად არ არის და ეს ბუნებრივია, მაგრამ მთავარია, ყველა პრობლემას ერთობლივად ვწყვეტთ.

– **სამომავლო გეგმები...**

– უკვე აღვნიშნე, რომ სამი ქვეყნიდან მაქვს შემოთავაზება, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან და ლუბაიდან სხვადასხვა პროექტზე, ახალი გეგმები და პროექტები მაქვს კიდევ და ჯერ არ გავამხელ. საერთოდ ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება ჩვენს პლანეტაზეც, ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენს სახლებშიც. გადაივლის ეს პანდემია, გაიხსნება საზღვრები, ისევ დაპატარავდება მსოფლიო, ისევ ვნახავთ ქუჩაში მომღიმარე ადამიანებს პირბადის გარეშე და პანდემიით გამოწვეული ეს უხერხული და შოკისმომგვრელი ცხოვრება მხოლოდ ცუდი სიზმარივით გაგვასხნდება.



ყელსაბამი

ქალიშვილი ლამაზი და მომწუსხველი იყო. ბედისწერის შეცდომით, უბრალო მოხელის ოჯახში გაჩენილიყო. მას არ ჰქონდა სიმდიდრე და, ამდენად, არც იმედი, რომ სხვა ღირსებების ხელშეწყობით ცნობილ პიროვნებად იქცეოდა, ან დაქორწინდებოდა მაინც მდიდარ და გამოჩენილ კაცზე. ამიტომ ბედს დაემორჩილა და ცოლად გაჰყვა სახალხო განათლების სამინისტროს ერთ რიგით მოხელეს.

ასეთი ყოფისთვის ის მზად არ აღმოჩნდა და, უბედური, მორალურად დაეცა, თითქოს ცხოვრებიდან გააუქმესო.

როდესაც ქალებს არ გააჩნიათ მაღალი წრე და დიდგვაროვნება, მათი მშვენიერება, გრაცია და მომხიბვლელობა ოჯახის მოახლეობას ეწირება. ასეთ ქალებს მხოლოდ მგრძნობიარე ნატურა და ინსტინქტური ელემენტურობა აძლევთ შანსს, რომ ხალხის თვალში დიდებულ ქალბატონებს გაუთანაბრდნენ. ასეთი ქალები მტკივნეულად განიცდიან კომფორტისა და დელიკატესების უქონლობას, იტანჯებიან თავიანთი სიღატაკისა და სიბეჩავის გამო. აწამებთ საკუთარი საცხოვრებელი ბინის უბადრუკი კედლები, გაქუცული სავარძლები, საძაგელი ფართლესი.

ერთი სიტყვით, მაღამ ლუაზელს სტანჯავდა და აწამებდა ის ყოველივე, რასაც მისი წრის ქალები ვერც კი ამჩნევდნენ.

პატარა ბრეტონელის შესახედაობა, რომელშიც უკვე ღიასახლისის გამოვლიდა, გამოხატავდა მჭიმუნვარე სასოწარკვეთას დაკარგულ ოცნებათა გამო. მას ეზმანებოდა აღმოსავლური შპალერით დამშვენებული მყუდრო ჰოლი, განათებული ბრინ-



ფრანგულიდან თარგმნა
მარინა გოგოლაშვილმა

ჯაოს მაღალი ბრებით, თბოგამტარის მომთენთავი სითბოსაგან ფართო სავარძლებში ჩაძინებული ორი მოკლერეიტუზიანი მოსამსახურე.

ქალი ოცნებობდა აღმოსავლური ავეჯით გაწყობილ, ფასდაუდებელი სამშვენიესებით მორთულ ფართო სასტუმრო ოთახზე, აგრეთვე, პატარა, სურნელოვან, მოხდენილ სალონზე, რომელშიც ხუთ საათამდე წაისაუბრებდა უახლოესი მეგობრების, ნაცნობი მამაკაცების წრეში და, ნატიფს, დახვეწილს, ყველასაგან გამორჩეულს, შენატრებდნენ სხვები.

როდესაც სადილად ქმრის პირისპირ მრგვალ მაგიდას მიუჯდებოდა, რომელზეც სამი ღლის აულებელი სუფრა ეფარა, მეუღლე საწვენს სახურავს ახდიდა და აღტაცებით დეკლამატორობდა:

„აა, გემრიელი თათარიანნი, თითებს ჩაიკენეტს კაცი“!

ქალი კი ნატიფ კერძებზე, ვერცხლის მზინავ სერვიზზე ოცნებობდა. კედელზე გაკრული შპალერი მის ოცნებაში ძველი პერსონაჟების სახეებითა და ზღაპრულ ტყეში მონავარდუ უცხო ფრინველებით იხატებოდა.

მას ენატრებოდა საუცხოო ჭურჭლით მორთმეული კერძები, რომელთაც თავაზიანი ჩურჩულით შესთავაზებდნენ და თავად კი სფინქსის ღიმილით მოისმენდა. სადილად სურდა ჰქონოდა: რბილი ხორცი, ვარდისფერი კალმახი ან ტყის ქათმის ფრთა.

ქალს სულ არაფერი გაჩნდა — არც ბუდუარი, არც სამკაულები. არადა მას მხოლოდ ეს უყვარდა.. გრძნობდა, რომ მხოლოდ ამისთვის იყო შექმნილი. ო, როგორ სურდა, რომ ყოფილიყო

სასურველი, მომავადობელი და გამორჩეული.

მას ჰყავდა მდიდარი მეგობარი, რომელთანაც მონასტერში გატარებული წლები აკავშირებდა და რომლის მოსანახულებლად წასვლა აღარც კი სურდა, რადგანაც სახლში დაბრუნების შემდეგ განუზომლად იტანჯებოდა.

და მთელი დღეების განმავლობაში ტიროდა – ნაღვლიანი, მკშუნვარე, სასოწარკვეთილი და კაემნიანი.

* * *

ერთ საღამოს ქმარი სამსახურიდან გაფხორილი დაბრუნდა. ხელში დიდი ფუთა ეჭირა.

„გამომართვი, – უთხრა. – აი, მოგიტანე“.

ქლმა ფუთას ქალღიმი სხარტად შემოაცალა და ამოიღო დაბეჭდილი ბარათი, რომელზეც ეწერა: „მუსიე სახალხო განათლების მინისტრი და მადამ ჟორჟ რამპონეები მუსიე და მადამ ლუაზელებს თვლიან თავიანთი პატივისცემის ღირსად და ორშაბათს, 18 იანვარს, საღამოს გასატარებლად მინისტრთან ეპატიჟებიან“.

ქმარი ზუსტად ასეთ რეაქციას ელოდა – ქალმა ბარათი მაგიდაზე მდგარ პატარა ლანგარზე მოისროლა და ნაწყენმა ჩაიბუტბუტა:

„ამით გინდა, მომხიბლო“?

„ძვირფასო, მეგონა, გაგაბედნიერებდი. შენ ხომ სტუმრად არასოდეს დადიხარ? ჰოდა, ახლა მშვენიერი შანსი გეძლევა. უზომოდ მინდოდა, ამისთვის მიმეღწია. ეს ყველას სურს, მაგრამ ბევრი ვერ ახერხებს. იქ ხომ მაღალი საზოგადოება შეიკრიბება“.

ქალი მეუღლეს მრისხანებაჩაგუბებული მოჭუტული თვალებით უცქეროდა. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ჰკითხა:

„შენი აზრით, ასეთ წვეულებაზე რა უნდა ჩავიცვა“?

კაცს ამაზე არ უფიქრია, ამიტომ ძლივს გასაგონად ამოილულულა:

„ის კაბა, რომლითაც თეატრში დადიხარ. მეგონა, რომ ძალიან კარგია“.

კაცი გაჩუმდა და თავის ატირებულ ცოლს მიაჩერდა: თვალის უბებიდან ტუჩის კუთხეებისაკენ ორი მსხვილი კურცხალი ნელა მოცურავდა. კაცი კი ენის ბორძიკით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „რ დაგემართა? რა დაგემართა“?

ქალმა თავს ძალა დაატანა, საკუთარ განცდებს ლაგამი ამოსდო, სველი ღაწვები შეიმშრალა და მშვიდად მიუგო:

„არაფერი. უბრალოდ, შესაბამისი ჩასაცმელი არ მაქვს და, ამდენად, საზეიმო საღამოზე წამოსვლაც არ შემიძლია. ეს მოსაწყვევი კოლეჯის მოსწავლე რომელიმე გოგონას მიეცა, სათანადოდ გამოწყობას

ის ჩემზე უკეთესად მოახერხებს“.

უნუგემო, გაუხარელი კაცი ხელახლა ალაპარაკდა:

„მატილდა, ენახოთ, რა ღირს ერთი რიგიანი კაბა, რომელიც, შეიძლება, სხვა დროსაც გამოგადგეს. ამაზე ადვილი რა არის“?

ქალი რამდენიმე წუთს ჩაფიქრდა. გაიანგარიშა თანხა, რომელიც მომჭირნე ეკონომის გაკვირვებული წამოძახილისა და დაუყოვნებელი უარის მიღების გარეშე შეეძლო მოეთხოვა, ბოლოს მერყევი, გაუბედავი ხმით ამოთქვა:

„ოთხასი ფრანკი რომ მქონდეს, შევძლებდი გამოწყობას და საღამოზეც წამოვიდოდი“.

კაცი ოღნავ გაფითრდა. თოფის საყიდლად ზუსტად ეს თანხა ჰქონდა გადანახული. მომავალი ზაფხულის რომელიმე კვირას, რამდენიმე მეგობართან ერთად, ნანტერის ტრამალზე ტოროლებზე სანადიროდ გამგზავრებას აპირებდა მაგრამ მაინც თქვა:

„კარგი, ასე იყოს, მოგცემ ოთხას ფრანკს და ეცადე, ლამაზი კაბა შეიძინო“.

* * *

დღესასწაული ახლოვდებოდა. მადამ ლუაზელი თითქმის მზად იყო, მაგრამ მაინც შეწუხებული ჩანდა.

ერთ საღამოს ქმარმა ჰკითხა:

„როგორ ხარ? ამ სამი დღის განმავლობაში რაღაც უცნაურად გამოიყურები“!

ქალმა მიუგო:

„სამკაულის უქონლობა მდარდებს, ერთი ძვირფასი ქვაც კი არ გამაჩნია. იქ ყველაზე ბეჩავად მე გამოვჩნდები, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ არ წამოვალ“.

ქმარი შეეპასუხა:

„შენც ბუნებრივი ყვავილები დაიბნე, ძალიან მოღურია ამ სეზონზე. ორი-სამი ცალი საუცხოო ვარდი ათ ფრანკად შეგიძლია შეიძინო“.

ქალს ამის გაგონებაც არ სურდა:

„არა არაფერია უფრო დამამცირებელი, ვიდრე მდიდარ ქალებში ბეჩავად ყოფნა“.

უეცრად ქმარმა წამოიძახა:

„რა სულელი ხარ! შენი მეგობარი მადამ ფორესტიე მოძებნე, საკმაოდ ახლოს ხარ მასთან და უარს არ გეტყვის, გათხოვოს სამაკულები“.

ქალს სიხარულის ყიჟინა აღმოხდა:

„მართალია, საფიქრალი აღარაფერი მაქვს“!

* * *

მადამ ლუაზელი მეგობართან მეორე დღესვე გაემგზავრა და თავისი გასაჭირი შესჩივლა.

მადამ ფორესტიემ სარკის უჯრიდან მოზრდი-

Maupassant *La Parure*



Libretti
1.50 €
Le Livre Poche

ლი ზანდუკი გამოიღო, მაღამ ლუაზელს გაუხსნა და უთხრა:

„ამოირჩიე, ჩემო ძვირფასო“.

მაღამ ლუაზელმა დაათვალიერა სამკაულები: მარგალიტის მძივი, ვენეციური ოქროს ჯვარი და სხვა შესანიშნავი ნაკეთობები. ყელსაბამები სარკის წინ მოიზომა, ვერ გადაეწყვიტა, რომელი ამოერჩია, თან განუწყვეტლივ კითხულობდა:

„სხვა აღარაფერი გაქვს“?

„რომ არ ვიცი, რა შეიძლება მოგეწონოს? კარგად მოძებნე!“

უეცრად ქალმა ატლასის შავ კოლოფში ბრილიანტის ყელსაბამი აღმოაჩინა. თავმუშევრული წადილისაგან მაღამ ლუაზელს გული აუჩქარდა. ფარღული ხელებაკანკალებულმა ჩაბლუჯა, თავის დახურულ კაბაზე მიიზომა, ყელის გარშემო შემოიხვია, ექსტაზით ანთებული მეგობრის წინ გაჩერდა და, კაეშნით სავსე უიმედო ყოყმანით შეეძუღარა:

„შეგიძლია, მათხოვო? ეს და სხვა არაფერი“...

„რა თქმა უნდა, რასაკვირველია!“

ქალი მეგობარს კისერზე ჩამოეკიდა, მხურვალედ გადაეხვია და შემდეგ თავის განძთან ერთად შინისკენ მოკურცხლა.

იმ საზეიმო საღამოზე მაღამ ლუაზელმა წარმატებას, მართლაც, მიაღწია.

ის იყო: ყველაზე ლამაზი, ელეგანტური, გრაციოზული, მომღიმარი და სიხარულისგან ერთიანად გაბრწყინებული.

მამაკაცები მხოლოდ მას შესცქეროდნენ, სახელს ეკითხებოდნენ, მის გვერდით ყოფნას ცდილობდნენ. მასთან ვალსის ცეკვა მინისტრის

კაბინეტის ყველა ატაშეს სურდა. მინისტრმაც კი შეამჩნია.

ქალი აღტაცებით ცეკვავდა და თავისივე ცეკვით თვრებოდა. საკუთარი მშვენიერების ამ ტრიუმფით გაბრუებული აღარაფერზე ფიქრობდა. წარმატებით გაამაყებული, ბედნიერების ღრუბლებში მყოფი, თითქმის ხელახალი დაბადების გამო მთელს თავის მაღლიერებას გამოხატავდა. ქალის გული კი ამ გამარჯვებას მთლიანად აევსო და დაენახებინა.

წვეულება დილის ოთხ საათზე დატოვა. მის ქმარს, სამ სხვა ბატონთან ერთად, მთელი ღამის განმავლობაში ერთ პატარა, მივარდნილ სალონში ეძინა, სანამ მათი ცოლები მაღამ ლუაზელივით თავდავიწყებით ერთობოდნენ.

დილით მუსიე ლუაზელმა ცოლს მხრებზე ჩვეულებრივი, უბრალო, სამგზავრო მოსასხამი მოასხა, რომელმაც მაღამ ლუაზელის საბალო ელეგანტურ მორთულობაში დისონანსი შეიტანა. ქალმა ეს იგრძნო და ეცადა, იქაურობას სწრაფად გასცლოდა, რათა მისი მოსასხამის უბადრუკობა ბეწვის ძვირფას ქურქებში გამოწყობილ სხვა ქალებს არ შეემჩნიათ.

* * *

ქმარმა მისი შეყოვნება დააპირა:

„მოიცადე, გარეთ გასვლისთანავე შეგცივდება. ახლავე ეტლს მოვიყვან“.

მაგრამ ქალმა ყურიც არ ათხოვა და კიბეები სასწრაფოდ ჩაირბინა.

ქუჩაში მათ ერთი ეტლიც ვერ იპოვნეს. შორს მიმავალ დილიჯანსებსაც ამაოდ უხმობდნენ

სიცივისგან აცახცახებულნი და სასო-წარკვეთილნი სენის სანაპიროსკენ გაემართნენ, სადაც, როგორც იქნა, დაიქირავეს ერთი ძალიან ძველი, ორადგილიანი ღამის ეტლი, რომლის მსგავსსაც პარიზის ქუჩებში დაღამებამდე თვალს ვერ მიჰკრავთ, თითქოს დღის შუქზე თავიანთი სიღატაკის გამოჩენის რცხვენითაო.

ეტლმა ისინი მარტირის ქუჩაზე, თავიანთი სახლის კარამდე, მიიყვანა. ცოლ-ქმარი კიბეებს სევდიანად აუყვია. ქალისთვის ყველაფერი დასრულდა, კაცი კი იმაზე ფიქრობდა, რომ ათ საათზე მინისტრთან უნდა გამოცხადებულიყო.

სარკის წინ ქალმა მოსასხამი მოიძრო, რათა თავისი დიდებულება ერთხელ კიდევ ეხილა, მაგრამ უეცრად ყვირილი აღმოხდა – ბრილიანტის ყელსაბამი მას ყელს აღარ უმშვენებდა.

სანახევროდ გახდილი ქმარი შეეკითხა:

„რა დაგემართა“?

ქალი შემოიღწია სახით შებრუნდა მისკენ:

„მე მე მაღამ ფორესტიეს ბრილიანტის ფარ-

ლული აღარ მაქვს“...

დაბნეულ ქმარს თმა ყალყზე დაუდგა:

„ვისი? როგორ?!.. ეს შეუძლებელია“!

მათ ეძებეს სამკაული კაბის ნაკეცებში, პალტოს ნაოჭებში, ჯიბებში ყველგან, მაგრამ ვერსად იპოვნეს.

„დარწმუნებული ხარ, რომ ბალზე არ დაკარგე“?

„კი. მინისტრის ვესტიბულში მე მას თითებით შევეხე“.

„თუ ქუჩაში დაკარგე, ძირს დაცემის ხმა უნდა გაგვეგო. ალბათ, ეტლში ჩამოგვარდა“.

„კი, ეს შესაძლებელია. ეტლის ნომერი გახსოვს“?

„არა, შენ ხომ არ შეგიხედავს“?..

„არა“!

ისინი თავზარდაცემულები მსჯელობდნენ. ბოლოს მუსიე ლუაზელმა ისევ ჩაიცვა:

„მე მივდივარ. ხელახლა გავივლი გზას, რომელიც გამოვიარეთ, ეგებ, სადმე ვიპოვნო“.

კაცი გავიდა. საღამურში გამოწყობილ ქალს დაწოლის არაქათიც გამოელა ცივ და ჩაბნელებულ ოთახში მდგარ სკამზე მოჭრილივით დაეცა. ფიქრიც კი შეწყვიტა.

* * *

დილის შვიდი საათისთვის ქმარი ხელმოცარული დაბრუნდა.

მან მომხდარის შესახებ განაცხადა: პოლიციის პრეფექტურაში, გაზეთების რედაქციებში, პატარა ეტლების კომპანიაში, ყველგან, სადაც კი შეიძლება გამოთქმულ ვარაუდს, გადაკრულ სიტყვას, რაიმე გუჟანს დანაკარგის პოვნის იმედი გაეჩინა, თან მპოვნელს ჯილდოს ჰპირდებოდა.

უბედურების მოლოდინში დაბნეული და შეძრწუნებული ქალი ქმარს მთელი დღე ელოდა. მუსიე ლუაზელი შინ წონაგამოცლილი სხეულით დაბრუნდა. დასამალი რაღა იყო?!

„საჭიროა, — თქვა მან. — შენს მეგობარს ბარათი მივწეროთ, რომ ვითომ ყელსაბამის შესაკრავი გავიტყდა და უნდა შეაკეთო. ასე დროს მოვიგებთ, რომ პრობლემა როგორმე მოვაგვაროთ“.

ქალმა ქმრის კარნახით დაწერა ბარათი.

* * *

კვირის ბოლოს მათ ყველა იმედი გადაეწურათ. ხუთი წლით დაბერებულმა მადამ ლუაზელმა განაცხადა:

„დაკარგული სამკაულის შესაცვლელად რამე უნდა ვიღონოთ“.

მეორე დღეს ნახეს კოლოფი, რომელშიც ყელსაბამი იდო, მასში იუველიერის გვარს მიაგნეს და

მასთან გაემგზავრნენ. იუველიერმა მათ უთხრა:

„მე ის არ ვარ, მაღამ, ვინც ამ ყელსაბამს ყიდის. მე მთხოვნელი მხოლოდ კოლოფით შემიძლია მოვამარაგო“.

ლუაზელებმა ყველა საიუველიერო მაღაზია მოიარეს, ეძებეს მსგავსი ყელსაბამი, ეცადნენ, აღეღინათ იგი გონებაში, რომელიც მწუხარებისა და დარდისაგან დაბინდოდა.

როგორც იქნა, პალე-რუაილის სასახლის გალერეაში მოთავსებულ საიუველიერო მაღაზიაში მიაგნეს აღმასის ყელსაბამს, რომელიც დაკარგულს ზედმიწევნით ჰგავდა. ყელსაბამი ორმოცი ათასი ფრანკი ღირდა, მაგრამ ოცდათექვსმეტი ათასადაც გაყიდიდნენ.

ისინი იუველიერს შეემუდარნენ, ეს სამკაული სამი დღის განმავლობაში არ გაეყიდა და, აგრეთვე, პირობა ჩამოართვეს, რომ თუ თებერვლის ბოლომდე დაკარგულ ყელსაბამს იპოვნიდნენ, ეს ნივთი ოცდაათოთხმეტ ფრანკად უკან დაებრუნებინა.

მუსიე ლუაზელს თავად ჰქონდა თვრამეტი ათასი ფრანკი, რომელიც მამისგან მემკვიდრეობით ერგო, დანარჩენი კი ვალად უნდა აეღო. ათასი ფრანკი სთხოვა ერთს, ხუთსი — მეორეს, ისესხა ხუთი ლუი — (ფრანგული ოქროს ფული, უდრიდა 20 ფრანკს, — მთარგმნელის შენიშვნა) — აქ, სამი ლუი — იქ; აიღო დიდი ზარალის მომტანი თამასუქი. ყველა ჯურის მეგავსე-გამსესხებელთან დაიჭირა საქმე და, ბოლოს, საკუთარი პიროვნული ღირსებაც კი საფრთხეში ჩაიგდო ისე, რომ არც კი იცოდა, ღირსებას როდისმე თულა აღიდგენდა.

მომავალთან შესაბამელად, შავი სილატაკის დასამარცხებლად, ის შეძრწუნებული მიემართებოდა, რასაც, პერსპექტივაში, მუსიე ლუაზელის მორალური ტანჯვა-წამება და სრული ფიზიკური განადგურება უნდა მოეტანა.

როცა მადამ ლუაზელმა მადამ ფორესტიეს ყელსაბამი დაუბრუნა, ამ უკანასკნელმა შეურაცხმყოფელი გამოძეგვრებით უთხრა:

„შეგეძლო, უფრო ადრეც დაგებრუნებინა. ხომ შეიძლებოდა, ის მეც დამჭირებოდა“.

კიდევ კარგი, მადამ ფორესტიეს კოლოფი არ გაუხსნია. მადამ ლუაზელს მეგობრის ეშინოდა — რას იფიქრებდა, თუ შეამჩნევდა, რომ ყელსაბამი შეცვლილი იყო? რას იტყოდა? ხომ ქურდად ჩათვლიდა?..

* * *

მადამ ლუაზელმა უპოვართა უხამსი ცხოვრება შეიცნო. მან საკმარისად იწვინა და, სხვათა შორის, თავისი წილი ტანჯვა გმირულად აიტანა. საჭირო იყო ამ საზარელი ვალის გადახდა და ისიც

იხდიდა. ლუაზელებმა მოსამსახურე დაითხოვეს, საცხოვრებელი ბინა გამოიცვალეს და სხვების ქვეშ მანსარდი დაიჭირავეს.

ქალმა უხეში საოჯახო შრომის მთელი სიმძიმე იწვნია – საზიზღარი საქმიანობა სამზარეულოში. ის ჭურჭელს რეცხავდა. გაქონილ-გაპოხილი თიხის ქოთნებისა და ქვაბების ხეხვაში თავის ვარდისფერ ფრჩხილებს ცვეთდა. საპნით რეცხავდა ბინძურ თეთრეულს, პერანგებსა და ჩერებს, რომლებსაც შემდეგ თოვზე აშრობდა. ყოველდღე ქუჩაში ნაგავი ჩამოჰქონდა და წყალი აჰქონდა, სულის მოსათქმელად კი ყოველ სართულზე ჩერდებოდა. მემწვანილესთან, ბაყალოთან, ყასაბთან გლეხის ქალივით ჩაცმული დადიოდა, კალათით ხელში შეურაცხყოფილი ვაჭრობდა და გროშებს თითოეული სუს დაზოგვით ინარჩუნებდა.

მათ თამასუქის ღირებულება ყოველ თვე უნდა ეხდათ, რათა ვალი არ განეახლებინათ.

ქმარი მუშაობდა, საღამოთი კი ჩანაწერებში ცხვირჩარგული მოგებას ანგარიშობდა. შემდეგ მთელი ღამე ხუთ სუ გვერდების ასლებს წერდა.

* * *

მათი ასეთი ცხოვრება მთელი ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველა ვალი გაისტუმრეს – გადასახადიც და ვახშის პროცენტიც.

ახლა მადამ ლუაზელი თავს დაბერებულად გრძნობდა, ის უტეხი და ტლანქი გახდა. ცუდად დაეარცხნინილი, მოღრეცილი ბოლოკაბითა და წითელი ხელებით, ხმამაღლა მოლაპარაკე – ლატაკი ღიასახლისივით გამოიყურებოდა. თუმცა, ზოგჯერ, როდესაც მისი ქმარი სამსახურში იყო, ფანჯარასთან მდგომი ქალი ოცნებით გაჰყურებდა წარსულის ერთ საღამოს და იხსენებდა იმ ბალს, რომელზეც თავად იყო დღესასწაული.

ვინ იცის, რა მოხდებოდა, ის ყელსაბამი რომ არ დაეკარგა, ვინ იცის?! ვინ იცის?!

ცხოვრება რა უცნაურია, რა ცვალებადი!

რა ცოტა კმარა იმისთვის, რომ დაგლუპოს ან გადაგარჩინოს!

* * *

ერთ კვირა დღეს მადამ ლუაზელი დასასვენებლად ელისეს მინდვრებზე გავიდა, რათა ძაღლმონე მოეკრიბა იმ მძიმე შრომისათვის, მთელი მომავალი კვირის განმავლობაში რომ ელოდა.

უეცრად მან შეამჩნია ქალი, რომელიც ბავშვს ასეირნებდა. ეს მადამ ფორესტიე იყო – მუდამ და ყოველთვის ახალგაზრდა, მშვენიერი და მომავადოებული.

მადამ ლუაზელი აღელდა: სასაუბროდ მივიდეს? დიახ, უეჭველად!.. და რაც თავს გადახდა, რაც მისი ყელსაბამი დაუჯდა, ყველაფერს ეტყვის... რატომაც არა?!

მადამ ლუაზელი მეგობარს მიუახლოვდა:

„გამარჯობა, ჟანა!“

მადამ ფორესტიემ მეგობარი საერთოდ ვეღარ იცნო, შესაბამისად, ფამილარულმა მიმართვამ გააკვირვა და ჩაიბუტბუტა:

„მაგრამ, მადამ, მე არ გიცნობთ! თქვენ ვიღაცაში გეშლებით!..“

„არა, არ მეშლები, მე მათილდა ლუაზელი ვარ!“

და მის მეგობარს ყვირილით აღმოხდა:

„ოო, ჩემო საცოდაო მათილდა, როგორ შეცვლილხარ!“

„დიახ, მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს, დღითი დღე, მეტად და მეტად, ვუხეშდები და ვლატაკდები ახლა შენ შესახებ ვისაუბროთ.“

„ჩემზე?! როგორ ხარ?“

„გახსოვს, მინისტრთან გამართული სადღესასწაულო შეხვედრისთვის ბრილიანტის ყელსაბამი რომ მათხოვე?“

„კი და რა მერე?“

„მერე მე ის დავკარგე!“

„როგორ?... შენ ხომ ის უკან დამიბრუნე!“

„დაგიბრუნე სხვა, მისი მსგავსი და, აი, ათი წელია მე და ჩემი ქმარი მის საფასურს ვიხდით. ხომ ხვდები, რომ ეს ჩვენთვის ადვილი არ იქნებოდა, რადგან თითქმის არაფერი გაგვანდდა როგორც იქნა, ყველაფერი მოვაგვარეთ და მე ძალიან კმაყოფილი ვარ.“

„შენ ამბობ, რომ იყიდე ბრილიანტის ყელსაბამი, რომლითაც ჩემი ჩაანაცვლე?“

„კი. როგორ, არ შეგიძინე?! ისინი, მართლაც, ძალიან ჰგავს ერთმანეთს.“

გახარებულმა მადამ ლუაზელმა გაიღიმა. ეს ღიმილი ერთდროულად ქედმაღლურიც იყო და მიაბიჭურიც.

უზომოდ გაოცებული მადამ ფორესტიე ქალს ორივე ხელით ჩაებლაუჭა:

„ოჰ, ჩემო საწყალო მათილდა! ჩემი ყელსაბამი ყალბი იყო, ის ხუთას ფრანკზე მეტი არ ღირდა!“

ოთარ ფანასკეხაძე-სოსიშვილი



ოთარ ციციშვილი დაიბადა თბილისში, 1939 წლის 10 დეკემბერს. 1962 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მოგვიანებით კი – სანქტ-პეტერბურგის კულტურის ინსტიტუტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, რადიოჟურნალისტად კულტურის განხრით, ასევე, დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა მთავარი რედაქტორის თანამდებობას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში.

თითქმის 30 წელია, რაც იგი გატაცებულია მხატვრული კოლაჟით, სხვადასხვა დროს მისი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა: ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ლიტერატურის მუზეუმში, ფიროსმანის, ილია ჭავჭავაძისა და ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმებში, აშშ-ს საელჩოში.

ახალგაზრდობიდანვე წერს ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს, 2019 წლიდან არის მწერალთა კავშირის წევრი.

ტროტუარები

ტროტუარებზე გაფანტულ ფოთლებს
ააშრიანებს ნოემბრის ქარი,
მე აღარ ვეძებ ნათელ მომავალს,
რადგან ოცნებას გაუჩნდა ბზარი.
ავივლი აღმართს და აღარ მაკრთობს
ფერმკრთალი ზიბლი ძველი სახლების,
ვჩერდები წამით, რომ მოვისმინო
გაბმული ყეფა ქუჩის ძაღლების.
მაინც ჯიუტად ვეძებ გასასვლელს,
თუმცა ლაბირინთს არ აქვს კარები,
ჩავივლი დაღმართს და ჩემს ნაბიჯებს
ისევ ითვლიან ტროტუარები...

ტროტუარები...

ტროტუარები...

ქართლის სანახები

ედღენება ღია ქადაგიშვილს
და იავო ციციშვილს

ქართლის სანახებს ოდეს მივალწევ,
რომც მოვიარო მე გზები შორი,
მატარებელი გასცდა სადგურებს:
სკრა, აგარა, ქარელი, გორი...
საციციანო მხარე წარმტაცი,
ვით პერგამენტი ძველთაგან ძველი,
ყინწვისისაგან ნელი ნაბიჯით
მიემართება ფანასკერტელი!
თუკი ნაწვიმარ ველზე იელვებს
ფიქრები, როგორც ლურჯი იები,
ანგელოზების ფრთების შრიალში
დაიწერება შვიდი მთიები.
ბედმა მარიამს, ქართვლის დედოფალს,
შავი დღეები რომ არ აკმარა,
შურისძიებით აღუვსო გული –
მან მოძალადის სისხლი დაღვარა.
ოდეს მივალწევ ქართლის სანახებს,
რომც მოვიარო მე გზები შორი,
მატარებელი გასცდა სადგურებს:
სკრა, აგარა, ქარელი, გორი...

* * *

ედღენება გია შერვაშიძეს

წეროს ფეხებით და მგლის კბილებით
და წეროსავით აწოწილები
ჩვენ, გასკონელი გვარდიელები,
დღემდე ვისტუმრებთ სამშობლოს ვალებს
და დღემდე ვეტრფით მშვენიერ ქალებს...
წეროს ფეხებით და მგლის კბილებით
და წეროსავით აწოწილები
ჩვენ, გასკონელი გვარდიელები,
დღემდე დავცინით უღმობელ სიკვდილს
და ტყვიას მტრისგან შიგ გულში დახლილს!
წეროს ფეხებით და მგლის კბილებით
და წეროსავით აწოწილები
ჩვენ, გასკონელი გვარდიელები,
ბრძოლის ყიჟინით და მხიარულად
ისევ დამტვერილ გზებს მივუყვებით
ჩვენ, გასკონელი გვარდიელები...

გამარჯვებული იბერიელები

ქელვება ქეთევან ტომარაძეს

გნეუს პომპეუსმა წარმატებული ლაშქრობის შემდეგ იბერიისკენ მიმართა რომაული ლეგიონები, იბერიელნი უკუაქცია და მტკვარზე ზიდიც ააგო, რომლის ნანგრები დღესაც პომპეუსის სახელს ატარებს.

ბრძოლამოწყურებულ პომპეუსის ლაშქარს როგორღაც 15-კაციანი რაზმი ჩამორჩა, რომელსაც ყოფილი გლადიატორი, სიმამაცისთვის მონობიდან გათავისუფლებული და რომის მოქალაქედ აღიარებული ცენტურიონი მიუძღოდა. რაზმი მცხეთისკენ მიიკვლევდა გზას და პომპეუსის ლაშქართან შეერთებას ჩქარობდა. მას კვალში იბერიელები მიყვებოდნენ, რომლებსაც ცენტურიონი გონივრული მანევრებით ხელიდან უსხლტებოდა, თუმცა არც მოწინააღმდეგე ნებდებოდა და ჩანდა, სულ მალე წამოეწეოდა კიდევ რომაელებს. რბოლის გარდაუვალი დასასრულის მოლოდინში ცენტურიონმა რაზმი შეაყენა და თანამებრძოლებს მიმართა:

— სიკვდილისთვის განწირულები ვართ, სჯობს, სახელოვნად დავიხოცოთ!

ცენტურიონმა რაზმი ბრძოლისთვის შეაგულიანა, თვითონ კი იმ მხარეს მიბრუნდა, სადაც რომი ეგულებოდა და გლადიატორთა ჩვეულების თანახმად შესძახა:

— Ave Caesar! Morituri te salutant!

ლეგიონერებმა მახვილი ფარს დაარტყეს და საბრძოლო ყიჟინა დასცხეს, ცენტურიონმა კი არწივის გამოსახულებიანი შტანდარტი აიღო და საბრძოლველად მოემზადა. ალყაში მოქცეული რომაელები უთანასწორო ბრძოლაში ჩაერთვნენ და იბერიელთა შუბის სამიზნედ იქცნენ.

დაზოცილი მებრძოლებით მოფენილ ველზე მხოლოდ ორი მეომარიღა იბრძოდა: ცენტურიონი და იბერიელთა წინამძღოლი გუარამი. ორივე გამოცდილი მებრძოლო იყო და შეტაკება დიდხანს გაგრძელდა, ცენტურიონი შტანდარტს არ თმობდა და რომაული არმიის სიმბოლოს იარაღად იყენებდა. თუმცა ბოლოს გუარამმა იმარჯვა, მარცხენა მუხლზე დაჩოქილმა მახვილი ატაკა ფერდში მეომარს. სასიკვდილოდ დაჭრილი ცენტურიონი ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე, თუმცა შტანდარტისთვის ხელი არ გაუშვია. ირგვლივ შემადრწუნებელი სიჩუმე გამეფდა, მზე ღრუბლებში მიიმალა და ჩამობნელდა. გუარამი წინ გამოვიდა და მეომრებს მიმართა:

— იბერიელნო, მუდამ მცირერიცხოვანნი ვერბოდით მტერს და, თუმც ვმარცხდებით, ზმირად ვიმარჯვებდით კიდევ. ვუცქერ ბრძოლის ველს და... რომაელები არ უნდა დაგვეხოცა, ჩვენ მათ რაოდენობრივად ბევრად აღვემატებით და ეს ბრძოლა არ იყო, ეს ხოცვა-ჟლეტას უფრო ჰგავდა, რომელიც ჩვენ დიდებას ვერ მოგვითმანს.

სიტყვა რომ დაასრულა, გუარამმა მახვილი მუხლზე გადაიმტვრია. იბერიელმა მეომრებმა წინამძღოლს მიბაძეს — შუბები დაამტვრიეს და თხრილში გადაყარეს, შემდეგ კი ლეგიონერებისთვის საფლავის გათხრას შეუდგნენ. გუარამმა ღირსეული მოწინააღმდეგისადმი პატივისცემის ნიშნად ბრძანა, ცენტურიონი შტანდარტთან ერთად დაეკრძალათ. იბერიელებმა საფლავებს მიწა მიაყარეს და მწყობრი ნაბიჯით, მღუმარედ გაუყვნენ მცხეთისკენ მიმავალ გზას.

ოთარ ფანასკერტელი-ციციშვილი

